


საქართველოს ტერიტორიული უნივერსიტეტი

ნ. ფოფორაძე

## მინერალოგიის კურსი



დამტკიცებულია სტუ-ს  
სასწავლო-მეთოდური  
საბჭოს მიერ

თბილისი

2005

## შესავალი

მინერალოგია მიწის ქერქის შემსწავლელ გეოლოგიურ მეცნიერებათა რიცხვს ეკუთვნის. რომელიც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს სწავლებას მინერალების შესახებ. ტერმინი მინერალი წარმოშობილია ფრანგული სიტყვიდან „მინერალ“, რაც მაღნეულ შტუფს, მაღნის ნატეს ნიშნავს.

მინერალებად იწოდებიან კრისტალური ნივთიერებები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ქიმიური შედგენილობით და ფიზიკური თვისებებით, რომლებიც წარმოიქმნებიან დედამიწის ქერქში მომდინარე ფაზი გურ-ქიმიური პროცესების შედეგად და ქანებისა და მაღნების ძრითად შემაღენებლ ნაწილს წარმოადგენენ. ქიმიური თვალსაზრისით მინერალი თვითნაბადი ნივთიერებაა, რომელიც გარკვეული ქიმიური შედგენილობით გამოიჩვა, ფიზიკურად ყოველი მინერალი სასიათდება მათვის დამახასიათდებლი გარკვეული თვისებებით: სიმკრივით, ტკმვადობით, მაგნიტურობით, ოპტიკური თვისებებით და ა. შ.

სიტყვა „მინერალის“ სხენებისას აუცილებელია შემდეგი მნიშვნელობის გათვალისწინება.

1. მინერალს მიეკუთვნება მინერალების სამეფოს არა მარტო აშკარად კრისტალური ნივთიერება, არამედ ზოგი ფარულებრისტალური და ამორფული ბუნებრივი ნივთიერებები (ქალცედონი, აქატი, ოპალი და სხვანი). ისინი ასევე ქავრივი ნივთიერებანი არიან, ბუნებრივი პროცესების შედეგი, ქანებისა და მაღნების შემაღენებლი ნაწილი; ამასთან ერთად თხევადი მინერალებიც არსებობენ.

2. მინერალთა ბუნებრივი ქიმიური და სტრუქტურული თვითნაბადი წარმონაქმნები, გვხვდება აგრეთვე როგორც, კოსმიური სხეულების შემაღენებლი ნაწილები და მათ მთვარის, პლანეტების, მეტეორიტების მინერალები ეწოდებათ.

3. სხვადასხვა სინთეზიური პროცესები, რომელიც ბუნებრივი მინერალის ანალოგიურია თვისებებით, შედგენილობით და სტრუქტურით, ხელოვნურ მინერალებად იწოდებიან: ასეთია ლაბორატორიულ პირობებში ხელოვნურად მიღებული კვარცი, კორუნდი, ზურმუხტი, ჰაინელი და სხვა.

ბუნებრივი მინერალები ფართოდაა გავრცელებული. დედამიწის ქერქი უამრავი სხვადასხვა ფორმის, ზომის და პატიტუსის მინერალისაგან შედგება.

მინერალთა ინდივიდების ზომები შეიძლება იყოს გიგანტურიდან, რომელთა მასა რამდენიმე ტონას შეადგენს (მინდვრის ჰაქტი, კვარცი), უმცირეს ზომამდე, რომლებიც მხოლოდ მიკროსკოპით შეიმჩნება. მინერალთა უმრავლესობას სწორედ უმცირესი ზომები ახასიათებთ.

ამჯამად ცნობილია დაახლოებით სამი ათასამდე მინერალი, ხოლო მათი სახესხვაობები შეიძლო ათასს აღწევს. ბუნებრივი ფართოდაა გავრცელებული 450 მინერალის სახეობა, დანარჩენი მათგანი შედარებით იშვიათად გვხვდება.

მინერალთა შედგენილობაში ყველაზე ფართოდაა გავრცელებული ელემენტი ჟანგბადი. იგი დედამიწის ქერქის 1538 მინერალის შედგენილობაში შეიძინება. გარდა ჟანგბადისა მიწის ქერქში დიდი რაოდენობითაა წყალბადი (H), სილიციუმი (Si), ალუმინი (Al), რინა (Fe), კალციუმი (Ca),

მაგნიუმი (Mg), ნატრიუმი (Na), კალიუმი (K), ტიტანი (Ti), ნახშირბადი (C), მანგანუმი (Mn), ფოსფორი (P) და გოგირდი (S).

ბუნებაში უელაზე გავრცელებული მინერალთა კლასი სილიკატებია (75%), მიწის ქერქში უელაზე გავრცელებული მინერალებია მინდვრის ჰპატები (პლაგიოკლაზი, ორთოკლაზი) და კვარცი, რომელთა წილი 55% და 12%.

სტატისტიკურად მინერალების გავრცელება სინგონიების მიხედვით შემდეგია:

ტრიკლინური . . . . .	88 (6.5%)
მონოკლინური. . . . .	393 (30.0%)
რომბული. . . . .	279 (21.0%)
ტრიგონული. . . . .	143 (11.5%)
ტეტრაგონული. . . . .	131 (10.0%)
ჰექსაგონური. . . . .	103 (8.0%)
კუბური. . . . .	171 (13.0%)
	<u>1308 (100%)</u>

ანუ მინერალები დაბალი კატეგორიის. . . 760 (57.5%)

მინერალები საშუალო კატეგორიის. . . 377 (29.5%)

მინერალები მაღალი კატეგორიის. . . 171 (13.0%)

მინერალოგია შეისწავლის მინერალების მორფოლოგიას (გარეგანი სახე), შედგენილობას, ნაერთების შინაგან სტრუქტურას. არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს მინერალების ფიზიკურ თვისებებს, რაც საჭიროა, როგორც დიაგნოსტიკისათვის, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. საბოლოოდ, მინერალოგია შეისწავლის მინერალების წარმოშობას (გენეზის), მათ ბუნებაში გავრცელების კანონზომიერებებს და პრაქტიკულ მნიშვნელობას.

### მინერალების ფორმულები და ქიმიური შედგენილობა.

ბუნებაში გავრცელებული მინერალების დიდი უმეტესობა წარმოდგენილია ქიმიური ნაერთების სახით. რომელთა შირის გამოყოფა: ა) სტაბილური შედგენილობის ნაერთები, როგორც მარტივი ისე რთული და ბ) ცვლადი შედგენილობის ქქონე, განსაზღვრული შედგენილობის ქიმიური ნაერთი საესებით ემორჩილება შედგენილობის შუღლივობის კანონს, მათ მიეკუთვნებიან: ჟანგეულები ( $\text{Cu}_2\text{O}$ ,  $\text{MgO}, \text{Fe}_2\text{O}_3, \text{SiO}_2$  და სხვ); სულფიდები ( $\text{NiS}$ ,  $\text{FeS}_2$ ,  $\text{Sb}_2\text{S}_3$  და სხვ); ჰალოიდები ( $\text{NaCl}, \text{CaF}_2$  და სხვ) და ა.შ.

ცვლადი შედგენილობის ნაერთების შედგენილობის ცვალებადობა აისხება მოცემულ ნაერთში შემადგენელ კომპონენტთა შეზღუდული სხსადობით.

მინერალის ქიმიური შედგენილობის დასადგენად საჭიროა ან ქიმიური ან სხვადასხვა ლაბორატორიული მეთოდებით კვლევა, რომელთა საფუძველზეც დგინდება მინერალის ქიმიური ფორმულა. ფორმულები შეიძლება იყოს როგორც, ემპირიული, რომელიც გვიჩვენებს მხოლოდ ქიმიურ შედგენილობას და სტრუქტურული, რომელიც მინერალში ატომების სივრცეს განლაგებას და მათ ურთიერთკავშირზე გარკვეულ წარმოდგენას

იძლევა. ამ საკითხებს განიხილავს კრისტალოქიმია.

მინერალში აუცილებელია კათორებისა და ანიონების კომპლექსების დადგენა, რომელიც ახასიათებენ კრისტალთა სტრუქტურულ ტიპს. მინერალის ფორმულის დაწერისას კომპლექს ანიონი კათორებისაგან კვადრატული ფრჩხილით გამოიყოფა, მაგალითად ბარიტი  $Ba[SO_4]$ , სიდერიტი  $Fe[CO_3]$ , სპოლუმენი  $Al_2[Si_2O_6]$ , მიკროკლინი  $K[AlSi_3O_8]$  და ა.შ.

თანამედროვე დროში ემპირიული ფორმულები შეცვლილია სტრუქტურული ფორმულებით, მაგ. მუსკოვიტის ემპირიული ფორმულა –  $H_2KAl_3Si_3O_{12}$ , ხოლო სტრუქტურული –  $KAl_2[AlSi_3O_{10}]$  ( $\text{OH}, \text{F}$ )<sub>2</sub> ეს უკანასკნელი გვიჩვენებს, რომ მუსკოვიტის სტრუქტურას აქვს რთული კომპლექსი ანიონი და რომ წყალი მასში იმყოფება არა  $\text{H}_2\text{O}$ -ს სახით, არამედ ჰიდრიქსილის ( $\text{OH}^-$  სახით, რომელიც შეიძლება ჩანაცვლებული იყოს  $\text{F}^-$ .

მინერალოგიაში ხშირად ანსევაგებენ წყლოვან და უწყლო მინერალებს (სულფატები, ფოსფატები, კარბონატები და ა.შ.). წყლოვანია ის მინერალები, რომლებიც მის შედგენილობაში შეიცავენ წყლის ელექტრულად ნეიტრალურ მოლეკულებს. მინერალებში წყალი შეიძლება იყოს ბმული და თავისუფალი. ბმული ანუ კრისტალიზაციური წყალი შედის მინერალის კრისტალურ მქერდში სადაც ის გარკვეულ აღგილს იკავებს. მაგალითებად შეიძლება მოყვანოროვ ზოგი წყლიანი კარბონატი და სულფატი, მაგ. თაბაშირი  $\text{Ca}[\text{SO}_4] \cdot 2\text{H}_2\text{O}$ . მინერალის კრისტალური მქერის აგებულებაში თავისუფალი წყალი არ მონაწილეობს, მისი რაოდენობა სხევადასხვა შეიძლება იყოს, რაც შეიძლება ტემპერატურაზეც იყოს დამოკიდებული. თავისუფალი წყლის შემცველობის მაგალითია ცეოლითების წყლები. ასევე ჰიდროსკოპული წყალი, რომელიც თავისუფალია (განთავსებულია მინერალის უწვრილეს სიცარიელებში) და  $110^{\circ}\text{C}$  გაცხელებისას მთლიანად ქრება.


## ଓହମରକ୍ଷିତାମଧ୍ୟ ଲାଭ ପାଇଲାମରକ୍ଷିତାମଧ୍ୟ

ფართო სინარები ანუ გერეტწოდებული იზომორფული ნარევები. სხვადასხვა შედგენილობის კრისტალური ნივთიერებების უნარი, შექმნან ერთნაირი კრისტალური სტრუქტურის და განუწყვებლად ცვალებადი შედგანილობის ნარევები, მირითადად დამჭარებულია იზომორფიზმები. ე.ი. მსგავსი შედგენილობის ქიმიურ ნაერთებში ელემენტოა ურთიერთა აკვლების ოვისებაზე.

**იზომორფული** – ატომის (ან იონის) თვესება ერთი ნივთიერება ჩაანაცვლოს ატომის (ან იონის) სტრუქტურაში მეორით. ფოლფრამიტის ფორმულა  $(\text{Fe}, \text{Mn})[\text{WO}_4]$  ის წარმოადგენს იზომორფულ ნაერთს, სადაც მანგანუმის ატომები ინაცვლება რკინის ატომებს და პირიქით. ფორმალურად ეს ყველაფერი გამოისახება ფორმულით:  $n\text{Fe}[\text{WO}_4]X(100-n)\text{Mn}[\text{WO}_4]$ . ამ რიგის კიდევრა წევრები ატარებენ ფერბერიტის  $\text{Fe}[\text{WO}_4]$  და ჰიუბნერიტის  $\text{Mn}[\text{WO}_4]$  სახელს. მინერალი რდივინის  $(\text{Mg}, \text{Fe})_2[\text{SiO}_4]$  ასევე

იზომორფული ნაერთია, სადაც მაგნიუმის ატომები სტრუქტურაში ინაცვლებენ რეინის ატომებს ან-პირიქით. ფორმალურად:  $n\text{Mg}_2[\text{SiO}_4]\text{X}(100-n)\text{Fe}_2[\text{SiO}_4]$ . აქედან  $\text{Mg}_2[\text{SiO}_4]$  არის ფორსტერიტი და  $\text{Fe}_2[\text{SiO}_4]$  არის ფაიალიტი.

განანსხვავებენ იზომორფიზმის ორ მთავარ სახეს: მარტივი, როდესაც ურთიერთენაცვლებიან იონები, რომელთაც აქვთ ერთნაირი ვალგეტობა – მას ეწოდება **უსუფალენტური** იზომორფიზმი და როცლი, როდესაც ხდება სხვადასხვა ვალენტური იონების ჩანაცვლება, **ჰეტეროფალენტური** იზომორფიზმი. იზოვალენტური იზომორფიზმის მაგალითია  $\text{Mg}^{2+}$  და  $\text{Fe}^{2+}$  ჩანაცვლება ოლივინში  $(\text{Mg}, \text{Fe})_2[\text{SiO}_4]$ . ჰეტეროვალენტურის – პლაგიოკლაზები, სადაც  $\text{Ca}^{2+}$  და  $\text{Al}^{3+}$  ინაცვლებიან  $\text{Na}^+$  და  $\text{Si}^{4+}$ -ით ( $\text{CaAl} \rightleftharpoons \text{NaSi}$ )  $\text{Ca}[\text{Al}_2\text{Si}_2\text{O}_8]$  ანორთიტი,  $\text{Na}[\text{AlSi}_3\text{O}_8]$  -ალბიტი. ასევე



სრულყოფილების მიხედვით იზომორფულ ჩანაცვლებაში შეიძლება გამოიყოს ორი შემთხვევა. პირველი, როცა ერთი ელემენტის ჩანაცვლება მეორით 100% სიზუსტით ხდება – ეს არის სრულყოფილი, ანუ სრული იზომორფიზმი ( $\text{Mg}, \text{Fe}$ ). მეორე – ჩანაცვლება შეიძლება იყოს ნაწილობრივი მეასედ და მეათედ, რამდენიმე პროცენტამდე – ეს არის არასრულყოფილი, ან შეზღუდული იზომორფიზმი ( $\text{Na}, \text{Ka}$ ).

მეცნიერმა ვ. გოლდემიტმა მიუთითა, რომ ელემენტებს შეუძლიათ ჩაინაცვლონ ერთმანეთი იმ შემთხვევაში, როცა იონის (ან ატომის) რადიუსები, ზომები მსგავსია და მათ შორის სხვაობა არ აჭარბებს 15%. ამის გარდა იონის პოლარიზაციის უნარი ერთნაირი უნდა იყოს. თუ იონის პოლარიზაციის (ანუ დეფორმაციის დონე) დონე განსხვავებულია, მაშინ ტოლი რადიუსების დროსაც კი იონებს შორის იზომორფიზმი არ მოხდება (მაგ.  $\text{Cu}^+$  და  $\text{Na}^+$ ). ჩანაცვლებული და ჩასანაცვლებელი იონების სავალენტო ნიშანი უნდა იყოს ერთნარი მხოლოდ კათიონი ენაცვლება კათიონს, ანიონი – ანიონს.

**ჰეშმარიტი მყარი სსნარები** ანუ, როგორც მათ სხვაგვარად უწოდებენ, იზომორფული ნარევები, წარმოადგენენ კრისტალური სტრუქტურის მიხედვით სრულიად ერთგვაროვან ნარევს, რომლის შემადგენელი როცა ან რამდენიმე კომპონენტი შეიძლება ყოველგვარი პროპორციით მონაწილეობდეს, მაგრამ ქიმიურ ნაერთებს არ იძლევიან, მაგალითად შეიძლება მოვევანორ თქმოსი და ვერცხლის, მანგნეუმისა და რეინის კოლფრამიტების, პლაგიოკლაზების და სხვა მყარი სსნარები.

მყარი სსნარებში არჩევენ ორ ტიპს: а) ჩანაცვლების მყარი სსნარები (ანუ პირველი გვარის მყარი სსნარები) და б) შექრის მყარი სსნარები (ანუ მეორე გვარის მყარი სსნარები).

ა) ჩანაცვლების მყარი სსნარები განსაკუთრებით დამახასიათებელია ლიონებისათვის და იონური ნაერთებისათვის. მათი არის იმაში მდგომარეობს, რომ ნაერთებში, რომელთაც ანალოგიური აღნაგობის კრისტალური ფორმა აქვთ, ერთ-ერთი ნაერთის ატომები ან იონები ანაცვლებენ მეორის ატომებს ან იონებს (ფ. სხვის აღილზე დგებიან).

ასეთია, მაგალითად, იზომორფული რიგები:  $\text{ZnCO}_3\text{-FeCO}_3$ ,  $\text{MnWO}_4\text{-FeWO}_4$  და სხვა.

ბ) შეკრის მყარი სენარები იმით ხასიათდებიან, რომ მათში უცხო კომპონენტი შედის მხოლოდ სიცარიელეებში, ე.ი. ძირითადი კომპონენტის კრისტალური მესრის შემადგენელ ატომთა ან იონთა შორისებში. ამგვარი მყარი სენარები შეიძლება წარმოქმნას მხოლოდ მაშინ, როდესაც ორივე კომპონენტის ატომები (იონები) ერთმანეთისგან მყვეთრად განსხვავდებული სიღიღის არიან. ასეთი მყრი სხნარების მეტად დამახასიათებელ მაგალითს წარმოადგენს ნახშირბადის სენარი რეინაში, რომელიც მაღალ ტემპერატურაზე ადგილად წარმოიშობა და ნელი გაცივებისას რკინად და რკინის კარბიდად ( $\text{Fe}_3\text{C}$ ) იშლება.

**პოლიმორფული ნიშანები** ბერძნულად პოლიმორფიზმი ნიშანებს მრავალფორმიანობას. ქიმიურად ერთნაირი შემადგენლობის ნივთიერებაზე ქმნიან სხვადასხვა სტრუქტურებს, რომელთაც აქვთ განსხვავდებული ფიზიკური თვისებები.

პოლიმორფულია ელემენტები და რთული შენაერთები. ნახშირბადის პოლიმორფული ნიშანების კარგი მაგალითია ალმასი და გრაფიტი. მათი თვისებები სრულიად განსხვავდებულია: ალმასი კველაზე მაგარი მინერალია (სიმაგრე 10), გრაფიტი – სიმაგრე 1. ალმასის სიმკვრივე 3,5; გრაფიტის 2,2. ალმასი კრისტალდება კუბურ სინგონიაში. გრაფიტი ჰქექსაგონურში. აღნიშვნული მინერალების განსხვავდება ძირითადად მათი სტრუქტურით აიხსნება ე.ი. ნახშირბადის ატომების კავშირი უფრო ნაკლებად ძლიერია, ვიდრე ალმასში. გრაფიტის სტრუქტურა ფურცლოვანია, ბრტყელი ჰქექსაგონური ბადეების სახით. მათ შორის დიდი მანძილიც სხნის შის თვისებებს, ადგილი ტკმ-ვადობა, ნაკლები სიმკვრივე და ა.შ.

განასხვავდება პოლიმორფიზმის ორ ტიპს. პირველი – ენანტიოტროპია – ხასიათდება პოლიმორფული მოდიფიკაციების ერთიდან მეორეში გადასვლით გარევაული ტემპერატურისა და წნევის პირობებში. მაგ.: მაღალი ტემპერატურის ზეგავლენით კარცი  $\text{SiO}_2$  გადადის – ტრიდიმიტში, ასევე ალმასი – გრაფიტში. მეორე ტიპია – მონოტროპია – ერთი პოლიმორფული მოდიფიკაცია (არასტაბილური) შეიძლება გადავიდეს სხვაში (სტაბილურში), მაგრამ პირიქით გადასვლა არ მოხერხდება. მონოტროპიის მაგალითია მარკაზიტის გადასვლა პირიტში (პირიქით გადასვლა არ არსებობს).

### მინერალების ფიზიკური თვისებანი

მინერალთა ფიზიკურ თვისებებს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს (რადიოაქტიურობა, მაგნიტურობა, სიმაგრე, ოპტიკური თვისებანი და სხვა) და აუცილებელია მათი დიაგნოსტიკისათვის. ეს თვისებები დამოკიდებულია არის ქიმიურ შედგენილობაზე და კრისტალური სტრუქტურის ტიპზე. მაგალითად, მინერალების რადიოაქტიული თვისება დამოკიდებულია ქიმიურ შედგენილობაზე – რადიოაქტიური ელემენტების რაოდენობაზე, მინერალის ტექტურაზე დამოკიდებულია მათი კრისტალური სტრუქტურის თავისებურებებზე, სიმკვრივე – ქიმიურ შედგენილობაზე და კრისტალური სტრუქტურის ტიპზე.

ქვემოთ შევტერდებით მინერალთა იმ უმთავრესი თვისებების გარჩევაზე, რომელთაც უდიდესი დიაგნოსტიკური მნიშვნელობა აქვთ. ამ თვისებების გაუთვის: გამჭვირვალობა, მინერალთა ფერი, ხაზის ფერი, ელექტროგადა, რატიოური თვისებები, მრჩობლები, მექანიკური თვისებები – ტექნიკალობა, მონატეხი, სიმაგრე, მსხვევადობა, ჰედადობა, მორფოლიგიური თვისებები და სხვა.

**სიმკვრივე.** როგორც ცნობილია, მინერალების სიმკვრივე უპირველეს ყოვლისა კრისტალური ნივთიერების შემაღებენელი ატომებისა ან იონების ატომური წრისაგან არის დამოკიდებული. შემდეგ მნიშვნელოვანი როლი აქვთ იონების რადიუსების ზომების. მინერალის სიმკვრივე ( $\text{g}/\text{cm}^3$ ) ფართო ზღვრებში მერყეობს. უმეტეს მინერალებს აქვთ სიმკვრივე 2.5-დან 3.5-მდე, რაც აყალიბებს დედამიწის ქრისტალების სიმკვრივეს, რომელიც 2.7-2.8 ტოლია. მინერალები სიმკვრივის მიხედვით სამ ჯგუფად იყოფა: მსუბუქი ( $3.0$ -მდე), საშუალო ( $3.0-4$ ) და მიმდევადი ( $4-5$  მეტი), მაქსიმალური  $23.0$

არსებობს მინერალები, რომლებიც ადგილად გამოიცნობა დიდი სიმკვრივის გამო (ბარიტი  $4.6$ , ცერუსიტი  $6.5$ ). მინერალები, რომლებიც მიმდე მეტალებს შეიცავნ დიდი სიმკვრივით გამოირჩევან. ყველაზე მაღალი სიმკვრივე აქვთ თვითნაბად ელემენტებს –(გერცხლი, ოქრო, პლატინა).

სიმკვრივე გამოითვლება შემდეგი ფორმულით  $m/v$  ( $\text{g}/\text{cm}^3$ ), სადაც  $m$  – მასაა,  $v$  – მოცულობა.

სიმკვრივის განსაზღვრის მრავალი მეთოდი არსებობს (აწონწით, მოცულობით, იმერსიული, მექანიკური, რეფრაქტომეტრული, ანალიტიკური და სხვ). სიმკვრივის განსაზღვრის სისტორე დამოკიდებულია განსაზღვრის მეთოდსა და გამოყენებულ ხელსაწყოებზე. ერთ-ერთი მარტივი მეთოდია მინერალის გაწონასწორება მიმდევ სითხეში. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში მიმდე სითხე მინერალში შედის და მას ფერს უცვლის.



სიმკვრივის უფრო ზუსტი განსაზრდვრა ხორციელდება პიდროსტატიკური აწონწით და ოპტიკური მეთოდით. პიდროსტატიკური აწონწით დგინდება მინერალის მასის სხვაობით ჰაერსა და სითხეში, და გამოითვლება ფორმულით.

ოპტიკური მეთოდი დამყარებულია სიმკვრივის კორელაციასა და სითხის გარდატეხის მაჩვნებელზე, რაც შეიძლება განსაზღვროს რეფრაქტომეტრის გამოყენებით.

**მექანიკური თვისებები** მინერალისა ვლინდება მათზე მექანიკური ზეგავლენისას: შეკუმშვით, გაჭიმვით და დარტყმით. მექანიკურ თვისებებს მიეკუთვნება ტექნიკალობა და სიმაგრე.

**ტექნიკალობა** – ეს არის თვისება კრისტალისა გაიხლიოს განსაზღვრული კრისტალოგრაფიული მიმართულებით, რომელიც ქმნის პრიალა ზედაპირს. ტექნიკალობა შეიძლება გამოიხატოს ერთი, ორი, სამი, ოთხი და ექვსი კრისტალოგრაფიული მიმართულებით.

ქარსების კრისტალი შეიძლება გაიხლიოს უთხელეს ქერცლებად – მას ტექნიკალობა ერთი მიმართულებით აქვს და პინაკოდის წახნაგების პარალელურია {0001}. კალციტის რომბოედრული ერისტალი ადვილად იხლიოს სამი მიმართულებით (რომბოედრის წახნაგების სწროვად).



სურ. 1. а. ფრიად სრული ტკენგვადობა ქარსში; ბ. სრული ტკენგვადობა ჰალიტში

კრისტალების ერთი მიმართულებით გახლება, ხოლო სხვა მიმართულებით არ გახლების მიზეზია კრისტალის შემადგენელი ატომების ან იონების ურთიერთ-შეცვიდვის ძალა. ტკენგვადობის სიბრტყეები პარალელურია სივრცული მესრის სიბრტყეებისა, რომლებიც განსხვავებულ ურთიერთ-დაცილებული მდებარეობისაა. მაგალითად, სიბრტყელ მესერში კრისტალის ტკენგვადობა AB მიმართულებით უფრო ადვილი იქნება, ვიდრე CD ან სხვა რომელიმე მიმართულებით.

ტკენგვადობის შესაფასებლად არსებობს შემდგარ სკალა.

1. ფრიად სრული ტკენგვადობა – კრისტალს უნარი აქვს გაიხლიოს უთხელეს ქერცლებად სარკისებრი ზედაპირით (ქარსი, თაბაშირი).


2. სრული ტკენგვადობა – კრისტალი ნებისმიერ ადგილას, სხვადასხვა მიმართულებით იხლიჩება, ამ დროსაც მიიღება სწორი ზედაპირი: კალციტი, ჰალიტი, გალენიტი (სურ. 1).

3. საშუალო ტკენგვადობა – მონატებისას გარკვევით ჩანს, როგორც სწორი, ასევე არასწორი მონატების ზედაპირი (მინდვრის შპატები, რქატყუარა).

4. არასრული ტკენგვადობა – სწორი მონატებითი ზედაპირი იშვიათია, მონატებისას არასწორი ზედაპირი რჩება (ბერილი, აპატიტი).

5. ფრიად არასრული ტკენგვადობა – პრაქტიკულად არ არსებობს ტკენგვადობა, კრისტალს აქვს მონატების არასწორი ზედაპირი (კარცი, კასიტერიტი).

მონატების ზედაპირის მიხედვით მინერალები შეიძლება იყოს არასწორი (თვითნაბადი გოგირდი, აპატიტი, კასიტერიტი), საფეხურისებრი (მინდვრის შპატი), ხიგვოვანი (აქტინოლითი, ტრემოლიტი), ნიკარისებრი (კვარცი, ქალცედონი, ოპალი), კაუჭისებრი (თვითნაბადი ელემენტები – ოქრო, ვერცხლი, პლატინა) და სხვ. (სურ. 2).



## სურ. 2. ნიჟარისებრი მონატების ობიექტები

**სიძაგრე.** კრისტალის სიმაგრის ქვეშ იგულისხმება გაცილებით უფრო მაგარი სხეულის მექანიკური ზემოქმედებისას მისი წინადმდებარების გაწევა. კრისტალის სიმაგრე უმნიშვნელოვანების ნიშანია მათი დიაგნოსტიკისას. მინერალოგიაში მიღებულია მოოსს სკალა, სადაც ყველა მომდევნო მინერალი წინაზე მეტი სიმაგრით გამოიჩინება:

- |                                    |                                 |
|------------------------------------|---------------------------------|
| 1. ბალგი $Mg_3[Si_4O_{10}](OH)_2$  | 6. ორთოკლაზი $K[AlSi_3O_8]$     |
| 2. თაბაშირი $Ca[SO_4] \cdot 2H_2O$ | 7. კვარცი $SiO_2$               |
| 3. კალციტი $Ca[CO_3]$              | 8. ტოპაზი $Al_2[SiO_4](F,OH)_2$ |
| 4. ფლუორიტი $CaF_2$                | 9. კორუნდი $Al_2O_3$            |
| 5. აპატიტი $Ca_5[PO_4]_3(F,Cl)$    | 10. ალმასი $C$                  |

მინერალის შეფარდებითი სიმაგრე განისაზღვრება გაკაწვრის შედეგად. ოუ აპატიტი (სიმაგრე 5) კაწრავს გამოსაცნობ მინერალს, ხოლო ფლუორიტი (სიმაგრე 4) არ კაწრავს მას მაშინ აღნიშნული მინერალის სიმაგრე იქნება დაახლოებით 4.5. მინერალები, რომელთა სიმაგრეც 2-ის ტოლია ადგილად იკაწრებან ფრჩხილით.

სიმაგრის ზუსტი განსაზღვრისათვის იყენებენ საჟციალურ სელსაწყო-სკლერომეტრს, სადაც სიმაგრე განისაზღვრა ცვადრატულად გადაკვეთილი ალმასის პირამიდის დაწოლის შედეგად გამოსაკვლევ ობიექტზე, რაც მიკროსკოპის ქვეშ ნათლად ჩანს, ქვემოთ მოყვანილია სკლერომეტრის შედეგად დაგენილი სიმაგრის აბსოლუტური სიღილეები:

ტალკი . . . . .	24	ორთოკლაზი . . . . .	795
თაბაშირი . . . . .	36	კვარცი . . . . .	1120
კალციტი . . . . .	109	ტოპაზი . . . . .	1420
ფლუორიტი . . . . .	189	კორუნდი . . . . .	2060
აპატიტი . . . . .	536	ალმასი . . . . .	10060

ისევე, როგორც ტექტვადობა, სიმაგრეც ანიზოტროპულია ე.ი. კრისტალში იგი სხვადასხვა მიმართულებით სხვადასხვა. ალმასის კრისტალში, მაგალითად ოქტაედრის წახნაგზე {111} შეინიშნება ყველაზე დიდი სიმაგრე, შედარებით ნაკლები რომბოდოდეკაედრის წახნაგზე {110} და უფრო ნაკლები კუბის წახნაგზე {100}. აქედან გამომდინარე ოქტაედრის წახნაგზე სიმაგრე მეტი იქნება, ვიდრე რომბოდოდეკაედრის, ხოლო კუბის წახნაგზე უმცირესი სიმაგრე.

**ოპტიკური ოვალებები.** ბუნებრივ სინათლეზე ელექტრული და მაგნიტური ვექტორების მერყეობა ყოველ წუთს ხდება სხვადასხვა მიმართულებით, რომელიც ყოველთვის პერპენდიკულარულია სინათლის ტალღის გავრცელების მიმართულებისა (ე.ი. პერპენდიკულარულია სინათლის სხივის). ასეთი სინათლე ატარებს არაპოლარულის, ან ჩვეულებრივის სახელწოდებას.

სინათლე აპტიკურად ანიზოტროპული ფენის გავლისას ხდება პოლარიზებული.

სინათლის პოლარიზაცია ხდება ყველა კრისტალში გასვლის შედეგად, (კუბური სინგონიის კრისტალების გარდა; ეს უკანასკნელი ოპტიკურად იზოტროპულია). კრისტალში შემავალი ბუნებრივი სინათლე

გარდატყვება ორ სინათლის ტალღად, რომლებიც სხვადასხვა სიჩქარით ვრცელდება. ორივე ტალღა პოლარიზებული ხდება, ამავე დროს მათი რევითი სიბრტყეები ურთიერთპერპენდიკულარულია. ამ მოვლენას ეწოდება **ორმაგი გარდატება**, ან **სინათლის ორმაგი გარდატება**.



სურ. 3. ისლანდიური შპატის ორმაგი გარდატება

განსაკუთრებით ორმაგი გარდატება გამოიხატება ისლანდიური შპატის (სურ. 3) კრისტალებში (ოპტიკური პალციტი). თუ ისლანდიური შპატის გამჭვირვალე კრისტალს დავადებთ ნაწერ ქადალდს, მაშინ ზევიდან ნათლად გამოჩნდება ორი წარწერა, კროი უფრო ნათლად, ხოლო მეორე უფრო სესტად. რაც უფრო განიერია კრისტალი, მით მეტი დაცილებაა წარწერებს შორის.

ტრიგონული, ტეტრაგონული და ჰექსაგონური სინგონიის კრისტალებში გამოიკვეთება მხოლოდ ერთი მიმართულება, რომელზედაც არ ხდება ორმაგი სინათლის გარდატება. ეს მიმართულება იწოდება **ოპტიკურ დეტად**, ის ემთხვევა მაღალი რიგის **სიმეტრიის დერმს**. ამიტომ საშუალო სინგონიის კრისტალები იწოდებიან **ოპტიკურად კრთლერმინანებად**. ტრიკლინური, მონოკლინური და რომბული სინგონიის კრისტალებს აქვთ ორი მიმართულება, სადაც არ ხდება სინათლის ორმაგი გარდატება; თატიკურად ისინი **ორდერმინანები** არიან.

იზოტროპულ ფენაში და კუბური სინგონიის კრისტალებში სინათლე ვრცელდება ყველა მიმართულებით ერთი და იგივე სიჩქარით. სინათლის ტალღის სედაპირი ამ შემთხვევაში სფეროს ფორმის იქნება.

საშუალო სინგონიის კრისტალებში სინათლის ტალღის გავრცელების სიჩქარე სხვადასხვა მიმართულებით სხვადასხვა. სინათლის ტალღას, რომელიც ვრცელდება ერთნაირი სიჩქარით ყველა მიმართულებით, ეწოდება ჩვეულებრივი, ხოლო სხვადასხვა სიჩქარისას სხვადასხვა მიმართულებით გავრცელებას – არაჩვეულებრივი. პირველი სინათლის ტალღის სედაპირს წარმოადგენს სფერო, ხოლო მეორისას – ელიფსოიდი. დაბალი სინგონიის კრისტალებს არ აქვთ ჩვეულებრივი ტალღები, ყველა ტალღა ვრცელდება სხვადასხვა სიჩქარით, ხოლო სინათლის ტალღის სედაპირი რთულია.

**ფერი** ყოველი მინერალის შესწავლისას, პირველ რიგში ყურადღებას მის ფერზე გამახვილებთ.

მინერალს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფერი და შეფერილობა. არსებობს ისეთი მინერალები, რომელთაც აქვთ გარკვეული ფერი, რის მიხედვითაც ისინი შეუცდომლად ამოიცნობიან, მაგალითად წითელი სინგური, ოქროსფერი პირიტი, მწვანე მაღაქიტი, ლურჯი ლაზურიტი.

ტურმალინი, ბიორილი (ბერილი), გრანატი, ფლუორიტი, კვარცი, შეიძლება სხვადასხვა ფერის იყოს. ტურმალინი არსებობს შავი, ვარდისფერი, მწვანე, უფერო. გვხვდება ისეთი ტურმალინი, სადაც ერთი ბოლო ვარდისფერია, შეა ქრისტალისა თეთრი, ხოლო მეორე ბოლო მწვანე. მას პლაიტრომული (მრავალფერიანი) ტურმალინი ეწოდება.

ხშირად ერთი და იგივე მინერალი რამდენიმე ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ფერისაა. მაგალითად, ბერილი მომწვანოც არის, მწვანეც, ყვითელიც, ლურჯიც, თეთრიც, ვარდისფერიც, ოქროსფერ-მოვარდისფერიც. ცნობილია უფერო, ვარდისფერი, მტრედისფერი, ყვითელი, ლურჯი, ისფერი ტოაზი; ყვითელი, მწვანე, მურა, წითელი, ლურჯი ცირკონი. არსებობს სხვადასხვა ფერის ალმასიც: უფერო, ყვითელი, მურა, ნაცრისფერი, შავი, წითელი, მწვანე, მოვარდისფერი, მომტრედისფერი.

მინერალის ფერი დამოკიდებულია მათ შინაგან სტრუქტურაზე, მექანიკურ მინარევებზე და ძირითად ქრომფლების შემცველობაზე კ.ი. ნივთიერება რომელიც საღებავის როლს ასრულებს. გამოირჩვა შემდგვი ქრომოფორი ელემენტები  $\text{Cr}, \text{V}, \text{Ti}, \text{Mn}, \text{Fe}, \text{Ni}, \text{Co}, \text{Cu}, \text{U}, \text{Mo}$  და სხვა მრავალი.

ბუნებრივ ქიმიურ ნაერთებში წარმოშობის მიხედვით არჩევენ მინერალების სამ ფერს: იდიოქრომატულს, ალოქრომატულს და ფევ-დოქრომატულს.

იდიოქრომატული საკუთარ ფერს ნიშნავს. ფერი დამოკიდებულია მინერალის თვალსებებსა და მინერალში ფერის გამომწვევი ქიმიური ელემენტების ქრომოფორების არსებობაზე. ქრომოფორებს მიეკუთვნება ელემენტები:  $\text{Ti}, \text{V}, \text{Cr}, \text{Mn}, \text{Co}, \text{Ni}, \text{Cu}$  უფრო ნაკლები ხარისხით:  $\text{W}, \text{Mo}$ . ქრომოფორებს ხატოვნად მინერალური სამეფოს მთავარ მხატვრებს, ფერმწერებს უწოდებენ. ძვირფასი ქვებისადმი ქრომოფორების მიერ მიცემული ფერი ითვლება იდიოქრომატულად, ასეთია დალის წითელი და ზურმუხტის მწვანე ფერები. იდიოქრომატულ ფერს იწვევს აგრეთვე ნაერთის ატომებისა და იონების ენერგეტიკული მდგრადირების ცვლილებებთან დაკავშირებული გამოსხივება – ენერგოქრომატიზმი. მაგალითად, რადიუმის სხივების გავლენით უფერული ტოპაზი ხდება მკრთალი, ოქროსფერი – ყვითელი, ვარდისფერი კვარცი – კვარცი. იდიოქრომატული ფერის მესამე მიზეზია ქრისტალთა აგებულების თავისებურება – სტერეო-ქრომატიზმი, კ.ი. იონების განლაგება მესრის სიღრმეში.

ალოქრომატულ მინერალებში ფერი გამომწვევილია არა მინერალის ქიმიური ბუნებით, არამედ წვრილად გაფანტული მინარევით. ფევდოქრომატული ანუ ცრუ ფერი დაკავშირებულია სხვადასხვა სახის სინალის ეფექტან, მეტწილად ინტერფერენციასთან (ტოპაზი), ოპალესცენციასთან (ოპალი), ირიზაციასთან (ლაპრალორი) და ა.შ.

ძვირფასი ქვების ფერების გამომწვევი ქრომოფორებიდან პირველი ადგილი უკავია რკინას, მეორე-ქრომს.  $\text{Fe}^{3+}$ -ით გამოწვეულია წითელი, მურა ფერი (გრანატი, კროვავიკი),  $\text{Fe}^{2+}$  (უფრო სუსტი ქრომოფორია) გვაძლევს მწვანე ფერს, რომელიც ზოგჯერ მურა მწვანე ან ყვითელ-მურა ფერში გადაის.  $\text{Fe}^{-3}\text{Fe}^{2+}$  დამოკიდებული ქრიზოლითის, ეპიდოტის, მწვანე ტურმალინის ფერები. ფერი უფრო ინტენსიურია, როდესაც ორივე იონი  $\text{Fe}^{2+}$  და  $\text{Fe}^{3+}$  ერთდღრულად მონაწილეობს. ქრომი აძლევს ძვირფას ქას

წითელ, მწვანე და იისფერს.

ძვირფას ქვებში ხშირად ადგილი აქვს ფერთა ანიზოტროპიას. ამ შემთხვევაში ფერი დამოკიდებულია კრისტალოგრაფიული დერძის მიმართულებაზე. ეს მოვლენა ცნობილია პლეოქროიზმის სახელწოდებით. პლეოქროიზმი ყველა ძვირფას ქვას არ გააჩნია. მისი სიმკვეთოვე დამოკიდებულია მინერალის ქიმიურ შედგენილობაზე, ფერზე, გახურებაზე და სხვა ფიზიკურ-ქიმიურ მიზეზებზე. ობტურად ერთდღერძიან კრისტალებს ორფერიანი პლეოქროიზმი აქვთ (რასაც დიქროიზმი ეწოდება), სამდერძიანებს-სამფერიანი ტრიქროიზმი აქვთ და ა.შ. პლეოქროიზმი კარგად ჩანს ტურმალინისა და კორუნდის კრისტალებში, უფრო სუსტად-ბერილში, ამეთვისტოში და ა.შ. ძლიერ პლეოქროულია ქრიზობერილი (მწვანე, წითელი, ნარინჯისფერ-ყვითელი ფერის და ა.შ.). ძვირფას ქვებში პლეოქროიზმს პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს: დაწახნაგებისას შესაძლებელია გაძლიერდებს ქვის ლამაზი ტონები.

ზოგიერთ ქაში გამავალ სინათლეზე კრისტალის შიგნით ჩანს მცირე სიდიდის მრავალსხივიანი ვარსკვლავი. ამ მოვლენას ასტერიზმი ეწოდება. როგორც ჩანს იგი გამოწეულია კრისტალში მექანიკური მინარევების ორიგნერიტებული მიკროსკოპული ჩანართების არსებობით. ასტერიზმი კარგად ჩანს საფირონში, ნაკლებად-ალექსანდრიტში, ლალში. ვარსკვლავები მეტწილად მოთეთრო ან ლურჯი ფერისაა, მარგალიტისებრი ციმციმით ეს მოვლენა სინოეზურ ძვირფას ქვებში არ შეიმჩნევა.

ხშირად ქრომოფორი ელემენტი სივრცულ მესერში ჩაენაცვლება ძირითად ელემენტს და უფერო კრისტალი კაშაშა, ძვირფას ქვად გარდა-იქმნება. მაგალითად, 0,3-0,2 პროცენტიანი ქრომის ჟანგი ბერილს გარდაჭმის ძვირფას ზურმუხტად, უფრო მცირე მანგანუმის უმნიშვნელო ნაწილაკი – ვარდისფერ ვორობიერიტად. ზოგჯერ ტურმალინის კრისტალის ერთ ბოლოს მანგანუმი აძლევს ვარდისფერს, მეორე ბოლოს კი რეინის ჟანგი-მწვანე ფერს. ასეთ შემთხვევაში კრისტალის ხრდის დროს შეცვლილია მინარევის შედგენილობა. ქრომი ლალს აძლევს წითელ ფერს, ზურმუხტ-მწვანეს, რიცნა ზოგ მინერალს აძლევს მწვანე ფერს, ზოგს-ლურჯს ან წითელს. ერთი და იგივე ქრომოფორი თუ რა ფერს მისცემს ძვირფას ქვას, ეს მინერალის შედგენილობასა და სტრუქტურაზეა დამოკიდებული. გარეგანი ზემოქმედება (გახურება, დასხივება) მნიშვნელოვნად ცვლის ძვირფასი ქვის ფერს. გახურებისას ოდნავ იცვლება ყავისფერი და მწვანე ალმასის ფერი, ლალი გახურებისას გაიცლის ფერთა მთელ გამას, მაგრამ გაცივებისას, როგორც წესი, პირვანდელი ფერი ადსდგება. ასევე, წითელი შპინელის ფერი 1300°-მდე გახურებისას მნიშვნელოვნად იცვლება, მაგრამ გაცივებისას უბრუნდება პირვანდელს. აქვამარინი და ყვითელი ბერილი გახურებით უფერულდება, გაცივებისას კი მტრედისფერი ჩდება. ყავისფერი და ყვითელი ტოპაზი 300-400°-მდე გახურებისას ვარდისფერში გადადის, წითელი ტურმალინი უფერულდება, ამეთვისტო და ციტრინი – 500-600°-ზე გახურებით უფერულდება და ა.შ.

ძვირფასი ქვების ფერი იცვლება რადიუმის, რენტგენის, ულტრაიისფერი სხივების ან ნეიტრონების მოქმედებითაც. ძვირფასი ქვების ფერსა და ორზე გავლენას ახდენს განათება. მაგალითად, ძვირფასი ქვა უფრო მტრედისფერი ხდება მზის ულტრაიისფერი სხივების მოქმედებით. ვარდისფერი ტურმალინი ხელოვნურ სინათლეზე მუქდება, კარგავს თავის

ფერს. ზურმუხტი და ლალი ყველანაირი განათების დროს ინარჩუნებს ფერს, სადამოთი აქვამარინი მკრთალდება, საფირონის ფერი, პირიქით უფრო მუქდება და ა.შ.

ფერთა თამაში – ზედაპირის მჭახე ან ცისარტჰელისებრი შევერილობაა. ის აისხება იმით, რომ მინერალის მევიანობის მატებისას მის ზედაპირზე ჩნდება თხელი ზედაპირული ფერი. მოიასამნისფრო და მოლურჯო ფერთა თამაში ახასიათებს ბორნიტს  $\text{Cu}_5\text{FeS}_4$ . ფერთა თამაში დამახასიათებელია ქალკოპირიტისათვის  $\text{CuFeS}_2$ , და ანტიმონიტისათვის  $\text{Sb}_2\text{S}_3$ .

ირიზაცია და ოპალუსცენცია (დამახასიათებელია ფერადი გარდამავალი ფერები) ტიპურია, მაგალითად, ლაბრადორისა და ოპალისათვის.

**საზის ფერი.** ამ ტერმინით იგულისხმება მინერალის წმინდა ფენილის ფერი. ამას ადვილად მივიღებთ, თუ მინერალებს, რომელთა სიმაგრეც არც თუ ისე დიდია, გავატარებთ ფაიოფერის ფირფიტაზე. ეს თვისება მინერალის ფერთან, შედარებით გაცილებით უფრო მუდმივია და მაშასადამე დიაგნოსტიკასათვის უფრო საიმედოც. რიგ შემთხვევაში მინერალის ხაზის ფერი თანხვდება მინერალის ფერს. მაგალითად სინგურის და მისი ხაზის ფერი წითელია, მაგნეტიტის – შავი, ლაზურიტის – ლურჯი და ა.შ. სხვა მინერალებში შემჩნეულია მინერალის ფერსა და ხაზის ფერს შერის საგმაოდ მკეთრი განსხვავება, მაგალითად ფოლადისებრ – ნაცრის-ფერი ან შავი ჰემატიტი იძლევა წითელი ხაზის ფერს. სხვადასხვაფრად შეფერილი სფალერიტი ტოვებს შესაბამისად მოშინდისფრო წითელი ხაზის ფერს, კვითელ და მუქ გავისფერ ხაზს. ოქროსფერი პირიტი და სხვა არა შავი მინერალი იძლევა შავ ხაზის ფერს და ა.შ. გამჭვირვალე და ნაცვრად გამჭვირვალე ფერად მინერალთა უმრავლესობას აქვს უფერო ან დია ხაზის ფერი. ამიტომ ხაზის ფერს დიდი მნიშვნელობა აქვს ძრითადად არაგამჭვირვალე და ნაცვრადგამჭვირვალე მუქი ფერის მინერალების დიაგნოსტიკისათვის.

**კლვარება.** მინერალის კლვარება დამოკიდებულია ზედაპირიდან სინათლის სხივის არეკვლასა და მასზე დაცემული სინათლის სხივის გარდატეხის მახვინებელზე. ამ ნიშნის მიხედვით არჩევენ შეტალურ, შეტალისებრ და არაშეტალურ კლვარებას. შეტალური კლვარება ახასიათებს ბევრ ხალას ელემენტს, გოგირდოვან ნაერთებს (გალენიტი, ქალკოპირიტი, მოლიბდენიტი, პირიტი, ანტიმონიტი და ა.შ.). შეტალისებრი – ზოგიერთ ჟანგულს (ჰემატიტი, ეკვარიტი და სხვ.). არაშეტალური კლვარება გამჭვირვალე მინერალებისათვის არის დამახასიათებელი.

**არაშეტალური** კლვარებიდან არჩევენ: **ალმასისებრი** – ალმასი, კასი-ტერიტი, რუტილი, ცირკონი; **მინისებრი** – კვარცი, ფლუორიტი, კორუნდი, მპინელი, სფალერიტი, დისტენი, გრანატები, ბევრი სულფატი და კარბონატი; **სადაფისებრი** – ქალცედონი, ჰალფაზიტი, გარნიერიტი, ფირფიტოვანი თაბაშირი; **ცხიმოვნი** – ნეფელინი, შეელიტი, გოგირდი (მონატეხზე); **აბრეშუმისებრი** – ქრიზოლიტი-აზბეგსტი, თაბაშირი (სელენიტი), მალაქიტი, სერიციტი; **ფისისებრი** – ურანიტი, ორთიტი.

**კლემტრული თვისებები.** დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს კრისტალის კლემტრულ თვისებებს (პირ და პიეზოელექტრობა).

**პიროვლებებისა - ელექტრობა**, რომელიც კრისტალში ტემპერატურის ცვალებადობისას აღიძვრება. როცა, ელექტრული დამტენები აღიძვრება მხოლოდ კრისტალის ბოლოებში – მათ ეწოდებათ დიელექტრიკები. პიროვლებების ფიზიკა ახასიათებს იმ კრისტალებს, რომელთაც არ გააჩნიათ სიმეტრიის ცენტრი. განსაკუთრებით ძლიერად ეს თვისება ახასიათებს ტურმალინის კრისტალს.

**ჰერცოლებებისა - ელექტრობა**, რომელიც კრისტალის გაჭიმვის ან შევიწროებისას აღიძვრება (პირდაპირი პიეზოელექტრული ეფექტი). თუ კრისტალ შევავიწროვებთ, მის ბოლოებზე აღიძრება ელექტრული იმპულსი, იმავე კრისტალის გაჭიმვისას იმავე ბოლოებზე ასევე აღიძრება ელექტრული იმპულსები, ოღონდ საპროცესირო ნიშნით.

ბუნებრივი კრისტალებიდან პიეზოელექტროებისათვის ყველაზე მეტად გამოიყენება მთის ბროლისა და პიეზოკარცის გამჭვირვალე კრისტალები, ხოლო ხელოვნურიდან – სეგნეტური მარილის კრისტალები და სხვა რამდენიმე შენაერთი.

**მაგნიტურობა**. ეს თვისება ახასიათებს არც თუ ისე ბევრ მინერალს. განსაკუთრებით ძლიერი მაგნიტური თვისება ახასიათებს მაგნეტიზებს, ანუ მაგნიტურ რენიას  $\text{FeFe}_2\text{O}_4$ , სუსტი – პიროტინს  $\text{Fe}_{1-x}\text{S}$  ეს მინერალები იზიდავენ მაგნიტურ ისარს, ხოლო მაგნეტიზებს შეუძლია გარკვეული მეტადური საგნების დაჭერაც.

მინერალები, რომელთაც მაგნიტური ვალი აქვთ ფერმაგნიტურს უწოდებენ, ესენია ძირითადად ჟანგეულები. ხოლო რენიის შემცველი მრავალი მინერალი (ილმენიტი, პიროქსენი და სხვა.) ხასიათდება სუსტი მაგნიტურიბით, მათ **ჰარამაგნიტური** მინერალები ეწოდებათ.

ასევე არსებობს მინერალები, რომლებიც მაგნიტისაგან განიზიდებიან, მოძრაობები მაგნიტის მიახლოებისას საპროცესირო მიმართულებით, მათ **ჰარამაგნიტებს** უწოდებენ (კალციტი, ჰალიტი, გრაფიტი, თვითნაბადი თქრო, კერცხლი, ბისმუტინი).

მინერალების უმცირესი ნაწილაკების მაგნიტურობას სინჯავენ მაგნიტის შეხებით.

**ლუმინესცენცია**. მინერალი შეიძლება ანათებდეს სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით: გახურების შედეგად, წევეის ზეგავლენით, ულტრაიისფერი, კათოდური და რენტგენული მოკლე ტალღიანი სხივებით დასხივებისას შეიძლება თვითონ გამოასხივონ შექი. ამ მოვლენას ლუმინესცენცია ჰქვია. ანსხვავებენ: ფლუორესცენცია-ნათება, რომელიც წყდება იმ წევას, როცა წყდება მასზე მოქმედება და ფლუორესცენცია-ნათება, რომელიც გამაღიზიანებელი მოქმედების შეწვევის შედეგად გარკვეული დროით გრძელდება. არსებობს თერმოლუმინესცენცია – ნათება გახურების შედეგად.

ერთი და იგივე მინერალი შეიძლება იყოს ლუმინესცენციებული სხვადასხვა ფერებით და შეიძლება აღმოგანისაოთ ლუმინესცენცია სხვადასხვაგარი. ულტრაიისფერ სხივებში ფლუორიტი ბრწყინვავს იისფერი ფერით, ტუნიტი-მწვანე, შეელიტი-ცისფერი, კორუნდი-ულოსებრ-წითელი, კალციტი-კვითელი და ა.შ.

**რადიოაქტიურობა**. რადიოაქტიურობა ეწოდება ერთი ქიმიური ელემენტის არამარი იზოტოპების გარდაქმნას მეორის იზოტოპებად ელემენტარული ნაწილაკების გამოსხივების შედეგად. რადიოაქტიური ელემენტებია:

ურანი, რადიუმი და თორიუმი.

რადიოაქტიურობის დადგენა ხდება სხვადასხვა ელექტროსკოპების მეშვეობით, იონიზაციის კამერით და სხვადასხვა დანაღვარების დახმარებით.

**სითბოგამტარობა.** ეს არის მინერალის უნარი გაატაროს სითბო. კარგი სითბოგამტარებია კეთილშობილი ლითონები. სითბოს ყველაზე ცუდად ატარებს ქარსები, გრაფიტი.

### მინერალებისა და მათი აგრეგატების მორფოლოგია.

ბუნებაში მყარ მინერალთა უმრავლესობა გავრცელებულია უსწორო ფორმის მარცვლების სახით, რომელთაც არა აქვთ კრისტალური წახნაგები, მაგრამ მიუხედვად ამისა და მათი სიდიდისა აქვთ შინაგანი კრისტალური აღნაგობა. კარგად განვითარებული კრისტალები გაცილებით უფრო იშვიათად გვხვდება.

მინერალთა გარეგანი სახე მრავალნაირია. ის განისაზღვრება მათი ზომებითა და მორფოლოგიით. მინერალთა მორფოლოგია, მათი იერი სასიათება სიგრცეში სამი განზომილებით და გამოისახება სიგრძის, სიგანის და სიფართის ურთიერთ შერწყმით. სხვადასხვაგარ მინერალთა ფორმებსა და კრისტალურ მარცვლებს შორის დამოკიდებულების მიხედვით გამოყოფილია ტიპები და სახესხვაობები.

მინერალთა	მორფოლოგიური	ნიშნები
↓	↓	↓
წაგრძელებული ფორმები	იზომეტრული ფორმები	ორი
↓		მიმართულებით
ბოძისებრი		წაგრძელებული
↓		↓
ნემსისებრი		ფირფიტისებრი
↓		↓
ძაფისებრი		ფურცლისებრი
		თხელქერცლოვანი

იზომეტრიულ კრისტალებს ან მარცვლოვან მინერალებს ყველა მიმართულებით ერთი ზომები აქვთ. ასეთებია, მაგ: გრანატის, მაგნეტიტის, ალმასის, სფალერიტის, პირიტის კრისტალები. წაგრძელებული ტიპის მინერალების სიგრძე გაცილებით ჭარბობს მის სიგანეს. მათ შორის გვხვდება სვეტისებური, ნემსისებრი, ნინირისებრი, თმისებრი სახესხვაობები. წაგრძელებული მინერალების მაგალითია ტურმალინი, ბერილი, ნატროლიტი, ქრიზოლიტი, აზბესტი, თაბაშირ-სელენიტი. გაბრტყელებული მინერალები განიჩევიან თავიანთი სისქით, რომელიც სიგანეს გაცილებით ჭარბობს. ისინი წარმოდგენილია ფირფიტოვანი, თხელფირფიტოვანი, ფურცლოვანი და

თხელქერცლოვანი სახე-სხვაობებით. ასეთი მინერალებია ილმენიტი, ჰემატიტი, ბიოტიტი, ქლორიტი.

წაგრძელებულ-გაბრტყელებული კრისტალები – კოლუმბიტი, ბარიტი, თაბაშირი, კანიტი, სპოდუმენი, ვოლასტონიტი.


გარდა ამისა ცნობილია კრისტალთა რთული ფორმები, მაგ: კრისტალური დენდრიტები ან საერთოდ უსწორო ფორმის კრისტალური წარმონაქმნები.

კრისტალური ინდივიდთა იერის გარდა არჩევნ აგრეთვე **კრისტალების ჰაბიტუსს**, რომელიც მხოლოდ კარგად დაწახნაგებულ მინერალებს მიეკუთვნება. ჰაბიტუსის დახასიათება ექვარება მოცემული მინერალის კრისტალებზე ამა თუ იმ გაბატონებულ კრისტალოგრაფიულ ფორმებს. მაგ: კუბური ანუ ჰექსაედრის სახე აქვს პირიტს, გალენიტს, ჰალიტს; ოქტაედრული – ალმასს, მაგნეტიტს, ფლუორიტს; ტეტრაედრული – სფალერიტს, ტეტრაედრიტს; პრიზმული – დიოპსიდს, ბივრილს; დიაპირამიდული – შეელიტს, ცირკონს და ა.შ.

კრო და იგივე კრისტალიზაციის და გამყარების შედეგად წარმოშობილ მინერალთა ერთობლიობას **აგრეგატები** ეწოდება. ქვემოთ მოცემულია მინერალური აგრეგატების შთავარი ტიპების აღწერა. აგრეგატები არიან მონომინერალური ე.ი. ერთი მინერალის კრისტალების მარცვლებისაგან შემდგარი და პოლიმინერალური – წარმოიდგენილი რამდნომებ სხვადასხვა შედგენილობისა და თვისებების მქონე მინერალით.

აღნაგობისა და მორცოლოვანური ნიშნების მიხედვით მინერალური აგრეგატები უაღრესად სხვადასხვაგვარია. მინერალები ნივთიერების კრისტალურობის სარისხის მიხედვით იყოფა: ნათლადკრისტალური და ფარულკრისტალური.

აგრეგატებიდან უმნიშვნელოვანებია მარცვლოვანი აგრეგატები, რომლებიც უდიდესი გავრცელებით სარგბებლობენ მიწის ქერქში, სწორედ მათი საშეადებითაა აგებული ყველა კრისტალური ქანი. მარცვლოვანი აგრეგატები განიჩრევიან მარცვლების სიდიდით: მსხვილმარცვლოვანი, საშუალომარცვლოვანი, წვრილმარცვლოვანი; ასევე განასხვავებენ თანაბარმარცვლოვან და არათანაბარმარცვლოვან აგრეგატებს. მარცვლოვანი აგრეგატება შედგება იზომეტრული ფორმის მარცვლებისაგან. მიწისებრი აგრეგატები დამახასიათებელია ფხენილისებრი, დაფშენილი მინერალებისათვის და დანალექი ქანებისათვის – თიხა, ბოქსიტი და ა. შ.



სურ. 2. მინერალთა კანონზომიერი შენაზარდები: ა. ფლუორიტი, ბ. თაბაშირი, გ. სტავროლიტი

**მრჩებლები** ეწოდება ერთი და იგივე მინერალის ორი კრისტალის კანონზომიერ შენაზარს (სურ. 4), მრჩობლში ინდივიდები შეიძლება

ურთიერთ შეთავსებულნი იყვნენ ან გარკვეული დერძის ირგვლივ 180°-ით შემობრუნებით ან სიმეტრიის სიბრტყის არეკვლით (სურ. 4,ბ) ან ინვერსიის გზით (სურ. 4,გ).

ზოგი მინერალისათვის მრჩობლების არსებობა ტიპიურია და ხშირად ადვილებენ მათ დიაგნოსტიკას. ასეთებია, მაგალითად თაბაშირის ეგრეთწოდებული „მერცხლის კუდები“, სტავროლითის ჯვარისებრი მრჩობლები და სხვა.

მინერალის არსებობის ფორმა უმრავია ბუნებაში, რომელთაგან გამოვყოფთ:


**დრუზები** წარმოადგენს ამა თუ იმ სიცარიელის კედლებზე დაზრდილ კარგად განვითარებული ცალკეული კრისტალების არაპანონიერ შენაზარდებს, რომელთა ერთი ბოლო მიმაგრებულია საერთო ფუძეზე გვხვდება მსხვილი, ძალზედ ლამაზი კვარცის, კალციტის, ტოპაზის, პირიტის და სხვა მინერალების დრუზები.

დრუზებში კრისტალები ზოგჯერ ერთმანეთს მჭიდროდ ეხებიან და საკარცხლისებრ ან ჯაგრისისებრ აგრეგატს ქმნიან (ნახ. 5).




სურ. 5. კვარცის დრუზა

**კონკრეციები** წარმოადგენს სფეროსებრ ან არამოლიანად წესიერი სფეროს ფორმის (ნახ. ), ზოგჯერ სხივისებრი აგებულების სხეულს. სხეულების კონკრეციის ზომები ფართო დიაპაზონში ცვალებადობს. მათი ზომები რამდენიმე მილიმეტრიდან ათეულ სანტიმეტრამდე და ზოგჯერ მეტრამდეც აღწევს. კონკრეციები ხშირად, მაგრამ არა ყველთვის წარმოიშვებიან უცხო სხეულის ირგვლივ, რომლებიც ბევრ შემთხვევაში ორგანულ ნაშთებს წარმოადგენენ. კონკრეციის ჩამოყალიბება დაკავშირებულია ნივთიერების პერიფერიიდან ცენტრისაკენ მოძრაობით, ამასთანავე კრისტალების ზრდა საპირისპიროდ ცენტრიდან პერიფერიისკენაა. კონკრეციები გვხვდება მაგალითად თიხებზი, ქვიშებში და სხვაგან. კონკრეციების სახით გვხვდება მინერალი ფოსფორიტი, მარკაზიტი, პირიტი და სხვანი.



სურ. 6. დანალექი წარმოშობის პირიტის კონკრეციები

**სეჭველა** წარმოშობა კრისტალური ან კოლოიდური ნივთიერებებით სწორი, მაგრამ ჩვეულებრივ, მომრგვალებული სიცარიელეების შევსების შედეგად. სადაც მინერალური აგრეგატების ზრდა მიმდინარეობს პერიფერიიდან ცენტრისკენ. მათ რადიალურ ბოჭკოვნი ფორმა აქვს. ოუ სეკრეცია 1-2ს-ხე დიდი ზომისაა, მას კვლა ეწოდება (ნახ. 7). პატარა ზომის სეჭველებს კი ნუშერები ეწოდებათ, ისინი ძირითადად ზოგიერთი ეფუზიური წარმოშობის ქანში გვხვდება.



სურ. 7. ჟეოდა, შევსებული ქალცედონითა და კვარცის დრუზით

პატარა სიცარიელეები მინერალური ნივთიერებებით, ჩვეულებრივ მთლიანად ივსება, დიდი სიცარიელეების ცენტრში კი ხშირად გვხვდება სიცარიელე-რომლის ეყდლები მოფენილია კრისტალთა დრუზებით ან ნადენი ფორმებით.

**დენდრიტები** – ანუ მცენარის ტოტისმაგვარი ფორმები მიიღება სწრაფი კრისტალიზაციის დროს წვრილ ნაპრალებში ან ბლანტ გარემოში, როდესაც კრისტალები ერთმანეთს ეზრდება და ქმნის ტოტისმაგვარ ფორმებს. ხშირია შავი ფერის დენდრიტები მანგანუმის ნაერთების (ნახ. ), თვითხაბადი ვერცხლის და სპილენბის.



სურ. 8. მანგანუმის ჟანგის დენდრიტები

**ოფლითები** პატარა სფეროსებრი წარმონაქმნებია, რომელთა დიამეტრის ზომა  $0.05\text{მმ} - 2\text{-}3\text{სმ}$  ფარგლებში ცვალებადობს. მათი წარმოშობა ბევრი კონკრეციების წარმოშობის ანალოგიურია. ჭრილში მათ კონცენტრული აგებულება აქვთ; ცენტრში შეიძლება დავინახოთ ნიუარის ნატეხი. ოფლითები დამახასიათებულია არაგონიტის, ბოქსიტის, ლიმნონიტისათვეს.

**ნედნი და თირკმლისებრი** აგრეგატები (სურ. 9) ფართოდაა გავრცელებული ზედაპირულ წარმონაქმნებში. ნედნ ფორმებს აქვთ ყინულის ლოლოს ფორმა, ზევიდან ზრდის შემთხვევაში მათ სტალაქტიტი ხოლო ქვევიდან – სტალაგმიტი ეწოდება. კალციტის სტალაქტიტები და

სტალაგმიტები ხშირია კარსტულ გამოქვაბულებში, კირქვებს შორის.




სურ. 9. ჰემიტიტის თირკმლისებრი აგრეგატები

ნადენი (ნაღვენთი) და თირკმლისებური აგრეგატები დამახასიათებელია მაღაქიტისთვის, ჰემიტიტისთვის, ქალცედონისთვის, არაგონიტისთვის (სურ. 10) და სხვა მინერალებისათვის. ასეთი აგრეგატების ჭრილი გვიჩვენებს ზონალურ აგებულების, რაც აისხნება მათ წარმოქმნელ ხსნარებში ნივთიერი შედგენილობის ცვალებადობით.



სურ. 10. არაგონიტის თირკმლისებური აგრეგატები

არსებობს მინერალები მისთვის არა მახასიათებელი ფორმით. ასეთ წარმონაქმნებს ეწოდებათ **ფსევდომორფოზი** („ფსევდო“ – უცხო, „მორფოს“ – ფორმა). მაგალითად ლიმონიტის ფსევდომორფოზა პირიტის მიმართ, ამ შემთხვევაში ლიმონიტს აქვს პირიტის კუბის ფორმა შენარჩუნებული ზოგჯერ დაშტრიხული ზედაპირითაც (ნახ. 11).



სურ. 11 ლიმონიტის ფსევდომორფოზა (კუბური კრისტალები) პირიტის მიმართ

იმ შემთხვევაში, როცა ახლად წარმოქმნილ მინერალს აქვს იგივე ქიმიური შედგენილობა, როგორც იმ მინერალს, რომლის საფუძველზეც ის

ვითარდება, იწოდებიან **პარამორფზებად.** ასეთია მაგალითად:  
მაღალტემპერატურული ჰექსაგონური კვარცის გარდაქმნა  
დაბალტემპერატურულ ტრიგონულ კვარცად.

### მინერალურმოქმნის გეოლოგიური პროცესები

მინერალი – არის ბუნებრივი ფიზიკურ-ქიმიური პროცესების პროდუქტი. მინერალურმოქმნის პროცესები იყოფა ორ დიდ ჯგუფად: ენდოგენურ და ეგზოგენურ პროცესებად.

**ენდოგენური** (პიპოგენური, სიღრმული) პროცესები მიმდინარეობს მიწის ქერქის სიღრმეში და ძირითადად მაგმის მოქმედებასთანაა დაკავშირებული. მაგმის გაციების პროცესებს მივყავართ სხვადასხვა მაგმური ქანის ჩამოყალიბებასთან, ხოლო მაგმიდან განცალკევებულ აირად და წყლოვან ხესარებს გადააჭვო სხვადასხვა ნივთიერება, რომელიც შესავერის პირობებში, მაგალითად ნაპრალებში, ინდივიდუალურებული მინერალების სახით გამოიყოფიან.

**ეგზოგენური** (პიპერგენული, ზედაპირული) პროცესები მიმდინარეობს მიწის ზედაპირზე ან მის მახლობლად, ასევე ატმოსფეროში და ჰიდროსფეროში. ეს პროცესები დაკავშირებულია ქანებისა და მინერალების ფიზიკურ და ქიმიურ ნგრევასთან, რის შედეგადაც ყალბდება ახალი ქანი და მინერალი, მიწის ზედაპირის პირობებში გამძლე. აქევე მიმდინარეობს ბიოგენური პროცესები.


ქანები და მინერალები ფიზიკურ-ქიმიური პირობების შეცვლისას მიწის ქერქში განიცდიან გარდაქმნას – **მეტამორფიზმს.** რის შედეგადაც წარმოიქმნებიან ახალი მინერალები და ქანები, რომლებსაც ეწოდებათ **მეტამორფული.**

### მინერალურმოქმნის ენდოგენური პროცესები

ენდოგენური პროცესები ასე თუ ისე ყოველთვის მაგმასთანაა დაკავშირებული. მათ შორის გამოიყოფა მაგმური, პეგმატიტური, პნევ-მატოლითური და ჰიდროთერმული პროცესები.

**მაგმური პროცესი** უშუალოდ მაგმის კრისტალიზაციასთანაა დაკავშირებული. მაგალითად გრანიტი შედგება მინდვრის შპატის, კვარცისა და ქარსებისაგან. ამ მინერალების წარმოშობა აღნიშებულ სიტუაციაში – მაგმურია. ასევე მაგმური წარმოშობისაა აპატიტი, ცირკონი, ალმასი, პლატინა, ქრომის მანქები, ნიკელი, სპილენი, რკინა და ა.შ.

**ჰექმატიტური პროცესი.** გრანიტული მაგმის კრისტალიზაციისას ყალიბდება სილიკატური მდნარი, რომელიც გამდიდრებულია იშვიათი ელემენტების შენაერთებით და აქროლადი ნივთიერებებით – მინერალიზატორებით. ეს სილიკატური მდნარი იქრება შემცველ ქანებში, აგრეს ნაპრალებს, ქმნის მსხვილკრისტალურ ძარღვულ სხეულს-პეგმატიტს (ნახ. 12).



სურ. 12. პეგმატიტური პროცესის განვითარებისა და პეგმატიტური ტიპების ურთიერთქმედების სქემა 1. წყრილმარცვლოვანი გრანიტი  
2. მსხვილმარცვლოვანი გრანიტი; 3-4 წერითი გრანიტი; 5. მიკროკლინის ზონა; 6. კვარცის ზონა; 7. ალბიტის ზონა; 8. Li -ს და Be -ს მინერალები;  
9. მუსკოვიტ-კვარც-ალბიტიანი ზონა; 10. შემცველი ქანები

პეგმატიტები მდიდარია სხვადასხვა მინერალებით. მირითადი ქანმაშენი მინერალების გარდა (მიკროკოლინი, ალაგიოკლაზები, კვარცი, მუსკოვიტი და ბიოტიტი) სშირად გვხვდება ტურმალინი, ზოგიერთი პეგმატიტისთვის დამახასიათებელია ბივრილი, სპოდუმენი, ლეპიდოლიტი, ტანტალიტი, კოლუმბიტი, იშვიათი მიწების მინერალები, ორთიტი და სხვა მრავალი. ადრინდელი პერიოდის პეგმატიტებისთვის ტიპიურია კვარცისა და მინდვრის შპატის თანადროული კრისტალიზაცია, რასაც მივყავართ “წერითი გრანიტის” (კვარცის და მინდვრის შპატის კანონზომიერი შენაზარდის) ჩამოყალიბებასთან (ნახ. 13).



სურ. 13. წერითი გრანიტი

**პეგმატოლიტური პროცესი ან პეგმატოლიზი.** (პეგმა-ბერნეულად „აირი“). პეგმატოლიზი არის მინერალის წარმოქმნის პროცესი აირადი ფაზიდან. პეგმატოლიზის პროდუქტი – პეგმატოლითი – იყოფა

ველგანურად და სიდრმულად.

**პიდროთერმული პროცესი.** პიდროთერმები—ცხელი წყლოვანი ხენარი, რომელიც გამოიყოფა მაგმიდან ან ფალიბდება აირების შეკუმშვით. პიდროთერმების მოძრაობის მიზეზია წნევის სხვობა. როცა ხენარების შინაგანი წნევა უფრო დიდია ვიდრე ზედაპირული, ხენარები მიემართებიან უფრო მცირე წნევისაკენ, ძირითადად ზევით, ზედაპირისაკენ. თავისი მოძრაობისას ისინი იყნებენ ტექტონიკურ რღვევებს, ნარალებს, კონტაქტურ ზონებს. მათი ფორმა ხშირად ძარღვისებრია. უმთავრესი ძარღვული მინერალი კვარცია (ნახ. 14).



სურ. 14. ტიპიური პიდროთერმული ძარღვები, შევსებული კვარცისა და ანკერიტის კრისტალებით

პიდროთერმული პროცესის გამოვლინებისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი პირობები იქმნება მცირე და საშუალო სიდრმეებზე (ზედაპირიდან 3-5 კილომეტრამდე). პიდროთერმულ წარმონაქმნთა მთავარი მასა სივრცობრივად და გენეტურად ძირითადად დაკავშირებულია შევე ქანების ინტრუზივებთან.

პიდროთერმული წარმოშობისაა იშვიათი და რადიოაქტიური მეტალები, ოქრო, ასევე არამეტალური სასარგებლო წილისეული.

მინერალთა ამა თუ იმ გაბატონებული ასოციაციის და ჩამოყალიბების ტექტურატურის მიხედვით ამ წარმონაქმნებს სრულიად პირობითად ჰყოფენ მაღალ, საშუალო და დაბალ ტექტურულულად.

### მინერალურმოქმნის ეგზოგენური პროცესები

მიწის ქერქის ზედაპირზე ხდება მინერალებისა და ქანების ენერგიული ნგრევი. ქიმიური და ფიზიკური აგენტების (ჟანგბადის, ნახშიროვანგის, წყლის, ტექტურატურის) ერთობლივ მოქმედების პროცესებს გამოყიტვის პროცესი ეწოდება.


**გამოყიტვის პროცესები** გამოიხატება უმთავრესად, ქანებისა და მაღნების მექანიკურ დაშლაში ძირითადად ტექტურატურის ცვალებადობის შედეგად, რაც იწვევს ქანების და მაღნების შემადგენელ მინერალთა დეზინტეგრაციას. გამოფიტვის აგენტებია აგრევევე ქარი და წყალი, პაერის ჟანგბადი და ნახშირმეფავა, ორგანიზმების ცხოველმოქმედება.

პროცესის ფიზიკური მოქმედებისას ხდება ქანებისა და მინერალების მექანიკური დაშლა — მათი დეზინტეგრაცია. ნატეხი მასალა ან ადგილზე რჩება, ან გადაიტანება წყლის მეშვეობით. რის საფუძველზეც წარმოიქმნება ნაშალი მასალა — საჭირო წყარო ახალი მინერალებისათვის.

ზედაპირზე განვითარებული მცენარეული საფარი და მასთან ერთად

ადვილად ხსნადი სხვადასხვა ორგანული ნაერთები შესამჩნევად აძლიერებენ ქანებისა და მაღალი ქიმიური დაშლის პროცესებს.

ქიმიური მოქმედებისას ხდება მინერალების ქიმიური დაშლა და ყალიბდება ახალი მინერალები, ზედაპირული პირობებისათვის უფრო გამძლე (ნახ. 15).



სურ. 15. პიდროთერმული სულფიდური ძარღვის გამოფიტვის სქემა ა. რკინის ქუდი ან ძარღვის გამოსავალი, შედებილი რკინის ჟანგით;

ბ. გამოტებულის ზონა;

გ. დაშანგული გამდიდრებული ზონა (მალაქიტი, აზურიტი, კუპრიტი, თვითნაპადი სპილენზი, ქრიზოკორლა);

დ. მეორადი სულფიდური გამდიდრების ზონა (ქალკოზინი, კოველინი, ბორნიტი და სხვ.).

ე. პირველადი სულფიდები (ქალკოპირიტი, პირიტი და სხვ.).

ქიმიურად მდგრადი მინერალები (ისეთები, როგორიცაა კვარცი, ოქრო, პლატინა და სხვა) და აგრეთვე მნელად ხსნადი ახალი წარმონაქმნები მიწის ზედაპირზე გროვდებიან.

**დალექსის პროცესი.** გამოფიტვის აგენტების ზეგავლენით წარმოქმნილი ნაშალი მასალა ქანების ნატეხებისა და მინერალების სახით გადაიტანება წყლის ან ქარის მეშვეობით. ამ დროს მიმდინარეობს მასალის დახარისხება. ამ გზით ხდება ნამსხვერევი მასალა (ხვინჭა, როჭკი, ქვიშა და სხვ.) ზღვებში და ტბებში, სადაც ყალიბდება ე.წ. მექანიკური ნალექები.

მინერალების ქიმიური დალექსა ხდება როგორც ჰეშმარიტი, ასევე კოლოიდური ხსნარებიდან. ტბებსა და ზღვებში ისეთი პირობები ყალიბდებოდა, როცა გახსნილ ნივთიერებებს არ შეუძლიათ ხსნარში ყოფნა და ნალექში გადადიან. ასე წარმოიშობა მარგალი მარილი: თაბაშირი, პალიტი, ფარნალიტი და სხვა. ეს ქიმიური ნალექებია.

მარილების დაგროვება მშრალი კლიმატის პირობებში ხდება ზღვის (იშვიათად კონტრინენტური) წყლების აორთქლებისას.

მინერალების და ქანების დაშლაში დიდი როლი ეკუთვნით ცოცხალ ორგანიზმებს, ძირითადად ბაქტერიებს. ამიტომ გამოიყოფა **ბიოგენური** ან უფრო ზუსტად ბიოქიმიური პროცესი. დადგენილია ორგანიზმების მონაწილეობა ფოსფორიტების, თვითნაბადი გოგირდის, რკინის და მანგანუმის მინერალების ჩამოყალიბებაში.

ეგზოგენური მინერალების ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს **კოლოიდური** ხსნარებიც.

### **მინერალურმოქმნის მეტამორფული პროცესები**

დანალექი ქანები მიწის ქერქის მოძრაობისას შეიძლება მოხვდნენ

ლითოსფეროს უფრო ღრმა ზონებში, სადაც განსხვავებული თერმოდინამიკური პირობებია, ვიდრე ზედაპირზე. აქედან გამომდინარე ისინი განიცილიან ცვალებადობას - მეტამორფიზმს, რომლის მთავარი ფაქტორებია ტემპერატურა და წნევა. მაგალითად, კირქვის **მეტამორფიზმისას** გადადის კრისტალურ მარცვლოვან ქანები- მარმარილოში, ქვიშაქვა- კვარციტში, თიხოვანი ქანები- ფილიტში, ხოლო შემდეგ კრისტალურ ფიქლებსა და გნეისებში. მეტამორფიზმი შეიძლება განიცალონ არა მარტო დანალექმ, არამედ მაგმურმა ქანებმაც. გამოიყოფა კონტაქტური, დისლოკაციური (ანუ დინამომეტამორფიზმი) და რეგიონული შეტარეფიზმი.

**კონტაქტური** მეტამორფიზმი მიმდინარეობს დანალექი და მაგმური ქანების კონტაქტისას. თუ მაგმურ მდგარს აქვს  $1000^{\circ}$  ტემპერატურა და მდიდარია აირებით, იგი სახეს უცვლის შემცველ ქანებს და ვითარდებიან სახეცვლილი ქანები.

**კონტაქტური** მეტამორფიზმის კარგი მაგალითია ინტრუზივების კარბონატულ ქანებში შეგრა რის შედეგადაც ალუმოსილიკატური (გრანიტული) მაგმა და კარბონატული ქანი (კირქვი) მოქმედებენ ურთიერთ-შორის.

როგორც ენდოგენურ ისე ეგზოგენურ წარმონაქმნთა მეტად ძლიერი ცვლილებები ვითარდება ეგრეთ წოდებული რეგიონალური მეტამორფიზმის დროს, როდესაც ტემპორიკური გადაადგილების გამო მიწის ქერქის ზედა პორიზონტების მთელი უბნები სიღრმის პირობებში მაღალი ტემპერატურისა და წნევის პირობებში მოხვდებიან. ამ პირობებში არსებითად იცვლება ქანებისა და მაღალი მინერალური და ქიმიური შედგენილობა, აგრეთვე მათი თვისებები და გარეგანი იერი. მიმდინარეობს ნივთიერების ხელახალი გადაკრისტალება.

**რეგიონული მეტამორფიზმი** მიმდინარეობს დიდ სიღრმეში და უზარ-მაზარ ტერიტორიას მოიცავს. რეგიონული შეტარეფიზმის ტიპიური მინარალებია ქარსხი, გრანატი, დისოფინი, ანდალუზიტი და ა.შ. ისინი არიან ძირითადი ქანმაშენი მინერალები. ფართოდ გავრცელებული მეტამორფული ქანებია - კრისტალური ფიქლები, გნეისები, ამფიბოლიტები და ფილიტები.

### მინერალოგიური კვლევის მეთოდები

მინერალოგიური კვლევის ობიექტებს წარმოადგენენ მინერალები და ქანებში მინერალთა ასოციაციები.

#### მინერალოგიური კვლევის მიზანი:

1. მინერალების და მათი მინერალური სახესხვაობების დიაგნოსტიკა;
2. მინერალების ქიმიური შედგენილობის გარკვევა, მინარევიელების ჩათვლით, რომლებიც შეიძლება იყოს ( $1.10^{-6} - 1.10^{-7} \%$  - მდე);
3. მინერალების კრისტალური სტრუქტურის დადგენა;
4. მინერალების ჩამოყალიბების პირობების აღდეგენა;
5. მინერალების პრაქტიკული გამოყენების შესწავლა;

მინერალების კვლევაში უდიდესი როლი უჭირავთ შემდეგ უმთავრეს მეთოდებს:

1. ქიმიური მეთოდი;
2. ქიმიიკურ-სპექტრული ანალიზი;

3. ალის ფოტომეტრია;
4. ატომურ-აბსორბციული ანალიზი;
5. რენტგენოსპექტრული ანალიზი;
6. მიკრორენტგენოსპექტრული ანალიზი;
7. რადიომეტრული მეთოდები;
8. რადიოაქტივური ანალიზი;
9. რენტგენოსტრუქტრული მეთოდი;
10. ელექტრონული მიკროსკოპია;
11. თერმული მეთოდი;
12. ინფრაწითელი სპექტროსკოპია;
13. ლუმინესცენტრული ანალიზი;
14. თერმოარომეტრული ანალიზი;
15. მას-სპექტრომეტრია.

### მინერალების კლასიფიკაცია

მინერალთა კლასიფიცირება მრავალი ნიშნის მიხედვით შეიძლება. არსებობს გენეტიკური კლასიფიკაცია, სადაც მინერალები გამოიყოფა მათი წარმოშობის მიხედვით, მაგ: მაგმური, პეგმატიტური, სკარნული და სხვა გზით წარმოშობილი მინერალები. შესაძლებელია მინერალთა კლასიფიკაცია კრისტალოგრაფიული თვალსაზრისით, ანუ სინგრიების მიხედვით.

ყველაზე გავრცელებულია მინერალთა კლასიფიკაცია ქიმიური შედეგნილობის მიხედვით (ქიმიური ნაერთების ტიპის, ქიმიური ნაერთის სასიათის მიხედვით), სადაც გასათვალისწინებელია მინერალთა სტრუქტურული მახასიათებლები.

პირველ რიგში მინერალთა სამეფოში გამოიყოფა ელემენტარული ანუ თვითნაბადი ნივთიერებები და მათი ნაერთები. ელემენტარული ნივთიერებებიდან განვიხილავთ მინერალთა ერთ კლასს, თვითნაბად ანუ ხალას ელემენტებს.

ქიმიურ ნაერთებს შორის გამოიყოფა შემდგარი ტიპები:

**I ტიპი.** გოგირდოვანი ნაერთები ან სულფიდები ეს მეტალების გოგირდობან ნაერთია ან გოგირდის ანალოგებთან – დარიშხანთან, სტიბო-უმთან, ტელურთან, სელენთან (არსენიდი, ანტიმონიდი, ტელურიდი, სელენიდი).

**II ტიპი.** პალოიდური ნაერთები ან პალოგენები. აქ გაერთიანებულია ის მინერალები, რომლებიც ნაერთებს პალოგენებთან ქნიან: ფტორთან, ქლორთან ან იშვიათად ბრომთან და ოთოთან (ფტორიდები, ქლორიდები და ა.შ.).

**III ტიპი.** ჟანგბადთან ნაერთები, სადაც გამოიყოფა ჟანგეულები – მეტალების ჟანგბადთან ნაერთები და ჟანგბადიანი მარილები – მეტალების ნაერთები კომპლექსური ჟანგბადის ანიონებთან. ეს უკნასკნელი ფართოდაა ბუნებაში გავრცელებული და წარმოქმნიან უმთავრეს მინერალებს, რომლებიც გავრცელებულია მიწის ქერქში შემავალი ქანების შემადგენილობაში.

ქვემოთ მოყვანილია მინერალთა კლასიფიკაციის მარტივი სქემა:

1. თვითნაბადი ელემენტები.
2. გოგირდოვანი ნაერთები (სულფიდები).

3. პალოიდური ნაერთები (პალოგენები).
4. უნგეულები და ჰიდროჟანგეულები.
5. სილიკატები.
6. ბორატები.
7. კარბონატები.
8. ნიტრატები.
9. ფოსფატები, არსენატები, ვანადატები.
10. სულფატები,
11. კოლფრამატები და მოლიბდატები.

### თვითნაბადი კლემჭნტები.

ბუნებაში თვითნაბად მდგომარეობაში თითქმის 40 ქიმიური ელემენტია, რომელთა უმრავლესობა თავისუფალი სახით ძალზედ იშვიათად გვხვდება.

ქიმიური ელემენტების თავისუფალ მდგომარეობაში ყოფნა დაკავშირებულია მათი ატომების აგებულებაზე, რომელთაც აქვთ გამძლე ელექტრონული სარტყელი. ქიმიურად ინტრულ ელემენტებს ეწოდებათ კეთილშობილი, ასეთ ელემენტებს მიეკუთვნება ოქრო Au, ვერცხლი Ag, პლატინა Pt და პლატინოიდები: გვხვდება ნახშირბადის C სახესხვაობები, გოგირდი S, სამილენიo Cu და სხვა.

### მეტალები.

#### + ოქრო Au .

ქიმიურად იდეალურად სუფთა ოქრო ბუნებაში თითქმის არ გვხვდება. ის ყოველთვის შეიცავს Ag -ს, Cu -ს, იშვიათად სხვა მეტალებს, რომლებთან ერთადაც ის ხშირად წარმოქმნის მყარ ხსნარს.

სინგლის პუბური. უპრო ოქროსფერ-ყვითელი. კლემჭნტება მეტალური. სიმაგრე 2,5-3. ძალზედ კარგად იღლინება, 1გრ ოქროდან შეიძლება გაიწელოს 3ქმ სიგრძის მავთული ან გაბრტყელდეს 27გ<sup>2</sup> ფართის ფირფიტად. მონატები კაუჭისებრი. სიმკარივე სუფთა ოქროსი-19,3. მისი ღნობის ტემპერატურა - 1063 °C. კრისტალები არ ისხნება მევებში (გარდა „სამეცნ წყლისა“ - ოზუაფისა).

სახესხვაობა. კლემჭნტებუმი-ოქრო, რომელიც შეიცავს 20%-ზე მეტ ვერცხლს.

დიაგნოსტიკა: გამოირჩევა სხვა მსგავსი მინერალებისაგან ფერით, მაღალი სიმკერივით, ჰედადობით, გაბრტყელების უნარით, დაბალი სიმაგრით, მევების მიმართ მდგრადობით.

წარმოშობა. ოქრო არის ლითოსფეროს გაბნეული ელემენტი. ის თითქმის ყველა მაგმურ ქანში და ზღვის წელშია. სამრეწველო საბადოები ძირითადად დაკავშირებულია კვარც-სულფიდური ძარღვების ჰიდროთერმულ წარმონაქმნებთან. ოქრო, როგორც მდგრადი მინერალი ფართოდაა გავრცელებული ქვიშრობებში.

თვითნაბადი ოქრო ბუნებაში გვხვდება სხვადასხვა ფორმის: კრისტალების, ფირფიტის, მარცვლის, ქერცლის (სურ. 16), დაწყებული რამდენიმე

მიღიგრამიდან რამდენიმე კილოგრამამდე. უდიდესი წონის ოქროს ნატეხი ნაპოვნი იყო აგსტრალიაში. მისი წონა შეადგენს 119,9 კგ-ს. ოქროს ცნობილია ოვითნაბადი ოქრო „დიდი სამკუთხედი“ წონით 36,22 კგ, „აქლემი“ წონით 9,28 კგ და სხვ. საქართველოში ნანახი თვითნაბადი სახის ოქრო გვხვდება სხვადასხვა ტიპის მაღნებში. მათ შორის მთავარია სულფიდური, კვარციტული, ქვიშრობული და სხვ. ოქრო ქვიშრობებში, როგორც წესი უფრო სუფთაა, ვიდრე ძირეულ საბადოებში.



სურ. 16. თვითნაბადი ოქრო

ოქროს თანამგზავრები არიან პირიტი, არსენიპირიტი, ქალკოპირიტი, ბისმუტინი, რომელთა შემადგენლობაშიც ის ხშირად გვხვდება.

საქართველოში ოქრო ოდითგანვეა ცნობილი. ჩვენი წინაპრები მას იღებდნენ, როგორც ქვიშრობი საბადოებიდან, ასევე ძირეული გამადნებიდან. **საბადოები:** ენგურის, ცხენისწყლის ხეობები, ბოლნისის რაიონი (კაზრეთი, საქორისი, წითელი სოფელი), რაჭა (ზოფხიტო), აჭარა და სხვ.

**გამოყენება.** როგორც ცნობილია, ოქრო წარმოადგენს სავალუტო და უულის ლითონებს, იუქნებენ სამკაულების, ფუფუნების საგნების, ფიზიკური და ქიმიური ხელსაწყოების დასამზადებლად, სტომატოლოგიაში და სხვა მიზნებისათვის.

### ○ ვერცხლი $\text{Ag}$ .

ვერცხლი ხშირად შეიცავს  $\text{Au}$ -ს,  $\text{Cu}$ -ს,  $\text{Hg}$ -ს. **სინგონია** კუბური. ხშირია დენდრიტების სახით. **ფერი** მოვერცხლისფრო-თეთრი. **ელექტრება** მეტალური. **სიმაგრე** 2,5. **სიმკვრივე** 10,5. **მონატები** კაუჭისებრი. გამოირჩევა მაღალი ელექტროგამტარობით. დნება  $960^{\circ}\text{C}$ -ზე, მოკაშვაშე ბურთად, ადვილად იხსნება  $\text{HNO}_3$ , პარაგენეზისი  $\text{Co}$  და  $\text{Ni}$ .



სურ. 17. თვითნაბადი ვერცხლი

**წარმოშობა.** ბუნებაში ვერცხლი ზოგჯერ თვითნაბადი სახით (სურ. 17), ხოლო უფრო ხშირად შედის სპილენძისა და ტყვია-თუთის მაღნის შემადგენლობაში. თვითნაბადი ვერცხლი პილროთერმული მინერალის სახით გვხვდება სულფიდურ ძარღვებსა და ნახევრადმეტალური საბადოების ქანგვის ზონებში, სადაც ისინი ყალიბდებიან არგენტიტის ( $\text{Ag}_2\text{S}$ ) სახით.

**საბადოები.** ჩრდილო-დასავალეთ რუსეთში, მექსიკაში, ბოლივიაში, კანადაში, გერმანიაში და ნორვეგიაში, საქართველოში – ბოლნისის რაიონში. მაღნიდან ვერცხლს იღებენ ძირითად ლითონებთან ერთად, უმეტეს შემთხვევაში სპილენძის და ტყვიის გამოწვისას.

ვერცხლი გამოიყენება საიუველირო საქმეში, მონეტების დასამზადებლად, სხვადასხვა შენადნობებში, ფოტოგრაფიაში, ელექტროტექნიკაში.



### + სპილენძი Cu .

სპილენძი გვხვდება დენდრიტების, მსხვილი ფირფიტებისა და ტოტისებრი აგრეგატების სახით.

**სინგონია** კუბური. **ფერი** სპილენძისებრ წითელი, **სახის ფერი** მბრჭყვინავი წითელი. **ელემენტები** მეტალისებრი. **მონატები** კაუჭისებრი. სასიათდება მაღალი ელექტროდამტარობით.

**დიაგნოსტიკა.** ზედაპირის წითელი ფერით, საზის წითელი ფერით, ხშირად მოშავო მუქი ლურჯი ბრკით და სპილენძის სხვა მეორადი მინერალების თანაარსებობით.

**წარმოშობა.** ეგზოგენური, ოუმცა იშვიათად დაბალი ტემპერატურისას – ჰიდროთერმული.

**საბადოები.** ქანგვის ზონები, სადაც უზარმაზარი თვითნაბადი (რამდენიმე ტონა) სპილენძი იქნა მოპოვებული, ძალიან ლამაზი კრისტალებია ცნობილი ურალიდან. საქართველოში მაღნეულის საბადოებები მოიპოვება.

**გამტყვენება.** ძირითადად ელექტროტექნიკაში, მანქანათმშენებლობაში და ა.შ. ფართოდაა გავრცელებული სხვადასხვა შენადნობები სპილენძთან ერთად (თითბერი, მელქიორი).



### - პლატინა Pt .

პლატინა სუფთა სახით პრაქტიკულად არ გვხვდება. წარმოქმნის მეარე სსნარებს რკინასთან, ირიდიუმთან, როდიუმთან, სპილენძთან და სხვა მეტალებთან. ბუნებაში ყველაზე გავრცელებულია პოლიქსენი ( $\text{Pt}, \text{Fe}$ ) რინის 9-11% შემცველობით.



სურ. 18. თვითნაბადი პლატინა

**სინგონია** კუბური. **ფერი** და **ხაზის ფერი** დია ნაცრისფერი. **ელემანტები** მეტალისებრი. **სიმაგრე** 4-4,5. ჭედვადი, თოლად ექვემდებარება გლიცვას, **სიმკრივა** 21, **მონატეხი** კაუჭისებრი.

**დიაგნოსტიკა.** პლატინის განმასხვავებელი თვისებებია დიდი სიმკრივე, ღნობის მაღალი ტემპერატურა  $1771^{\circ}\text{C}$  და ქიმიური ინტენსიულობა. პლატინის ისსნება მხოლოდ ცხელ სამეფო წყალში (თეზავი).

**ჭარმოშობა.** მაგმური — გენეტიკურად კაუჭისებრიან, პერიდოტიტებთან, პიროქსენიტებთან, პლატინის თანამგზავრი მინერალებია ოლივინი, პიროქსენი, ქრომიტი, მაგნეტიტი. საბოლოოდ პლატინა გროვდება ნაშალ მასალაში, საიდანაც მოიპოვება გარეცხვის შედეგად. გეხვდება სულფიდურ საბადოებშიც.

**საბადოები.** პლატინის მატარებელია ურადის ქვიშრობი საბადოები. აქ ნაპონია მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი პლატინის თვითნაბადი მასით 9,6 გგ. პლატინის რაოდგნობა ძირითად მაღნებში არ უნდა იყოს  $0,1\text{--}0,5\text{გ/გ}$  ნაკლები, რომ მისი დამუშავება მოხდეს.

**გამოყენება.** მისი გამოყენებით მზადდება ქიმიური ჭურჭელი. ასევე გამოყენება საიუველირო საქმიანობაში და სტომატოლოგიაში.

### არამეტალები

#### O + გოგირდ S

**სინგონია** რომბული აქვს სამი პოლიმორფული მოდიფიკაცია. კრისტალებს დიანირამიდული სახე აქვთ და წარმოქმნიან ლამაზ დრუზებს.

**ფერი** ყვითელი. **ხაზის ფერი** — დია ყვითელი. კრისტალები გამჭვირვალეა. წახნაგებზე შეიმჩნევა მინისებრი ელემანტები. **მონატეხი** ცხოვანი, არასწორი, ნიჟარისებრი. ძალზედ ადვილად იშლება. **სიმაგრე** 1,5-2. **ტეატრადობა** არა აქვს. **სიმკრივა** 2,07.

**დიაგნოსტიკა.** ადვილად გამოიცნობა ყვითელი ფერით, ელვარებით და ადვილი ღნობადობით ( $27^{\circ}\text{C}$  ლურჯი ფერით ანთია და გამოყოფს  $\text{SO}_2$ ).

**ჭარმოშობა.** 1. დანალექი, ბიოქიმიური; 2. თაბაშირის შემცველი დანალექი წევების დაშლით; 3. სულფიდების ქანგვის ზონებში; 4. ვულკანის ამოფრქვევის შედეგად.


**საბადო.** შეა აზიაში: თურქმენეთში (გაურდაკი), ფერგნის ზეგანზე (შოუ-ხოუ) და ა.შ.

**გამოყენება.** ძირითადად გოგირდმჭავას მისაღებად, ქიმიურ წარმოებაში, საღებავების დამზადებაში, ასაფეთქებელი და საომარი იარაღებისათვის.

#### O + ალმასი C.


ალმასის სახელწოდება მოდის ბერძნული სიტყვიდან „ადამას“-დაუმარცხებელი, უძლეველი.

ალმასის შინაგანი აგებულება ძალზედ მყარია. ყოველი ნახშირბადის ატომი დააგუშირებულია ოთხ, მის ირგვლივ უახლოესი მანძილებით ტეტრაედრულად განლაგებულ სხვა ატომებთან.




სურ. 19. ალმასის სტრუქტურა

**სინგლინია** კუბური. (სურ. 19) კრისტალებს ძირითადად ოქტაედრული ფორმა, ზოგჯერ – რომბოდოდეკაედრისა და (იშვიათად). გვერდები ხშირად მომრგვალებულია, კრისტალებს ერთგვარი შემომღვალი იერი (სურ. 20, 21).



სურ. 20. ალმასის ბუნებრივი კრისტალები



სურ. 21. ალმასის კრისტალის ფორმები: а) კუბი; б) დოდეკაედრი;  
გ) ოქტაედრი

ალმასს აქვს ყველაზე მაღალი სიმაგრე 10. გამოირჩევა ძლიერი ალმასის **ულფარგებით**. **უერთი** მრავალნაირია, ძირითადად უფერო, წყლისებრ-გამჭვირვალე, იშვიათად აქვს მოყვითასფრო, მოწითალო, მოყვითალო, მოლურჯო და სხვა ფერის შეფერილობა. ე.წ. უერთი ალმასები (სურ. 22) **ტექნიკურია** ოქტაედრის მიმართ – საშუალო, ლუმინესცირებს ლურჯი ფერებით ულტრაიისფერ სხივებში. **სიმკარივე** 3,5.



სურ. 22. ფერადი ალმასი

ალმასები იზომება კარატებში. ერთი მეტრული **კარატი** ტოლია 0,2-100 კარატზე მეტი ალმასები იშვიათობაა და ცნობილია გარკვეული სახელწოდებებით.

**სახესხვაობებია.** ცნობილია ალმასის შემდეგი სახესხვაობანი: **ბორტი-ალმასის** მარცვლოვანი, არაგამჭვირვალე, ნაცრისფერი ან შავი ფერის არაწესიერი კრისტალები, სფეროები და რადიალურ-სხივოსნური აგრეგატები. **ბალასი-ბარტის** სახესხვაობა, სფეროსებრი ბოჭკოვან-სხივოსნური აგრეგატები. **კარბონატი** ალმასის სხვა სახეებისაგან განირჩევა მუქი ფერით და წვრილმარცვლოვანი აგებულებით. აფრიკაში ცნობილია კარბონატის სახესხვაობა **სტიუარტიტი** – მაგნიტური თვისებებით. გამოყენების მიხედვით ალმასის ორ სახესხვაობას არჩევენ: **საუკვლიოროს** და **ტექნიკურს.** **საიუველირო ალმასის** მიეცუთვნება სრულყოფილი ფორმის უმაღლესი ხარისხის ქვები. ასეთი ქვა განსაკუთრებული გამჭვირვალობით, სილამაზით და ფერთა თამაშით უნდა გამოირჩეოდეს, არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელოვანი ბზარები და ჩანართები.

**ტექნიკურ ალმასებს** მიეცუთვნება ბორტი, ბალასი, კარბონატი, აგრეთვე ალმასის დამუშავებისას ნარჩენი ფეხილი და ზადის მქონე კრისტალები, რომლებიც არ გამოიყენება საიუველირო საქმეში.

ალმასის საბადოები გენეტიკურად ორ ტიპად იყოფა: მაგმური (პირველადი) და ქვიშრობები (მეორადი).

მსოფლიოში ყველაზე დიდი ალმასი „კულინანი“ (3106 კარატი) იპოვეს 1905 წელს სამხრეთ აფრიკაში. მსოფლიოში ცნობილი აღმასებია: „ექსელსიორი“ – 995,2 კარატი; „სიერა-ლეონეს ვარსკვლავი“ – 968,9 კარატი; „ლილ მოგლი“ – 793 კარატი. 1934 წელს სამხრეთი აფრიკაში იპოვეს 726 კარატი წონის ალმასი „ფონკური“, რომლისგანაც ორ მილიონ დოლარად ღირებული 12 ბრილიანტი დაამზადეს. მოსკოვის აღმასის ფონდში დაცულია ცნობილი ალმასები: „ორლოვი“, „შაპი“, „ოქტიაბრსკი“, „ვალენტინინა ტერეშკოვა“ და სხვ. (სურ.23).



სურ. 23. ისტორიული ალმასები: 1. დორჩდენის ალმასი (41კარ); 2. ჰოუპი (44,5კარ); 3. კულინანი I (530,2კარ); 4. სანსი (55კარ); 5. ტიფფანი (128,51კარ); 6. კონინორი (108,93კარ); 7. კულინანი IV(636,6კარ); 8. ნასსაკი (43,38კარ); 9. შახი (88,7კარ); 10. ფლორენციელი (137,27კარ)

**დიაგნოსტიკა.** მაღალი სიმაგრე, ალმასისებრი ელგარება, უსსნადობა მევებში, ლუმინესცენციის და პარაგენეზისის მიხედვით.

**წარმოშობა და საბადოები.** წარმოშობა მაგმური. ალმასის შემცველი ქანებისათვის დამასახასიათებელია მილისმაგვარი სხეულები ე.წ. კიმბერლიტის მილები (აფეთქების მილები), რომელებიც შედგება კიმბერლიტებისაგან. კიმბერლიტის მილის დიამეტრები სხვადასხვაა, საშუალო 30-100სმ. მასში ალმასის შემცველობა 0,00004-0,00009%-ია.

ალმასების კრისტალიზაცია იწყება უფრო ადრე, ვიდრე მაგმის ამოფრქვევა, რის დროსაც საჭიროა გარკვეული პირობები: მაღალი წნევა, დაახლოებით 60-80 ათასი ატმ. და შედარებით დაბალი ტემპერატურა-1000 °C. ასეთი პირობები არსებობს კიმბერლიტერი მილების ჩამოყალიბებისას. საბოლოოდ აირგების აფეთქებით ყალიბდებოდა „არხი“, ხოლო თვითონ ქანები ბრექჩიირდებიან.

ამჯამად ბოსტონში გახსნილია ალმასებით მდიდარი კიმბერლიტების მილი.


**გამოყენება.** მსოფლიოში მოპოვებული ალმასების 75-80% ტექნიკურ ალმასებს ეკუთვნის. ყველა ტექნიკური ალმასის 15% ალმასურ ბურღვაზე მოდის. სუვთა ან თანაბრად შეგერილი ალმასები წარმოადგენენ პირველი

ქლასის ქვირფას ქვებს. დაწახნაგებულ ალმასს **ბრილიანტი** ეწოდება.

ალმასები მიიღება სელოვნური გზითაც, რომელიც მიმდინარეობს გრაფიტსა და გარკვეულ მეტალებს (რკინა, ნიკელი, კობალტი, ქრომი, პლატინა) შორის ურთიერთქმედებით მაღალი ტემპერატურისა და წნევის პირობებში.

### **○ გრაფიტი C.**

გრაფიტი სახელწოდება მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „გრაფო“-გწერ, გხატავ. (სურ. 24)



სურ. 24 გრაფიტის სტრუქტურა

გრაფიტი წარმოადგენს ნახშირბადის ჰექსაგონურ მოდიფიკაციას. ბრტყელ ჰექსაგონურ ბადების შორის აქვთ სრული **ტკმწვალობა**. გრაფიტის **სიმკვრივე 2.2, სიმაგრე 1.**

**ფერი** რკინისებრ-შავი, **ხაზის ფერი** შავი, მოელვარე მეტალისებრი **ფლავრება**, ატარებს ელექტრობას, ცეცხლგამძლეა და მუსგაგამძლე.

გრაფიტი წარმოქმნის წერილ ექსკუთხა კრისტალებს კირქვებსა და ფიქლებში. გრაფიტი ძალიან გავს მოლიბდენიტს, მაგრამ ისინი განსხვავდებიან ხაზის ფერით: გრაფიტს – შავი ხაზის ფერი აქვს ქაღალდზე, მოლიბდენიტს მოცისფრო.

**სახესხვაობა.** ანსხვავებენ კრისტალურ, ქერცლისებრ და ამორფულ გრაფიტს (შუნგიტი).

**დიაგნოსტიკა:** შავი ფერით, ქერცლისებრი აგებულებით, შეხებით ცხიმოვანი, თითქმის სერის.

**წარმოშობა.** 1. მაგმური, კარბონატული ქანების ინტრუზივან კონტაქტში. 2. მეტამორფული, მარმარილოში, გრისებში და კრისტალურ ფიქლებში

$\text{CaCO}_3$ -ის და ორგანული ნივთიერების მეტამორფიზმის შედეგად.

**საბადოები.** დასავლეთ საიანი – კრისტალური გრაფიტი, უკრაინაში – ქერცლისებრი გრაფიტი და სხვა.

**გამოყენება.** გრაფიტი გამოიყენება მეტალურგიაში, როგორც საპოხი საშუალება, საღებავების, ფანქრების დამზადებაში, ელექტროობაში.

### **გოგირდნაერთები ანუ სულფიდები**

გოგირდოვანი და მისი ანალიგი მინერალები 200 სახესხვაობაზე მეტია და მათი შემცველობა მიწის ქერქში არ აჭარბებს 0.15%-ს.

ქიმიური თვალსაზრისით ისინი  $\text{H}_2\text{S}$  გოგირდწყალბადნაერთებს წარმოადგენს (სულფიდები). იშვიათად მინერალებში გოგირდის ადგილს  $\text{Se}$  და

Te (სელენი და ტელური) იყავებენ. ყველა ამ ნაერთში ფართოდაა გავრცელებული ერთი ელემენტის მეორით იზომორფული ჩანაცვლება.

წენ განვხილავთ მხოლოდ გოგირდნაერთებს. ყველაზე დიდი გავრცელება აქვთ რკინის (პირიტი და პიროტინი) დასულფიდებსა და სულფიდებს, რომელზეც მოდის ყველა სულფიდების 4/5. ყველაზე გავრცელებული სულფიდებია: სპილენდის, თუთიის, ტყვიის, ვერცხლის, ბისმუტის, ნიკელის, კობალტის, მოლიბდენის და ვერცხლისწყლის.

სულფიდებს გააჩნიათ მეტალისებრი ელგარება, მაღალი სიმკვრივე და საშუალო სიმაგრე. ისინი გვხვდებიან კრისტალების, დრუზების, ხშირად მარცვლოვანი და ჩანაწინწყლისებრი მასების სახით.

სულფიდების წარმოშობა მირთადად პიდროთერმულია (მაღალი, საშუალო და დაბალტემპერატურული), მაგმური, სკარნული და ზოგისაც ებზოგენური.

ჟანგვა-ადგანითი პროცესების შედეგად სულფიდები გადადიან მეორად მინერალებში: სულფატებში, კარბონატებში, ჟანგეულებში და სილიკატებში.

სულფიდებს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ – მათი უმეტესობა უმნიშვნელოვანების მაღნებია: თუთიის, ტყვიის, სპილენდის, ვერცხლის, ნიკელის, კობალტის, მოლიბდენის, დარიშხანის, ბისმუტის, სტიბიუმის, ვერცხლისწყლის და სხვა მეტალების.

ქვევით მოცემულია სულფიდების დახასიათება შემდეგი სქემით:

1) მარტივი სულფიდები, რომლებიც წარმოადგენენ ერთი ლითონის ნაერთს (მეტალის) გოგირდობას ან გოგირდის ანალოგებთან;

2) ორმაგი სულფიდები – ორი (ან სამი) განსხვავებული კათიონის კამარი გოგირდობას ან მის ანალოგთან.


3) დისულფიდები – კათიონის კავშირი  $[S_2]^{2-}$  ჯგუფის ანიონთან. დისულფიდებში, მაგალითად პირიტში, გოგირდის ატომები ძალზე უახლოვდებიან ერთმანეთს, რის შედეგადაც აყალიბებენ ანიონის ჯგუფებს  $[S_2]^{2-}$ . ამიტომ არის რკინა პირიტში ორგალენტიანი. გოგირდი შეიძლება ჩაინაცვლოს ანალოგებით, მაგალითად დარიშხანით  $[AsS]^{2-}$ .

4) რთული სულფიდები (სულფომარილები).

### მარტივი სულფიდები

#### **ქალკოზინი** $Cu_2S$ .

ქალკოზინის სახელწოდება მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „ქალკა“ სპილენდი. **სინონიმი** სპილენდის ალმადანი. (სურ. 25)



სურ. 25. ქალკოზინის სტრუქტურა და კრისტალური ფორმები

**სინგლინია** არსებობს ოთხი პოლიმორფული მოდიფიკაცია: მონოკლინური, ჰექსაგონური, ფსევდორომბული (სურ. 25) და კუბური სახესხვაობები. კრისტალები იშვიათია, ძირითადად გვხვდებიან მიწისებრი მასების სახით.

**ფერი და ხაზის ფერი** ნაცრისფერია. **კლასტები** მეტალისებრი. **ტექტურადობა** არასრულყოფილი. **მონატეხი** ნიჟარისებრი. **სიმაგრე** 2,5-3. **სიმკვრივე** 5,7.

**დაავალისტიდა.** დამახასიათებელი თვისებაა დაბალი სიმაგრე, ფერი.

**ჭარმოშობა.** ეგზოგენური – ფალიბდება სულფიდების მეორადი გამდიდრების (ცემენტაციის) ზონაში სპილენის პირველადი სულფიდური მაღნების უანგვა-აღდგენითი რეაქციის ხარჯზე. იშვიათად პიდროთერმული წარმოშობისაა. უანგვისას გადადის მალაქიტი  $\text{Cu}_2[\text{CO}_3](\text{OH})_2$ , კუპრიტი  $\text{Cu}_2\text{O}$  და ა.შ.


**საბათოები.** ყაზახეთში – ჯეზბაზგანი; კოუნდარი; უზბეკეთში – ალ-მალიკი; ურალზე – ტურინის საბათო; აშშ – მიუტი (მონტანა), მინგხემი (იუგა), ბისბი (არიზონა), იუგოსლავია – ბირი. საქართველოში – კაზრეთის მაღნეულის საბათო.

**გამოყენება.** ქალკოზინი არის სპილენის უმნიშვნელოვანების მადანი.

**+ გამლენიტი  $\text{PbS}$ .**

გალენიტი ( $\text{Pb} 86,6\%$ ). ზოგჯერ შეიცავს  $\text{Ag}$ -ს.

**სინგლინია** კუბური. კრისტალოგრაფიული ფორმებიდან დამახასიათებელია კუბი, იშვიათია ოქტაედრი და რომბოდოდეკაედრი. წარმოქმნის მარცვლოვან აგრეგატებს, გვხვდება დრუზების სახით (სურ. 26).



სურ. 26. გალენიტის სტრუქტურა და კრისტალური ფორმები

**ფერი** ტყვიისებრ-ნაცრისფერი. **ხაზის ფერი** მონაცრისფრო-მოშავო. **ელფარება** შეტანისებრი. სრულყოფილი **ტკეჩადობა** კუბის წახნაგების გასწვრივ. მიხერალი საკმაოდ რბილია, **სიმაღლე** 2,5. **სიმკვრივე** 7,5.

**დიაგნოსტოგა.** გალენიტი ადვილად გამოიცნობა სრული ტკეჩადობით, არც თუ ისე დიდი სიმაგრით, მაღალი სიმკვრივით, ხაზის ფერით და ადვილად ლილით.

**ჭარმოშობა.** 1. ჰიდროთერმული (საშუალო და დაბალტემპერატურული)

– გვხვდება ძარღვებში, მეტასომატურ სხეულებში, ასევე სკარნებში. დამახასიათებელია ასოციაცია გალენიტთან, სფალერიტთან და ვერცხლისა და სპილენის სულფიდებთან – ე.წ. პოლიმეტალური მადნები. 2. დანალექი წარმოშობის გალენიტი ძირითადათ ბიტუმინიზირებულ კარბონატულ ქანებში ჩანაწილაკების სახით გვხვდება.

ქანგვის ზონებში გალენიტი იშლება და წარმოქმნის ცერუსიტს  $Pb[CO_3]$ , ანგლეზიტს  $Pb[SO_4]$ , პირომორფიტს  $Pb_5[PO_4]_3Cl$  და სხვა მინერალებს.

**სახადოები.** სკარნული – კანსაი, ალტინ – ტოპანი, კურგაშინკანი (შუაზია); ჰიდროთერმული, ძარღვები და მეტასომატური – ჩრდილო ქავებისა, ალტაი, ქაისა, აფხაზეთი და ა.შ.

**გამოყენება.** გალენიტი არის ტყვიის უმნიშვნელოვანესი მადანი.

## ○ სინგური $HgS$ .

+ სინგური ( $Hg$  86,2%) არაბულად „კინობარი“ – დრაკონის სისხლი.

**სინგრია** ტრიგონული. გვხვდება მარცვლოვანი ჩანაწინებლების სახით, ძირითად მასებში. პექსაგონური სინგრიას სახის სინგურს მეტაცინაბარიტი ეწოდება. **ფერი** – მუქი წითელი. **ხაზის ფერი** წითელი. თხელ მონატებში გამჭვირვალე, **ელფარება** აღმასისებრი, **სიმაღლე** 2-2,5. **სიმკვრივე** 8. **ტკეჩადობა** სრული 1010 მიმართულებით.

**დიაგნოსტიკა** გამოირჩევა წითელი ფერითა და წითელი ხაზის ფერით. მაღალი სიმკვრივით, ტკეჩადობით და პარაგენეზისთვის. გაცხელებისას გამოყოფს ვერცხლისწყალს.

**ჭარმოშობა.** უარატესად დაბალტემპერატურული ჰიდროთერმული

პროცესის პროდუქტია. ის გვხვდება ანტიმონიტთან, ფლუორიტთან, ბარიტთან და ქალცედონთან. არსებობს კარბონატულ ქანებშიც, ქვიშებსა და ფიქლებშიც.


**საბადოები.** ხაირდაჭანსში და ყირგიზეთში, დონბასში, ალტაიში, ალმარჯუმში (ესპანეთი), მონტე – ამიატაში (იტალია), ასევე იუგოსლავიაში, ჩინეთსა და აშშ-ში. საქართველოში გვხვდება მისი მცირე მაღან-გამოვლინებები აფხაზეთში და ზემო რაჭაში.

**გამოყენება** სინგური არის ვერცხლისწყლის ერთადერთი მადანი. მისგან მზადდება ბუნებრივი საღვავი წითელი ფერის.

### ○ სფალერიტი $ZnS$ .

სფალერიტი ( $Zn$  67,1%) იზომორფული მინარევების სახით შეიცავს რკინას, კადმიუმს (0,5-1%), ინდიუმს (0,1%), გალიუმს (0,1%-მდე), გერმანიუმს (0,3%-მდე). ბერძნულად „სფალეროს“ – მატყუარა, რაც გამოწვეულია მისი მრავალნაირი ფერით და დიაგნოსტიკის სირთულით.

**სინგონია** კუბური, კრისტალებს აქვთ ტეტრაედრული წახნაგები (სურ. 27), აგრეგატი – მარცვლოვანი, იშვიათად ფარულკრისტალური და ხშირად კონცენტრირებულ-ზონალური აგებულება აქვს.



სურ. 27. სფალერიტის ტეტრაედრული ფორმის კრისტალები

**ფერი** ფაისფერი – შავამდე და ყვითელი-უფერომდე. ხშირად გამჭვირფალეა. **საზის ფერი** დიადან – მუქ ფაისფერამდე. სფალერიტს აქვს სრული **ტეტრადობა** რომბიდონდეკაგლირის წახნაგების გასწვრივ ექვსი მიმართულებით. **ელვარება** აღმასი. **სიმაგრე** 3,5-4. **სიმკროვე** 3,9-4,1.

**სახესხვაობები** რკინის შემცველ შავი ფერის მაღალტემპერატურულ სახესხვაობას მარმატიტი ეწოდება. დაბალტემპერატურულ, ან ღია ყვითელ სფალერიტს ეწოდება **კლეოფანი**.

**დიაგნოსტიკა** ახასიათებს მაღალი აღმასისებრი ელვარება და სრული ტეტრადობა. იზომეტრული მარცვლების ჩანაწინწყლები. მარმატიტს აქვს მოწითალო – მოყავისფრო ხაზის ფერი.

**წარმოშობა** 1. პიდროთერმული – გადენიტთან, ქალკოპირიტთან, პირიტთან და სხვა მინერალებთან, ფართოდაა გავრცელებული მაღალების მეტასომატურ ძარღვებში. 2. ეგზოგენური დანალექ ქანებში, ხანდახან ნანშირის საბადოებთანაც გავხვდება.

დაუანგვისას სფალერიტი გადადის სმიტსონიტში  $Zn[CO_3]$  და პემიმორფიტში  $Zn_4[Si_2O_7](OH)_2H_2O$ .

**საბადოები.** პოლიმეტალური საბადოები ალტაიში, შუა აზიაში,

ურალზე არის ალმადანური ტიპის საბადო, აშშ, ასევე შვედეთში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, ესპანეთში, ჩრდილო კავკასიაში – სადონი, საქართველოში – ქვაისა, აფხაზეთი.

**გამოყენება.** სფალერიტი – თუთიის უმნიშვნელოვანესი მადანია.

### ○ **ჰირთინი $Fe_{1-x}S_x$**

ჰირთინის **სინონიმია** მაგნიტური ალმადანი, შემცველობა ცვალებადობს  $Fe_6S_7$ -დან  $Fe_{11}S_{12}$ . სანდახან შეიცავს Cu, Ni და Co -ს. სახელწოდება მოდის ბერძნული სიტყვიდან „ჰიროს“-ცეცხლისფერი, მოწითალო. **სინგონია** ჰქესაგონური. კრისტალები იშვიათია. ძირითადად მოიპოვება წვრილმარცვლოვან მასების სახით.

**ფერი** ბრინჯაოსებრ-ყვითელი, სანდახან ცისარტყელისებრი. **საზის ფერი** მონაცრისფრო-შავი. **გლვარება** მეტალისებრი. ხშირად მაგნიტურია. **სიმაგრე 4.** **სიმკვრივე 4,5.**

**დაგნოსტიკა.** დამახასიათებელი ნიშნებია ბრინჯაოსებრი ფერი და მაგნიტურობა.


**ჭარბობა.** 1. მაგმური, 2. კონტაქტურ-მეტასომატური ან სკარნული პოლიმეტალურ მადნებთან, 3. ჰიდროთერმული, 4. გეხვდება მეტამორფულ და დანალექ ქანებშიც.

**საბადოები.** ჩრდილო ურალი, ყაზახეთი, დევდორაკი (ყაზბეგის რაიონი).

გავრცელების მიხედვით პიროტინი ადგილს უთმობს მხოლოდ პირიტს. გამოიყენება გოგირდმჟავას წარმოებაში.

### ○ **ანტიმონიტი $Sb_2S_3$ .**

**სინგონია** რომბული. კრისტალებს აქვთ მოგრძო პრიზმული, სვეტისებრი ფორმა (სურ. 28), მეტწილად სხივოსნურად განლაგებული, წაგრძელების გასწვრივ დაშტრიხულია. სიგრძეში აქს უხეში დაშტრიხვა. სანდახან ქმნის კარგად დაწახნაგებულ დრუზებს.



სურ. 28. ანტიმონიტის კრისტალის ფორმები

**ფერი** ტყვიისებრ ნაცრისფერი. **საზის ფერიც** ასეთივე. **გლვარება** მეტალური, სანდახან გადაკრაგს მოლურჯო ფერი. **ტკმწადობა** სრული {010}. **სიმაგრე 2.** **სიმკვრივე 4,6.**

**დაგნოსტიკა.** კრისტალების წაგრძელებული ფორმა და გერ-

ტიკალური დაშტრიხვა, დაბალი სიმაგრე, ტექნიკადობის სიბრტყეზე გვერდული დაშტრიხვა და მოლურჯო ფერის ელგარება.

**ჭარმოშბა.** პიდროთერმული (დაბალტემპერატურული) კვარციტულ ძარღვებში. პარაგენეზისი: სინგური, პირიტი, ულფორიტი, კალციტი, კვარცი, ბარიტი, ქალციდონი.


**საბადოები.** ყირგიზეთში და კრასნოიარსკში. ხუნანში (ჩინეთი), იაპონიაში კუნძულ სიკოკუზე, რაჭაში.

**გამოყენება.** ანტიმონიტი უმნიშვნელოვანესი მადანია სტიბიუმის (ანთიმონიუმის).

### აურიპიგმენტი $\text{As}_2\text{S}_3$ .

აურიპიგმენტი ლათონურად ნიშავეს „ოქროს საღებავს“.

**სინგონია** მონოკლინური (სურ. 29), კრისტალები იშვიათია, ძირითადად გვხვდება ფურცლოვანი, რადიალურ-სხივოსნური და მარცვლოვანი სახით.



სურ. 29. აურიპიგმენტის კრისტალის ფორმები

**ფერი** ლიმონისფერი, ყვითელი ან მოოქროსფრო-ყვითელი. **საზის ფერიც** იგივე, ოლონდ უფრო დია. **ელგარება** სადაფისებრი. **ტექნიკალბა** სრულყოფილი {010} მიმართ, ფურცლები ღუნვადია. **სიმაგრე** 1,5-2. **სიმკვრივე** 3,5.

**დიაგნოსტიკა.** ფერით, ტექნიკადობით, დაბალი სიმაგრით და რეალ-გართან პარაგენეზისით.

**ჭარმოშბა** დაბალტემპერატურული პიდროთერმული დაჟანგფისას გადაღის არსენოლიტში  $\text{As}_2\text{O}_3$ .

**საბადოები.** ლუხუმის (საქართველო), ჯულფინის (ნახიჩევანი) და იაპურიაში. ალხარი (მაკედონია საბერძნეთი), მერკური (თურა, აშშ) და ა.შ.

**გამოყენება.** როგორც დარიშხანის მადანი. აურიპიგმენტი გამოიყენება მხატვრობაში ყვითელი საღებავის დასამზადებლად.

### კოველინი $\text{CuS}$

**სინგონია** ჰექსაგონური. წარმოქმნის თხელ პრიზმებს, ფხვნილისებრ და ჰერტლისებრ მასებს.

**ფერი** ლურჯი, მუქი ლურჯი. ხაზის ფერი შავი. **ელგარება** მეტალისებრი. **სიმაგრე** 1,5. **სიმკვრივე** 4,6. **ტექნიკალბა** (0001)-ის სწრივად სრული.

**დიაგნოსტიკა** ლურჯი ფერით, არც თუ დიდი სიმაგრით, პარაგენეზისით საილენდის სხვა სულფიდებთან: ქალკოპირიტი, ქალკოტინი, ბოსნიტი და სხვ.

**წარმოშობა.** ეგზოგენური – მეორადი გამდიდრების სულფიდურ ზონებში წარმოიქმნება.

**გამოყენება.** წარმოადგენს სპილენის მადანს.

### ○ **მოლიბენიტი** $\text{MoS}_2$ .

მოლიბდენისებრი კრიალა.

**სინაზნია** ჰექსაგონური. ქრისტალები იძლევა თხელ, ხანდახან ექსეგუთხა ფურცლებს, სრული ტკებადობით. **აგრეგატები** ფურცლოვანი, ქერცლოვანი.

**ფერი** ნაცრის ფერი, **ხაზის ფერი** ქაღალდზე მოცისფრო ნაცრისფერი. **ელემანტები** ძლიერ მეტალის. **სიმაგრე** 1, ქაღალდზე სტოვებს კვლს, შეხებისას ცხიმოვანი. **სიმკვრივე** 4,7. **ტკებადობა** სრული (0001)-ის სწროვივად.

**დიაგნოსტიკა.** მეტალისებრი ელემანტი, დაბალი სიმაგრე, სრული ტკებადობა. შეიძლება შეგვევდეს ექსეგუთხა ფურცლების სახით. ძალიან გავს გრაფიტს, განირჩევა ხაზის მოცისფრო ფერით ქაღალდზე და პარაგენუზისით. თანმდევი მინერალები: კასიტერიტი, კოლფრამიტი, ფლუორიტი.

**წარმოშობა.** მაგმური – გრანიტებსა და გრანიტოდებში გვხვდება ჩანაწინებულების სახით. გვხვდება აგრეთვე პეგმატიტურ მარდვებში, ხშირად გრეიზენებში.


**საბადოები.** სკარნული ტიპის საბადოები გვხვდება ჩრდილო კავკასიაში, კვარცული ძარღვები მოლიბდენიტის შემცველობით – ციმბირში.

მოლიბდენის უდიდესი საბადო მსოფლიოში ცხობილია კლაიმექსი (კოლორადო, აშშ), სადაც შეცვლილ გრანიტებში მოლიბდენიტი გვხვდება კვარცის ძარღვებში.

**გამოყენება.** მოლიბდენიტი – მოლიბდენის ერთადერთი მადანია, თითქმის 95% გამოიყენება სპეციალური ფოლადების დასამზადებლად, სიმაგრის გამო გამოიყენება ელექტროტექნიკაში.

### ○ **რეალგარი** $\text{AsS}$ .

**სინაზნია** მონოკლინური. მოკლეპრიზმული (სურ. 30), მცირე ზომის ქრისტალები, წარმოქმნის დრუზებს. ასევე გვხვდება მარცვლოვან აგრეტების და წანაცხებების სახით.



სურ. 30. რეალგარის კრისტალის ფორმები

**ფერი** ნარინჯისებრ-წითელი, სტაფილოსფერი, წითელი. **ხაზის ფერი** დია სტაფილოსფერი. **ელემანტები** ალმასისებრი. ძლიერ განათებაში

შეფერილობა იქარგება, რეალგარი იშლება და გადადის აურიპიგმენტში. **სიმაგრე** 1,5-2. იჭრება დანით. **სიმკვრივე** 3,5. **ტეპეზადობა** სრული (010)-ის სწვივად.

**დიაგნოსტიკა.** წითელი ფერი, ხაზის ფერით, დაბალი სიმაგრით და აურიპიგმენტთან პარაგენეზისით.

**წარმოშობა** პიდროთერმული (დაბალტემპერატურული). თანმდევი მინერალები: აურიპიგმენტი, ანტიმონიტი, კინოვარი და სხვ.

**საბადოები.** ლუსუმის საბადო საქართველოში. ოურქეთში, ჩეხოსლოვაკიაში.


### ორმაგი სულფიდები

#### ○ + **ქალკოპირიტი** CuFeS<sub>2</sub>.

ქალკოპირიტი (Cu-34,6%; Fe-30,5%; S-34,9%) (ელემენტარული „უჯრედი“ Cu<sub>4</sub>Fe<sub>4</sub>S<sub>8</sub>) სახელწოდება მოდის ბერძნული სიტყვიდან „ქალკოს“-სპილენი და „პირ“-ცეცხლი.

**სინონიმი** სპილენის კოლჩედანი.

**სინაზია** ტეტრაგონული. კრისტალებს აქვთ ტეტრაედრული სახე (სურ. 31), მაგრამ იშვიათად გვხვდებიან მიწისქმრი აგრეგატების სახით, ზოგჯერ დიდი დანაგროვებით.



სურ. 31. ქალკოპირიტის კრისტალური მესერი

**ფერი** ოქროსფერი-ყვითელი. **ხაზის ფერი** შავი ან მომწვანო – შავი. **ელემანტები** მეტალისებრი. **სიმაგრე** 3,5-4. **სიმკვრივე** 4,2. **ტეპეზადობა** მკაფიო (201)-ის სწვრივად.

**სახესხვაობა.** ტალნახიტი (ქალკოპირიტის კუბური მოდიფიკაცია).

**დიაგნოსტიკა.** ფერით, ხაზის ფერით.

პიროტიაგან განიჩევა უფრო მუქი ფერით, ნაკლები სიმაგრით და კუბური კრისტალების არ არსებობით.

**წარმოშობა.** 1. მაგმური – პიროტინთან და პენტლანდიტთან ასოციაციაში, 2. სკარნული – ანდრადიტთან, მაგნეტიტთან, შეელიტთან, პიროტინთან, 3. პიდროთერმული – პირიტთან, პიროტინთან, Pb, Zn, Cu -ს სულფიდებთან და ა.შ. 4. ეგზოგენური – დანალექ ქანებში.

ქანგვის ზონებში ქალკოპირიტის დაშლისას წარმოიქმნება მეორადი მინერალები: თვითნაბადი სპილენი, ქალკოზინი, კოველინი, კუპრიტი, მალაქიტი, აზურიტი, ქრიზოკოლა და ა.შ.

**საბადოები.** ნორილის, ტალნახის – მაგმური, ურალზე ტურინის

მაღნები; კოუნდარში ყაზახეთში; სომხეთში; (ალავერდი), აზერბაიჯანში; სოდგერი (კანადა) მაგმური; ბინგეხმი (იუტა, აშშ), ჩუკიკამაჩა (ჩილე) ტიპი ჩანაწინებული ჰავაზე; საქართველოში მაღნისა; საქართველოში მაღნები.

**გამოყენება.** სპილენძის უმნიშვნელოვანები ნედლეულია.

## - ბორნიტი $\text{Cu}_5\text{FeS}_4$

სახელმოდება მიეცა გერმანელი მინერალოგის ი. ბორნის პატივ-საცემად. ქალკოპირიტის ჯგუფის მინერალია.

**სინამდის** კუბერი, პეტერიქტერის კლასი, გვხვდება მთლიანი  
მასების, ნაღვების, ქრისტის სახით.

**ფერი** სად მონატებზე ცისარტყელის ხებური ფერები (მაბალი ხობის ყელი), გაუმჯობელე, **ხაზის ფერი** მონაცის ფრო – შავი, **კლავარგძა** – მეტალის, **სიმაგრე** 3, მყიფე, **მონატები** ნიუარის ხებრი. **სიმკვრივე** 4.9-5.3, **ტაქჩადობა** არა სრული (110)-ის სწორივად. პარაგენებული მინერალები: ქალკოზინი, ქალკოპირიტი, პირიტი, მაგნეტიტი.


**საბადოები:** ჯეზეზგანი (ყაზახეთი), ურალი, საქართველო (მაღნეული).

## დისულფიდები და მათი ანალოგები

$$+ \text{FeS}_2$$

პირიტი – სახელმწოდება მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „პიროს“ – ცეცხლი.

**სინგლის** კუბური. კრისტალებს აქვთ კუბის ფორმა, ხოლო წახნაგები ერთმანეთის პერპენდიულარული შტრიხებითაა დასერილი (სურ. 32). ქმნის დრუჟებს, ჩანაწინებულებს, მარცვლობან მასებს. ერთ-ერთი კველაზე გავრცელებული მინერალია. რის გამოც ხუმრობით „ქუბის ბიჭე“ ეძახია.



სურ. 32. პირიტის კრისტალური ნტრექტურა და კრისტალი,  
დაშერიცხული წახნაგებით ა. შავი სფეროვანი  $\text{Fe}$ ; ბ. ლია  $\text{S}_2^{2-}$  ჯაჭვი

**ჭერი** ჩაღისცემ-კვითელი. **საზის ჭერი** შავი. **გლვარება** მეტალის. **ტახტვალება** არა აქეს. **მონატეხი** არასწორი. **სიმარტე** 6-6.5. **სიმკვრცე** 5. პირიტი სულფიდების ჯავაზის ყვალაზე გავრცელებული მინერალია.

დიაგნოსტიკა: ფერის მიხევით, დიდი სიმაღლით. ქალკოპირიტისაგან

განირჩევა კრისტალების ფორმით; მეტი სიმაგრით და უფრო დია ფერით. მარკაზიტისაგან – კრისტალების ფორმით.

**ჭარმოშება:** სხვადასხვა გეოლოგიური პროცესის შედეგად: მაგმური, ჰიდროტერმული, დანალექი, მეტამორფული და ა.შ.

ესნგვის ზონებში პირიტი გადადის ლიმონიტში, გოგირდში.

**საბადოები.** პირიტის ალმაგანური საბადოები, პალეოზოური ასაკის, გადაჭიმული ურალის ქედის გასწვრივ 300 კმ-ზე. რიო-ტინტო (ესპანეთი) ჰიდროტერმული, სულიტელმა (ნორვეგია) – მაგმური, მადნეული – საქართველოში, ჩირაგილორი – აზერბაიჯანში.

**გამოყენება.** წარმოადგენს გოგირდმჟავას მიღების უმნიშვნელოვანეს მადანს. გადამჟავებისას ასევე მიიღება მინარევი ელემენტები – Cu, Zn, Au, Se.

### ○ მარკაზიტი $\text{FeS}_2$ .

**სინგონია** რომბული. დამახასიათებელია კონკრეციები, თირკმ-ლისტები (სურ. 33), შების ფორმის აგრეგატების სახით. ფიზიკური თვისებები ისეთივეა, როგორც პირიტის, ოლონდ არ გეხვდება კუბური კრისტალები.



სურ. 33. სფეროს ფორმის მარკაზიტი

**ფერი** თითბერისებრ-ყვითელი, ზოგჯერ გადაპერაეს მომწვანო ელფერი, **საზის ფერი** შავი, კლფარტება მეტალისებრი, **სიმაგრე** 6-6,5, მყიფე, მონაგები უსწორო, **სიმკრივე** 4,8-4,9. ტკებადობა არასრული (110)-ის სწრივად. **თანმდევი მინერალები:** პირიტი, ქალკოპირიტი, გალენიტი, სფალერიტი, კვარცი, კალციორი და სხვ.

**ჭარმოშება.** ძირითადად ეგზოგენური. შესაძლებელია ჰიდროტერმული წარმოშობაც (დაბადტექტურატურული).

დამოუკიდებელი საბადოები არ არსებობს. როგორც პირიტი წარმოადგენს საზიანო ნაერთს ნახშირში და ცეცხლგამძლე თიხაში, იგი ამცირებს მათ ცეცხლგამძლეობას.

### ○ არსენოპირიტი $\text{FeAsS}$ .

**სინონიმი** დარიშხანის ალმადანი (Fe-34, 3%. As-46,0%. S-19,7%).

**სინგონია** მონოკლინური. წაგრძელებული პრიზმები კრისტალები; ჰქინდო, მარცვლოვანი აგრეგატები.

**ფერი** ფოლადისებრ-თოვორი. **საზის ფერი** მონაცრისფრო-შავი. **კლფარტება** მეტალის. **სიმაგრე** 6. **სიმკრივე** 5,9-6,2. **ტკებადობა** არასრული.

**დააგნოსტიკა.** თეთრი ფერით, მაღალი სიმაგრით, კრისტალის ფორმით. ფოლადის დარეცმისას ყრის ნაპერწკლებს, წარმოქმნება მოლურჯო კვამდი და დარიშხანის (ნივრის) სუნი.

**წარმოშობა.** ჰიდროთერმული (მაღალი და საშუალო ტემპერატურული). თანამგზავრებია კასიტერიტი  $\text{SnO}_2$ , ვოლფრამიტი ( $\text{Fe,Mn)[WO}_4]$ , სფალერიტი  $\text{ZnS}$ , გალენიტი  $\text{PbS}$ , ოქროს, ვერცხლის და სპილენის მაღნები. ზედაპირულ პირობებში: არსენოპირიტი გადადის მიწისებრ აგრეგატებში, მწვანე ფერის სკოროდიტში  $\text{Fe[AsO}_4\cdot 2\text{H}_2\text{O}}$

**საბადოები.** ურალში-კოჩკარის და ჯეტიგარის (ოქროთი), შუა აზიაში-უნ-იმჩაკის და ა.შ. ასევე შევედრული და სხვა ქვენებში.

**გამოყენება.** არსენოპირიტი არის დარიშხანის უმნიშვნელოვანებისა დადანი.


### ჰალოიდური ნაერთები (ჰალოგენები)


ამ ქლასის მინერალებს მიეკუთვნება ფტორის, ქლორის და ძალზედ იშვიათი ბრომისა და იოდის ნაერთები. ფტორის ნაერთები, ან ფტორიდები, გენერიკურად დაკავშირებულია მაგმურ მოქმედებასთან, ხანდახან წარმოადგენებს დანალექი წარმოშობის ნაერთებს. ქლორის ნაერთები, ანუ ქლორიდები  $\text{Na}-\text{o}$ ,  $\text{K}-\text{o}$  და  $\text{Mg}-\text{o}$  წარმოადგენებს ზღვებისა და ტბების ქიმიურ ნალექს, ასევე მარილიანი წყებებისა და საბადოების უმთავრეს მინერალებს.

#### + ფლუორიტი $\text{CaF}_2$ .

**სინონიმი** მალდომელა შპატი. სახელწოდება მომდინარეობს სიტყვიდან „ფლუორ“-წვეოვა, რადგანაც მინერალი ადვილად დნება.

**სინონია** კუბური. ჰეტსაედრის სიმეტრიის კლასი. კრისტალებს აქვთ კუბის ფორმა. ზოგჯერ იძლევა ოქტაედრულ და დოდეკაედრულ კრისტალებს (სურ. 34). წარმოქმნის დამაზ დრუზებს; ასევე ძარღვულ ნადენ ფორმებს. იშვიათად იძლევა ჩანაწინწკლებს, მთლიან ან მიწისებრ მასებს. **ფერი** იასამნისფერი, მწვანე, თეთრი და წყლისებრ გამჭვირვალე. ერთი და იგივე ნიმუში სხვადასხვა ადგილის შეიძლება სხვადასხვა ფერი იყოს კი. ახასიათებს პოლიქრომიზმი. **ტკუნძადობა** ოქტაედრის  $\{111\}$  მიმართ სრული. **კლასი** მინისებრი. **სიმაგრე** 4. **სიმარივა** 3,18, მსხვერევადია.





სურ. 34. ფლუორიტის სტრუქტურა და კრისტალური ფორმები

**სახესხვაობები.** ოპტიკური ფლუორიტი – გამჭვირვალე უფერო ფლუორიტი; რატოვკიტი – მიწისებური აგრეგატები, დია ჭუჭყიანი იასამნისფერი ფლუორიტი, გვხვდება მერგელსა და გადოლომიტებულ კირქვებში.

**დიაგნოსტიკა.** კრისტალების კუბური ფორმით, ოქტაედრის მიმართ ტკენისგადობით, მინისებრი ელვარებით, დაბალი სიმაგრით, ლამაზი შეფერილობით.


**წარმოშობა.** ჰიდროთერმული. იშვიათად – პნევმატოლითური გრეიზენებში. რატოვკიტი – დანალექი წარმოშობის. კვარცის ძარღვებში ფლუორიტის თანამგზავრებია ბარიტი, კალციტი, Pb-ის, Zn-ის, Sb-ის სულფიდები და სხვა მეტალები, გრეიზენებში – მუსკოვიტი, ტოპაზი, ტურმალინი, ვოლფრამიტი და კასიტერიტი.

**სპეციალური.** შუა აზიაში – აურახმატი და სხვ. არხანგელსკში ამდგრმინსკის, ბერნი, ბორუნდური და სხვანი მონფოლეთში, აშშ (კენტუკის და ილინოისის შტატი).

**გამოყენება.** გამოიყენება ადვილად ლდობადი წილების მიღების მიზნით მეტალურგიაში. ასევე უტორის მჟავის და სხვადასხვა ფტორული ნაერთის ნედლეული. თიხამიწიდან ელექტროლიზით მეტალური ალუმინის მისაღებად. გამჭვირვალე და უფერო სახესხვაობებს იყენებენ ოპტიკური ლინზების დასამზადებლად.

**○ ჰალიტი NaCl.** ბერძნულად „ჰალოს“-ზღვა, მარილი. **სინონიმი:** ქვამარილი და თვითნალექი მარილი.

**სხენონია** კუბური. კექსაოქტაედრის სიმეტრიის კლასი. კრისტალებს აქვთ კუბის ფორმა. ხშირად ქმნიან მარცვლოვან მასებს, იშვიათად ნაჭუჭებს, დრუზებს, მიწისებრ მასებს და ა.შ.



### სურ. 35. პალიტის კრისტალური სტრუქტურა და კრისტალური

**ფერი.** თეთრი, ნაცრისფერი, ხშირად უფერო, გამჭვირვალე. **ელემანტება** მინისებრი. **ტკმწვალობა** სრული კუბის წახნაგის გასწვრივ. **სიმკვრივე** 2,1-2,2. **სიმაგრე** დაახლოებით 2. სუსტი ელექტროგამტარი და კარგი სიობოგამტარი. წყალში ადვილად ისხნება – 35%-მდე ოთახის ტემპერატურაზე გემო მღლაშე.

**დიაგნოსტიკა.** ადვილად ისხნება წყალში, კრისტალური კუბური ფორმის, ტკმწვალობით, დაბალი სიმაგრით. სხვა მინერალებისაგან განსხვავდება გემოთა – პალიტი მღლაშეა.

**წარმოშობა.** პალიტი წარმოადგენს ჩაკეტილ მარილიანი ზღვებისა და ტბების ტიატურ ქიმიურ ნალექს ცხელი და მშრალი ჰაფის პირობებში. წარმოიქმნებიან ისეთ ტბებში და ლაგუნებში, რომლებშიც წყალი თითქმის დამშრალი და ძალზე მარილიანია. თანამგზავრებია: თაბაშირი, ანპიდრიტი, კარნალიტი და სხვა პალოგენები და სულფიდები.

ცნობილია პალიტის ორი სახესხვაობა: **ქვემარილი** ჩამოყალიბებული ქველ გეოლოგიურ პირობებში. **თვითნალეჭები მარილი**, რომელიც ყალიბდება ახლანდელ დროში, ცხელი კლიმატის პირობებში წყლიანი აუზების ფსერზე.

**სახადოები.** არტემოვსკის (დონბასი), სოლოტვინო (ზაკარპატიე), ნორდვეკი (იაპუტია), სოლიკამსკის ურალზე – მსოფლიოში ყველაზე დიდი; რომელიც პალიტის მარილების გარდა წარმოადგენილია კალიუმით და მაგნიუმით. სტარბინსკის საბადო ბელორუსიაში (ქ. სოლიგორსკი). სტარცურგებსკი გერმანიაში, ინდოეთში, გეგიატეში და აშშ სამხრეთ შტატებში.

**გამოყენება.** პალიტი არის უმნიშვნელოვანების კვების პროცესში და დამაკონსერვებული საშუალება, ის ძირითადი წყაროა ქიმიურ წარმოებაში მარილმჟავას (HCl), სოდის, ქლორის, NaOH და სხვა მიღებაში. გარდა ამისა პალიტი წარმოადგენს საწყის ნედლეულს მეტალური ნატრიუმის მისაღებად.

### ○ სილვინი KCl.

**სილვინი** კუბური. ჰექსაოქტაედრის სიმეტრიის კლასი. კრისტალურის აქვთ ჰექსაედრის ფორმა, გვეცდება მიწისებრი და მარცვლოვანი აგრეგატის სახით.

**ფერი** რძისფერი, იშვიათად უფერო, ზოგჯერ მოწითალო ან მოყვითალო. გამჭვირვალე ან გამჭვირი. **საზის ფერი** თეთრი. **ელემანტება** ცხიმოვანიდან მინისებრამდე. **სიმაგრე** 2, მყიფე. **სიმკვრივე** 1.9-2.0. **ტკმწვალობა** სრული (100)-ის სწრივად. აქს მღლაშე გემო, ადვილად ისხნება წყალში.

**თანმდევი მინერალები:** პალიტი, ანპიდრიტი, კარნალიტი და სხვ.

**დიაგნოსტიკა.** სილვინი მომტარო-მღლაშე. რკინის ჟანგის და სხვა მინარევების გამო ის მოწითალო ან მოცისფრო შეფერილობას იღებს.

**წარმოშობა** ზღვების და ტბების აუზებში, ტიპიური ქიმიური პროცესის შედეგად წარმოიქმნება.

**გამოყენება.** კალიუმის სასუქი ნედლეული.

## ქანგეულები (ოქსიდები)

ქანგეულები არის სხვადასხვა ელემენტების ნაერთი ქანგბადთან, ჰიდროქსილოთან ან წყალთან. მათი შემცველობა მიწის ქერქში 17%-ია, მათგან სილიციუმის ქანგი ( $\text{SiO}_2$ ) დაახლოებით 12,5%.

ამ კლასის ყველაზე გავრცელებული მინერალებია სილიციუმის, ალუმინიუმის, რკინის, მაგნიუმის და ტიტანის ქანგეულები.

მინერალების კრისტალურ სტრუქტურებში მეტალების კათონები იმყოფებიან ქანგბადის იონების გარემოვაში  $[\text{O}]^{2-}$  (ქანგეულები) ან ჰიდროქსილის ( $\text{OH}^-$ ). ამ კლასში გამოიყოფა მარტივი და რთული ქანგეულები და ჰიდროქანგეულები.

ჰიდროქანგეულები  $\text{[OH]}^-$  ან წყლის ჯგუფს.

ქანგეულების კლასის მინერალებს უმთავრესად შედარებით მარტივი კრისტალური მესტები აქვთ. უფრო რთულია მხოლოდ კვარცის  $\text{SiO}_2$  განსაკუთრებული ჯგუფის მინერალთა კრისტალური სტრუქტურები.


ამ მინერალებში კათონებისა და ქანგბადის ანიონებს შორის თანაფარდობა  $2:1(\text{A}_2\text{X})$ -დან  $1:2(\text{AX}_2)$ -მდე მერყეობს. გარდა ამისა რთულ ქანგეულებში დაბგენილია კათონების სხვადასხვა თანაფარდობა: ჩვეულებრივ 1:1 და 1:2.

## მარტივი ქანგეულები

### კუპრიტი $\text{Cu}_2\text{O}$

ლათინურად „კუპრუმ“ სპილენი. **სინონიმი** სპილენის წითელი მადანი.

**სინგონია** კუბური. ჰექსაოქტაედრის სიმეტრიის კლასი, ოქტაედრული ფორმის მცირე ზომის კრისტალები, იშვიათად კუბები (სურ. 36). გეხვდება ძირითადად მარცვლოვანი აგრეგატების სახით, იშვიათად ნემსისებრი ან თმისებრი ინდივიდები.



სურ. 36. კუპრიტის სტრუქტურა და კრისტალის ფორმები

**ფერი** წითელი, სხვადასხვა შეფერილობით. **საზის** ფერი მომიხაკისფრთ წითელი. კუპრიტის კრისტალურ-მარცვლოვანი სახესხვაობანი აღმასისებრი ელვარებით გამოირჩევიან. **სიმაგრე** 3,4-5. **სიმკრივე** 6. მსხვერებელი. **ტექნიკური**  $\{111\}$ -ის გასწრივ კარგი.

**დიაგნოსტიკა:** ხაზის ფერითა და ფერით, ძლიერი ელვარებით, რკინის პიდრეულებულებითან ასოცირებით.

**წარმოშობა.** ეგზოგენური, სპილენდის საბადოთა მეორადი სულფიდური გამდიდრების ზონაში პირველადი სპილენდის სულფიდების ხარჯზე კერძოდ ქალკოზინის და უფრო იშვიათად, ბორნიტის შემცველ მადანთა დაქანგის შედეგად. გახვდება თვითნაბად სპილენდონ, მაღაქიტონ, აზურიტონ და სხვა მეორად მინერალებთან. დაშლისას კუპრიტი გადაიდის მაღაქიტში, რომელიც ქმნის მის მიმართ ფუველომორფოზებს.

**საბათო.** ყრუფილ სსრკ-ში ცნობილია ურალის ალმადანური საბადოები.

**გამოყენება.** გამოიყენება სხვა მინერალებთან ერთად სპილენდის მისაღებად.

### ○ კორუნდი $\text{Al}_2\text{O}_3$ .

**სინგონია** ტრიგონული. დიტრიგონული სკალენოედრის სიმეტრიის კლასი. კრისტალებს აქვთ კარგად განვითარებული სვეტისებური, კასრისებური (სურ. 37), პირამიდული და ფირფიტისებრი კრისტალები, უფრო ხშირია დიტრიგონული პრიზმის კომბინაციები და რამდენიმე დიტრიგონული დიპირამიდის, რომბოედრის და პინაკოდის წახნაგები. გვხვდება, როგორც სხვადასხვა ზომის ჩანაწინებლი კრისტალები, ასევე მარცვლოვანი აგრეგატებიც.



სურ. 37. კორუნდის კრისტალები და კრისტალთა ფორმები

**ფერი** ღურჯი, მონაცრისფრო, ყავისფერი, წითელი.  $\text{C}_r$ -ის უმნიშვნელობის მინარევი აპირობებს წითელ ფერს.  $\text{Fe}^{2+}$ -ის მიხაელისფერს ( $\text{Mn}$ -თან ერთად) და ვარდისფერს,  $\text{Ti}$ -ის ღურჯს,  $\text{Fe}^{2+}$  და  $\text{Fe}^{3+}$ -ის ნარევი კი შავ ფერს. **ელემანტები** მინისებრი. **ტკაცებულება** პრაქტიკულად არა აქვს, ზოგჯერ რომბოედრის გასწვრივ აქვს მხოლოდ განწევრება, არასწორი მონატები. დამახასიათებელია მაღალი **სიმაგრე** 9. **სიმაგრივა** 4. გვხვდება სხვადასხვა ფერის გამჭვირვალე კრისტალები. კორუნდის გამჭვირვალე ძვირფასი სახეს-ხვაობებია: **უფერო-ლეიკოკორსაფირონი**, ღურჯი ფერის გამჭვირვალე სახეს-ხვაობა – **საფირონი**, ხოლო წითელი – **ლალი**, **ნაფაკი** – მონაცრისფრო, შავი ფერის მარცვლოვანი კორუნდის სახეს-ხვაობაა.

**დიაგნოსტიკა:** სიმაგრით, ელვარებით, კრისტალის ფორმით.

**წარმოშობა.** ზოგჯერ გვხვდება სილიმულ მაგმურ ქანებში –

სიენიტებში, ანდეზიტებში, ცნობილია აგრეთვე კორუნდის ჟემცველი სამრეწველო მნიშვნელობის სიენიტური პეგმატიტები. კორუნდის კონტაქტურ-მეტასომატური, საბადოები წარმოშობა მაგმური ქანების კირქვებთან კონტაქტებში. ხშირად ამ ქანებში იგი წარმოღებილია ძვირფასი სახელმისამართით. რიგ შემთხვევაში მისი საბადოები წარმოიქმნებიან თიხამიწით მდიდარ დანალექ და მაგმურ ქანებზე პნევმატოლიტური აგენტების ძლიერ ზემოქმედებასთან დაკავშირებით.


კორუნდი წარმოადგენს ქიმიურად ძლიერ მდგრად მინერალს და ხშირად გვხვდება ქვიშრობებში.

**საბადოები.** სემიზბუგუს საბადო ჩრდილო-აღმოსავლეთ ყაზახეთში, ილმენის მთებზე ურალზე; ნაუდაკი-კოსოი ბროდი სვერდლოვსკში, მარცვლოვანი წითელი კორუნდი-იაკუტის კონტაქტურ საბადოებში. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. საუკეთესო ლალი მოიპოვება ზემო ბირმაში (კოპი მოგოკა და ა.შ.). ტაილანდში, ინდოეთში.

**გამოყენება** კორუნდს და ნავდაცს, მათი დიდი სიმაგრის გამო გამოიყენებენ, როგორც აბრაზიულ მასალას, ლალი და საფირონი – ჭირუასი ქვებია. ჩვენს დროში ფერადი კორუნდები ხელოვნურადაც მზადდება, რომლებსაც ოპტიკაში გამოიყენებენ.

## ○ **ჰემატიტი** $\text{Fe}_2\text{O}_3$ . რკინის წითელი მადანი.

ბერძნულად „ჰემა“ ნიშავს სისხლს. შედარებით ხშირად გვხვდება სიცარიელეებში ფირფიტისებრი, რომბოედრული და სქელფირფიტოვანი კრისტალების სახით. ჩვეულებრივი ფორმებია: რომბოედრი, პინაკოდი, დიპირამიდა და ა.შ. გავრცელებულია აგრეთვე მკვრივი ფარულკრისტალური მასების, ფურცლოვანი და ქრისტალური აგრეგატების სახით (სურ. 38).



სურ. 38. „რკინის ვარდი“

**სინკლინია** ტრიგონული. ბუნებაში ცნობილია რკინის ფანგის ორი პოლიმორფული მოდიფიკაცია.  $\alpha\text{-Fe}_2\text{O}_3$  – ტრიგონული მდგრადი და  $\gamma\text{-Fe}_2\text{O}_3$  – კუბური არამდგრადი. **ფერი** წითელი, მუქი წითელი – შავამდებაზის ფერი ალუბლისებრ-წითელი. არა მაგნიტური. **კლასტები** მეტალისებრი. **სიმაგრე** 5-6. **სიმკვრივე** 5,2. **ტეპენატობა** არა აქს, დამახასიათებელია რომბოედრის მიმართ უსეში განწევრება.

**სახესხვაობები.** გამოყოფის ფორმითა და აგრეგატების მიხედვით არჩევენ: 1) რკინის ალმადანი შავი ფერის

წარმონაქმნები. მათ მიეკუთვნება პემატიტის კრისტალიც, ასევე სხვადასხვა ნათელგრისტალური აგრეგატები: რკინის ვარდი, რკინის ქარსი და ა.შ. 2) წითელი რკინაქვა – წითელი ფერის მკვრივი აგრეგატები. მათ მიეკუთვნებათ სწორი ზედაპირის ჩარმონადვებით წარმონაქმნები – წითელი ქუდი. 3) ოქრას მასები და ლითონები. პემატიტის ფსევდომორფოზა მაგნეტიტის მიმართ მარტიტი ეწოდება.

**დიანქტისტიკა.** ფერით, კრისტალის ფორმით და აგრეგატებით.

**წარმოშობა.** 1) კონტაქტურ-მეტასორმატური სკარნულ ზონებში. 2) ჰიდროთერმული (რკინის ალმადანი) ძარღვებში – ლამაზი კრისტალები და აგრეგატები. 3) დანალექი, გამოფიტების ქერქში მშრალი და ცხელი ჰავის პირობებში. 4) მეტამორფული – დანალექი რკინის მადნის მეტამორფიზმისას.

გვხვდება ტუტე მეტამორფულ ქანებში. უფრო იშვიათად კონტაქტურ-ჟეტასომატურ წარმონაქმნებში.

## სპოდუმენი $\text{LiAl}[\text{Si}_2\text{O}_6]$ .

**სინგონია** მონოკლინური. კრისტალებს აქვთ პრიზმული, ზოგჯერ წაგრძელებული ფირფიტისებრიერი, გვხვდება დიდი კრისტალების სახით. გვხვდება, აგრეთვე, ფირფიტოვანი, ხინკინისებრი და მკვრივი ფარულ-კრისტალური აგრეგატები.

**ფერი** თეთრი, ნაცრისფერი, მომწვანო, იასამინისფერი (კუნციტი). **ფლავარება** მინისებრი. **ტკებულობა** სრული. **სიმაგრე** 6-7. **სიმკრივე** 3,2. გასს მინდვრის შპატს, რომლისგანაც განირჩევა უფრო ფართო კრისტალებით,

მონატებით და პარაგენეზისით.

**დიაგნოსტიკა.** გამოირჩევა სრული ტექნიკადობითა და ხორკლიანი მონატებით.

**წარმოშობა.** პეგმატიტური, პარაგენეზისი: კვარცი, მინდვრის ჰპატი, მუსკოვიტი, ლეპიდოლიტი, პოლიქრომული და ვარდისფერი ტურმალინი, ბივრილი, კასიტერიტი, ტანტალიტი.


**საბათოები.** შეკა აზიაში; ყაზახეთში; აღმოსავლეთ კიმბირში; აშშ; მადაგასკარზე; ავდანეთში.

**გამოყენება.** ლითიუმის უმნიშვნელოვანების მადანი.

### პიროკსენოიდები

**○ გოლასტონიტი (ფიცრული ჰპატი)  $\text{Ca}[\text{Si}_3\text{O}_9]$ .**

**სინგონია** ტრიკლინური. ფირფიტურვანი კრისტალები სრული ტექტურით ერთი მიმართულებით; რადიალურ-სხივოსნური, ჩხირი--სებრი ან ბოჭქოვანი აგრეგატები (სურ. 90);



სურ. 90. გოლასტონიტის სტრუქტურა და კრისტალის ფორმა

**ფერი** თეთრი. **ელემანტება** მინისებრი. **სიმაგრე 5. სიმკვრივე 2,9.**

**დიაგნოსტიკა** ფერით, ელვარებით. იშლება  $\text{HCl}$ -ში და გამოყოფს სილიციუმს (არ წარმოქმნის გელს).

**წარმოშობა.** გვხვდება მუსკოვი ჰანების კონტაქტში კირქვებთან, გამარმარილოებულ კირქვებში ან მაგმურ ქანებში ჩართულ გადაკრისტალებულ კირქვების ქსენოლითებში. ძალიან ჰავას ტრემოლიტს.

მინერალი ცნობილია ურალსა და შეკა აზიის სკარნელ საბადოებში.

**○ როდონიტი  $\text{Mn}_5[\text{Si}_5\text{O}_{15}]$ .**

**სინგონია** ტრიკლინური. კრისტალებს აქვთ ფირფიტურვანი, იზომეტრიული და იშვიათად პრიზმული იქრი, ხოლო აგრეგატები უმთავრესად მთლიანი და მარცვლოვანია.

**ფერი** ვარდისფერი, მონაცერისფერ-ვარდისფერი. **ელემანტება** მინისებრი. **ტექნიკალება** {110}-ის მიმართ სრული. **სიმაგრე 6. სიმკვრივე 3,6.**

**დიაგნოსტიკა.** ადვიდად გამოიცნობა ვარდისფერი ფერით. დამახასიათებელია შავი ლაქების არსებობა (მანგანუმის ჰიდროფანები).

**წარმოშობა.** 1. კონტაქტური; 2. მეტამორფული – მანგანუმის დანალექი საბადოების მეტამორფიზმის დროს. თანამგზავრებია – პსილომედანი, გრანატი.

**გამოყენება.** წარმოადგენს სანახელავო ქვას. გამოიყენება მანგანუმის მისაღებად.

### თრმაგ ანიონური ჰერკებიანი სილიკატები. ბაფთისებრი სილიკატები


ბაფთისებრ სილიკატებს მიეკუთვნება ფერადი მინერალების დიდი ჯგუფი – ამფიბოლები. მათი შედგენილობა და სტრუქტურა უფრო რთულია, ვიდრე პიროქსენების. მათგან განსხვავებით ამფიბოლებს უფრო წაგრძელებული პრიზმული ფორმები აქვთ. ტექტურადობა უფრო სრულყოფილი {110} პრიზმის მიმართ  $124^{\circ}$ -იანი ექვთით, {101}-ის მიმართ არასრული.

ამფიბოლები შეიცავენ წყალს ჰიდროქსილური ფორმით  $[\text{OH}]^-$ , იშვიათად F-ს და Cl-ს. ამფიბოლები სტრუქტურულად იყოფიან მონოკლინურად და რომბულად.

#### რომბული ამფიბოლები

##### **ანტოფილიტი** ( $\text{Mg, Fe}_7[\text{Si}_4\text{O}_{11}]_2(\text{OH})_2$ .

**სინგონია** რომბული. კრისტალებს პრიზმული იერი აქვთ, მაგრამ ხშირად მთლიან მასებში, სხივოსნური, ჩხირისებრი ან ბოჭკოვანი აგრეგატები აქვთ (სურ. 91).



სურ. 91. ანტოფილიტის სტრუქტურა

**ფერი** მურა ან მოყვითალო-ნაცრისფერი, მურა მწვანე. **კლავატება** მინისებრი. **ტკენებადობა** პრიზმის წახნაგების სწორივად. **სიმაგრე** 5,5-6. **სიმკვრივე** 2,8-3,2.

**წარმოშობა.** მეტამორფული, გვხვდება კრისტალურ ფიქლებში. მონოკლინური ამფიბოლები

**ტრემოლიტი**  $\text{Ca}_2\text{Mg}_5[\text{Si}_4\text{O}_{11}]_2[\text{OH}]_2$ .


**აქტინოლიტი**  $\text{Ca}_2(\text{Mg, Fe})_5[\text{Si}_4\text{O}_{11}]_2[\text{OH}]_2$ .

**რქატყუარა**  $\text{Ca}_2(\text{Mg}, \text{Fe})_4(\text{Al}, \text{Fe})[(\text{Si}, \text{Al})_4\text{O}_{11}]_2[\text{OH}]_2$ .

**გლაუკოფანი**  $\text{Na}_2(\text{Mg}, \text{Fe})_3 \text{Al}_2 [\text{Si}_4\text{O}_{11}]_2[\text{OH}, \text{F}]_2$ .

**ტრემოლიტი**  $\text{Ca}_2\text{Mg}_5[\text{Si}_4\text{O}_{11}]_2[\text{OH}]_2$ .

**სინგონია** მონოკლინური (სურ. 92). ახასიათებს გრძელპრიზმული, ნემსისებრი, ზოგჯერ ბეწვისებრი, C დერმის გასწვრივ წაგრძელებული კრისტალები; უფრო ხშირად გეზგდება წერილსხივოსნური, წინისებრი ან ბოჭქოვანი აგრეგატები; უფრო იშვიათია მკვრივი ფარულკრისტალური ხიჭკოვანი მონაცენის მქონე ღია ფერის მასები, რომელსაც ნეფრიტი ეწოდება.



სურ. 92. ტრემოლიტის სტრუქტურა

**ფერი** თეთრი, ღია ნაცრისფერი, ღია მწვანე. **კლავარება** მინისებრი.

**სიმაგრე** 5,5-6. **სიმკვრივე** 2,9-3,0. **ტკმწვალება** პრიზმის სწორივად სრული.

**დააგნოსტიკა:** დამახასიათებელია ნემსისებრი გრძელი კრისტალები, მინისებრი ელვარება, თეთრი ფერი, სიფხვიერე, ხანდახან ძალიან გავს ვოლასტონიტს, აქტინოლიტისაგან განირჩევა ღია შეფერილობით.

**წარმოშობა.** მაგმური, სკარნული – კირქვებთან კონტაქტში, მეტა-მორფული – კრისტალურ ფიქლებში. თანამგზავრებია: დიოქსიდი, კალციტი, დოლომიტი, ტალკი.

**○ აქტინოლიტი (სხივისებრი ქვა)**  $\text{Ca}_2(\text{Mg}, \text{Fe})_5[\text{Si}_4\text{O}_{11}]_2[\text{OH}]_2$ . ბერძნულად „ქების“-სხივი და „ლითოოს“-ქვა.

ფიზიკური, ოპტიკური და სხვა თვისებები იცვლება ტრემოლიტიდან აქტინოლიტისაკენ (რკინის შემცველობის მიხედვით). კრისტალები ისეთივეა, როგორც ტრემოლიტის. დამახასიათებელია სხივისებრი აგრეგატები.

**ფერი** მწვანე. **კლავარება** მინისებრი აპრეშუმისებრამდე. **სიმაგრე** 5,5-6. **სიმკვრივე** 3,3-მდე. **ტკმწვალება** პრიზმის სწორივად სრული.

**სახესხვაობები:** თხელი რბილი აგრეგატები ატარებენ აქტინოლიტ-აზბესტის სახელწოდებას. ჭიდრო ფარულკრისტალური მასები – ნეფრიტის სახელწოდებას. იშვიათად გეხვდება აზბესტისა და ნეფრიტის ტრემოლიტური სახესხვაობები.

**წარმოშობა.** ისეთივეა, როგორც ტრემოლიტის. გავრცელებულია განსაკუთრებით ტალკიან და ქლორიტიან ფიქლებში. ნეფრიტი წარმოქმნება


მეტასომატურად სერპენტინებისა და ალუმინილიკატების კონტაქტის შედეგად.

**საბათოები.** ჩინეთში (ხოცანის მახლობლად); აღმოსავლეთ საიანში; კიტოის და ბირმის მდინარის მახლობლად.

**გამოყენება.** ნეფრიტი კარგად პრიალდება და წარმოადგენს სანახელავო ქვას.

## ○ **რქატყუარა** $(\text{Ca}, \text{Na})(\text{Mg}, \text{Fe})_4(\text{Al}, \text{Fe})[(\text{Si}, \text{Al})_4\text{O}_{11}]_2[\text{OH}]_2$ .

ძირითადად პრიზმული, წაგრძელებული კრისტალები აქვს (სურ. 93). **ფერი** დია მწვანე-შავამდევ, მწვანე სხვადასხვა შეფერილობის. **ფლატები** მინისებრი. **სიმაგრე** 5,5-6. **სიმკარივე** 3,0-3,5. **ტემპერატურა** პრიზმის სწვრივად სრული.




სურ. 93. რქატყუარის კრისტალის ფორმები

რქატყუარა ფართოდ გავრცელებული მინერალია.

**სახესხვაობები.** ჩვეულებრივ რქატყუარა მუქი მწვანეა, გახვდება ინტრუზიულ, მეტამორფულ და კონტაქტურ წარმონაქმნებში. ბაზალტური რქატყუარა მუქი მწვანე ან შავი – ბაზალტებში, ტუფებში. ტუბე ქნებში გვხვდება რქატყუარა შავი ან ღურჯი ფერის. მეორადი რქატყუარა, რომელიც ყალიბდება პიროქსენების, განსაკუთრებით ავგიტის შეცვლის შედეგად, პიდროზერმული სნარების ზეგავლენით, აბარებს ურალიტის სახელწოდებას. ამ პროცესს ურალიტიზაცია ეწოდება.

**დიაგნოსტიკა.** პიროქსენებისაგან განსხვავდება კრისტალების ფორმით და ტექნიკალობით (სურ. 94).



სურ. 94. რქატყუარის კრისტალის C დერმის მართობული კვეთი

**ჭარმოშობა.** საშუალო და ტუტე ინტრუზიულ ქანებში (დიორიტებში) რქატყუარის მაგმური წარმოშობა აქვს.

იგი ქანტარმომქმნელი მინერალია მეტამორფულ ქანებშიც – კრისტალურ ფილებსა, გნეისებსა და ამფიბოლიტებში. იშვიათად გახვდება კონტაქტურ წარმონაქმნებში.

**- გლაუკოფანი**  $\text{Na}_2(\text{Mg}, \text{Fe})_3 \text{Al}_2 [\text{Si}_4\text{O}_{11}]_2[\text{OH}, \text{F}]_2$ .

**სინაზნია** მონოკლინური, იშვიათად ახასიათებს პრიზმული კრისტალები, ხშირად წაგრძელებული მარცვლები, სეგმენტები, სხივობნები და ბოჭკოვანი აგრეგატები.

**ფერი** მონაცერისფრო, ლურჯი, ღია ლურჯი ან მოცისფრო, შავი. **კლდეარება** მინისებრი. **ტექნიკადობა** [110]. **სიმაგრე** 6,0-6,5. **სიმკვრივე** 3,1-3,2.

**ჭარმოშობა.** ძირითადად მეტამორფული. გავრცელებულია – თიხა-ფიქლებში და ფილებში. პარაგენეზისი: ალბიტი, ქლორიტი, კაიდოტი, კვარცი, ქარსები.

**სილიკატები კრისტალურ სტრუქტურებში  $\text{SiO}_4$ -ის ტეტრაედრების უწყვეტი შრეებით ან ორგანზომილებიანი**

აქ განვიხილავთ ფურცლოვანი (შრეებრივი) სტრუქტურის მქონე სილიკატებს, რომლებიც ხასიათდებიან ჰექსაგონური ან ფერების განვითარებული აღნაგობის შრეებრივი კრისტალური მესრით. მათთვის დამახასიათებელია ჰიდროქსილი  $\text{OH}$ , არაიშვიათად  $\text{F}$ -თან ერთად. კათონები წარმოდგენილია  $\text{Mg}$ -ით,  $\text{Al}$ -ით,  $\text{Fe}$ -ით, ზოგჯერ  $\text{Li}, \text{Cr}, \text{Mn}$ , ხოლო კომპლექსონები  $\text{SiO}_4$ -ის  $\text{AlO}_4$ -ის ტეტრაედრებით. იზომორფულ ჩანაცვლების შემთხვევაში შედიან დიდი რადიუსის მქონე კათონები  $\text{Na}, \text{K}$  და  $\text{Ca}$ . სილიციუმქანგბადოვანი ტეტრაედრების კომპლექსანიონის ფორმულაა  $[\text{Si}_2\text{O}_5]$  და ამასთან ზოგიერთ მინერალში  $(\text{SiAl})_2\text{O}_5$ .

ამ ჯგუფის მინერალებისათვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იზომორფული ჩანაცვლებების საკითხები.

**ტალკ-პიროფილიტის ჯგუფი.**

ეს ჯგუფი წარმოდგენილია ფიზიკური თვისებებით ფრიად იდენტური ორი მინერალით, რომლებიც იზომორფული რიგის განაპირო წევრებს წარმოადგენენ. იზომორფული ჩანაცვლება  $\text{Mg}^{2+}$ -ის  $\text{Fe}^{2+}$ -ით და  $\text{Al}^{3+}$ -ის  $\text{Fe}^{3+}$ -ით. ამ მინერალების ფიზიკური თვისებების მსგავსება იმდენად დიდია, რომ ხშირად გარეგანი თვისებებით მათი გარჩევა შეუძლებელია.

**ტალკი**  $\text{Mg}_3[\text{Si}_4\text{O}_{10}](\text{OH})_2$ .

**სინონიმები:** სტერიტი, ჟიროვიკი, ტალკის ქვა.

**სინაზნია** მონოკლინური. ქმნის ფენებრივ მასებს. ფურცლები ელასტიკურია, მაგრამ არ არის გამძლე. **ფარი** მწვანე, ღია მწვანე, თეთრი და მონაცრისფრო-მწვანე. **ელასტება** სადაფისებრი. **ტკენებადობა** {001}. **სიმაგრე** 1. **სიმკერივე** 2,8.

**დიაგნოსტიკა.** აქვს ქარსისებრი სახე, სრული ტკენებადობა, მწვანე ფერი. ტალკი ადგილად გამოიცნობა დაბალი სიმაგრით და ხელის მოკიდებისას ცხიმოვანი ზედაპირით.

**წარმოშობა.** მაგნიუმით მდიდარი ულტრაფუნქციური ქანების პიდრო-თერმული შეცვლის შედეგად, წარმოადგენს ოლივინისა და რომბული პიროქსენის დაშლის პროცესში.


**საბათოება.** ურალზე (შაბროვის და ა.შ.), აღმოსავლეთ საიანში (ონოტის), ჩინეთში, კანადაში, ავსტრიაში, სამხრეთ აფრიკაში. საქართველოში ჩორჩანას საბათო.

**გამოყენება.** წმინდად დაფქეული სახით ტალკი გამოიყენება ქაღალდის, რეზინის და ტყავის წარმოებაში. მაღალხარისხის ხელვან ტალკს იყენებენ პარფუმერიაში (ტუდრის, საცხების და პასტის დასამზადებლად). ტალკის ქვა გამოიყენება ცეცხლგამძლე მასალის დასამზადებლად.

გამოიყენება ცეცხლმრიდი და სინათლისადმი გამძლე საღებავების დასამზადებლად, ცხიმის ლაქების გამოსაყვანად.

### — პიროფილიტი $\text{Al}_2[\text{Si}_4\text{O}_{10}](\text{OH})_2$ .

**სინაზნია** მონოკლინური (სურ. 95). ჩვეულებრივ გავრცელებულია ფირფიტოვან-სხივოსნური, აგრეგატების ან ფარულქერცლისებრი მექრივი მასების სახით. **ფარი** თეთრი, მოყვითალო ელგურით ან ღია მწვანე. ზოგჯერ ნახევრად გამჭვირვალეა. **ელასტება** მინის, გადაპრავს სადაფისებრი, ზედაპირი ცხიმოვანი. **ტკენებადობა** სრული {001}-ის სწროვად. **სიმაგრე** 1. **სიმკერივე** 2,7-2,9.



სურ. 95. პიროფილიტის სტრუქტურა

**დიაგნოსტიკა.** დაბალი სიმაგრე, ღია შეფერილობა, ზედაპირი შეხებით

ცხიმოვანი.

**ჭარმოშობა.** გვხვდება ზოგიერთ პიდროთერმულ ძარღვულ საბა-დოებში, როგორც დაბალტემპერატურული მინერალი კვარცთან, კარ-ბონატებთან, ჰემატიტთან და სხვა. გაგრცელებულია აგრეთვე თიხამიწით მდიდარ ზოგიერთ მეტამორფულ ქანში. თანმდევი მინერალები: კვარცი, კასიტერიტი.

**გამოყენება.** ქადალდის, კერამიკულ, სამშენებლო (ცეცხლგამძლე), ელექტროტექნიკურ, რეზინის და მეტალურგიულის სხვა დარგებში.


### **სერპენტინ Mg<sub>6</sub>[Si<sub>4</sub>O<sub>10</sub>](OH)<sub>8</sub>.**

ზოგჯერ სერპენტინის აგრეგატებს ლაქიანი სურათის გამო „ზმეევიქს“ უწოდებენ, რაც მომდინარეობს ფერისაგან, რომელიც გველის ტყაქს გაეს.


**სინკონია** მონოკლინური. ქმნის ფარულკრისტალურ მოვეოთალო მწვანე ან მუქი მწვანე ფერის მასებს. შეფერილობა ხანდახან ლაქებრივია. **ელვარება** მინის, ცხიმოვანი. **ტკაცვალება** აქვს მხოლოდ ფურცლოვან სახესსხვაობას ანტიგორიტს. **სიმაგრე** 2,5-4. **სიმკარივე** 2,5-2,7.

**სახესსხვალებები.** გამჭვირვალე მოვეოთალო მწვანე სერპენტინი, ცეილისებრი ელვარებით აზარებს თვიტის სახელწოდებას. ბასტიტი – ენტერიტის მიმართ სერპენტინის ფევდომორფოზოზაა. ანტიგორიტი – ფურცლოვანი სერპენტინი. რევლინსკიტი და გარნიერიტი – სერპენტინის ფარულკრისტალური ნაერთი სხვა შრევბრივ სილიკატებთან, ისინი შეიცავენ 11%-მდე Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>-ს.

**ჭარმოშობა.** ჭარმოიქნებიან ულტრაფუნქ, განსაკუთრებით ოლივინის შემცველი ქანების (დუნიტების, პერიოდიტებისა და სხვა) პიდროთერმული სსნარებით შეცვლის პროცესში. სერპენტინით ჩანაცვლებას უფრო ადგილად განიცდის ოლივინი და ენტერიტი, შემდეგ დიომსიდი, რქატფუარა და სხვა. ამ პროცესს ეწოდება სერპენტინიზაცია:



ოლივინი



სერპენტინი

სერპენტინის თანამგზავრებია აზბესტი, მაგნეზიტი, ქრომიტი, მაგ-ნეტიტი, ტალკი და ა.შ.

**საბადოები.** სერპენტინული ქანები – სერპენტინიტები – შეა და სამ-ხრეთ ურალზე, ჩრდ. კავკასიაში, ყაზახეთში და აღმოსავლეთ ციმბირში.

### **ქრიზოტილ-აზბესტი Mg<sub>6</sub>[Si<sub>4</sub>O<sub>10</sub>] (OH)<sub>8</sub>.**

ქრიზოტილ-აზბესტი არსებითად სერპენტინის წვრილ ბოჭკოვან სახეს-სვაობას ჭარმოადგენს. „ქრიზო“-ოქროს, „ტილოს“-ბოჭკოს ნიშნავს. იგი გვხვდება სერპენტინიტებში.

**ფერი** ღია მწვანე, ხანდახან ოქროსფერი. **ელვარება** აბრეშუმისებრი. **სიმაგრე** 2-3. **სიმკარივე** 2,2. ბოჭკოების სიგრძე მილიმეტრიდან 10-16სმ-მდეა. ბოჭკოები რბილი, ელასტიკურია.

**დიაგნოსტიკა.** ადგილად გამოიცნობა პარალელურბოჭკოვანი აგრეგატებით, ოქროსფერი ფერით, აბრეშუმისებრი ელვარებით.

### **ჭარმოშობა.** სერპენტინის ანალოგიური.

**საბადოები.** სვერდლოვსკის ჩრდილო-აღმოსავლეთით; ლაბინსკი ჩრდილო კავკასიაში; საიანში; კანადაში; სამხრეთ აფრიკის საბადოები.

**გამოყენება.** ცეცხლგამძლე მასალის, სითბოზოლაციის, ავტომობილის სამუხრაუჭების ხუნდების დასამზადებლად. ქადალდის და რეზინის წარმოებაში.


### თიხა – მინერალების ჯგუფი



#### + ჰათლინიტი $\text{Al}_4[\text{Si}_4\text{O}_{10}](\text{OH})_8$ .

ჩინურად „ჸაჟლინიტ“ – მაღალი მთა-აღგილი სადაც პირველად აღწერეს.

**სინაზი** მონოკლინური (სურ. 96). კრისტალები იშვიათია და მასთან წვრილდისპერსული და მცირებომის აგრეგატები – ფხვიერი, ქერცლოვანი და წმინდამარცვლოვანი.



სურ. 96. თიხა მინერალების სტრუქტურა

**ფერი** უფერო, თეთრი, მაგრამ მინარევების გამო მოყვითალო, მოწითალო, მურა. **სიმაგრე** 1. **სიმაგრეები** 2,6. **ლავარება** მქრქალი და სადაცისებრი. ხელის შეხებით ცხიმოვანი. ჰიგროსკოპულია, მშრალ მდგომარეობაში ენაზე ეწებება. აქვს თიხის სუნი. სველი წარმოქმნის პლასტიკურ მასას. **ტექნიკური** (001)-ის სწვრივად.

**წარმოშება.** მინდვრის შპატების, ქარსების და ალუმინიუმების დაშლის შედეგად. თანმდევი მინერალები: კვარცი, ქარსი.

**საბადოები.** უკრაინაში – ჩასოვ-იარსკოვი; ურალის აღმოსავლეთი; ცნობილია ლენინგრადის მახლობლად; საქართველოში (გუმბრინი); აღმოსავლეთ ციმბირში.

**გამოყენება.** სამშენებლო საქმეში, კერამიკაში, ქადალდის მისაღებად, ლინოლიუმის, საღებავის, ჭაბურღილების ბურღვის საქმეში.

შემაღებელობით კაოლინიტან ახლოსაა:



#### + მონტორილონიტი $(\text{Al}_2\text{Mg}_3)[\text{Si}_4\text{O}_{10}](\text{OH}_2)\cdot n\text{H}_2\text{O}$ ;

## ნონტრონიტი ( $\text{Fe}, \text{Al}_2$ ) $[\text{Si}_4\text{O}_{10}] (\text{OH})_2 \cdot n\text{H}_2\text{O}$ .

სახელი მიეცა ადგილ მონტრილონქ-დან (საფრანგეთი).

**სინგონია** მონოკლინური. თიხის ებური მასები, წყალში იჯირჯვება.

**ფაზები** მონაცრისფრო თეთრი, მოყავისფრო, მოყვითალო; გაუმჭვირვალე. **სახის ფაზი** ჩაღისებრ-ყვითელი ან მომწვანო ყვითელი. **მდგარება** მქრქალი, შეხებით ცხიმოვანია. **სიმაგრე** 1-2. **სიმკვრივე** 1.7-2.7. **ტკუმებადობა** ფრიან კარგი (001)-ის სწორივად.

**ქარმოშობა** კულპანურ ტუფებში, გამოფიტვის ზონაში.


მონტრილონიტი და მისი ანალოგი მინერალები შეადგენენ ბენტონიტურ თიხებს, რომელთაც დიდი ადსორბციის უნარი აქვთ და ნაეთობის პროდუქტების გასაწმენდად იყენებენ. საქართველოში ასეთი თიხების საბადოებია სოფ. გუმბრში (ქუთაისის მახლობლად) და მახარაძის რაიონში სოფ. ისკანაში.

## ქარსების ჯგუფი

ქარსების ჯგუფის მინერალების ქიმიური შედგენილობა მნიშვნელოვნად ცვალებადობს. მათ ფართო იზომორფიზმი ახასიათებთ. ეს მინერალები ალუმინილიკატებს წარმოადგენენ. მათი კომპლექსინია  $[\text{AlSi}_3\text{O}_{10}]$ . მიუხედავად ქიმიურ შედგენილობაში დიდი განსხვავებისა ქარსების ფიზიკური თვისებები ბევრ რამეში მსგავსია, რადგანაც მათი კრისტალური სტრუქტურები ერთ ტიპს ეკუთვნიან.

ქარსებს მიეკუთვნება მნიშვნელოვანი ქანმაშენი მინერალების დიდი ჯგუფი. მათ აქვთ თხელფურცლოვანი, ფირფიტოვანი აგებულება და იდეალური **ტკუმებადობა** {001}-ს სწორივად.

**სინგონია** მონოკლინური (სურ. 97). კრისტალების ზომები სხვადასხვაა: მიკროსკოპულიდან რამდენიმე კვადრატული მეტრის ფირფიტებამდე.



სურ. 97. ქარსების სტრუქტურა და კრისტალის ფორმები

ქარსების ფურცლები გამდლეა. ზოგი მათგანი დამით ანათებს. თუ შეხედავთ ნათელ სხეულს ქარსის თხელი ფირფიტიდან, შეიძლება დავინახოთ ექსი ან თორმეტსხივიანი გარსაგლავი. **სიმაგრე** 2. **სიმკვრივე** 3.2-მდე-ურები ქარსები ხასიათდებიან დიელექტრული თვისებებით და ცეცხლგამძლეობით. ქარსებზე მოდის მიწის ქერქის ყველა მინერალის 3,7%. მათი მთავარი მასა გვხვდება მეტამორფულ (კრისტალურ ფიქლებში) და ინტრუზიულ ქანების შემაღებნლობაში.

დიდი ფურცლების სახით ქარსები გვხვდებიან პეტმატიტებში, არა იშვიათად ვოლფრამის, მოლიბდენის და სხვა მინერალების მაღალ და საშუალოტემპერატურულ პილოთოვრმაღლურ საბადოებში.

## ○ + მჟაჲკოვიტი $KAl_2[AlSi_3O_{10}] (OH, F)_2$ .

**სინგონია** მონოკლინური. დამახასიათებელია ფსევდოპექსაგონური ან რომბული კვეთის ფირფიტები ან ქერცლები. ზოგჯერ გვხვდება სვეტოვან-პირამიდული ჰაბიტების ინდივიდები. მუსეკოვიტი ზოგჯერ გახვდება ფურცლოვანი-მარცვლების ან ქერცლოვანი მასების სახით.

**ფერი** უფერო ან მოყვითალო, დია ყავისფერი, ან მოწვანო, ან მოწითალო შეფერილობის. **ჰლავარება** მინის, ტექჩივადობის სიბრტყეზე სადა-ფისებრი. **სიმაგრე 2-3.** ფურცლები ელასტიური და ღრუქადია. **ტექნიკალბა** სრული-იდეალური {001}-ის სწვრივად. **სიმკვრივე** 2,7-3,1. კარგ თბო და ელექტროიზოლაციონურ წარმოადგენს.

**სახესხვაობები.** **სერიცეტი** – წვრილქერცლოვანი ან ფარულქრისტალური დია ფერის მუსეკოვიტი, რომელიც წარმოადგენს ალუმოსილიკატების დაშლის პროცესს. **ფუსიტი** – მუსეკოვიტის ქრომის შემცველი სახესხვაობა დია მწვანე ფერის.

**დიაგნოსტიკა.** ტექნიკადობით და ფერით.

**ქრომოჰობა.** მაგმური – გრანიტოიდულ ქანებში; მეტამორფული – კრისტალურ ფიქლებში. შედარებით ხშირად მუსეკოვიტი გვხვდება გრანიტული პეტმატიტების ძარღვებში სამრეწველო მნიშვნელობის მქონე დიდი კრისტალების სახით.

პილოთოვრმულ მადნეულ საბადოებში ფართოდაა გავრცელებული სერიციტიციზაციის პროცესი. გამოფიტვის პროცესის დროს მუსეკოვიტი ქიმიურად შედარებით მდგრადია და ხშირად ქვიშრობებში გადადის.

**საბადოები.** ირკუტსკის ჩრდილოეთ ნაწილში მდ. მამის და ჩუის აუზში; კარელიაში; აღმოსავლეთ ციმბირში; ინდოეთში და ბრაზილიაში. ძირულის გრანიტულ პეტმატიტებში.

**გამოყენება.** მრეწველობაში ქარსს იყენებენ ფურცლოვანი ქარსის, ქარსის ფხვნილის და ქარსის სხვადასხვა ფაბრიკატების სახით, მათი მაღალი ელექტროიზოლაციური თვისებების გამო. მუსეკოვიტის 90% მიდის ელექტრორწარმოებაში, რადიოტექნიკასა და დანადგარმშენებლობაში, სადაც გამოიყენება დიელექტრიკული თვისების გამო. დიდი ფირფიტები ჩაიღმება მეტალურგიული და ქიმიური ქურების ფანჯრებში. უცრო ძვირფასი ფურცლიანი ქარსი უმთავრესად გამოიყენება ელექტრომრეწველობაში. ქარსის ფხვნილი გამოიყენება ცეცხლგამძლე, საშენი მასალის, საწერი ქადალდის, ცეცხლგამძლე საღებავების, ავტომანქანის რეზინის სალტების, საცხები მასალების დასამზადებლად და სხვა.

## ○ ფლოროპიტი $KMg_3[AlSi_3O_{10}](OH, F)_2$ .

**სინგონია** მონოკლინური. კრისტალებს აქვთ ფირფიტოვანი, მოკლეპრიზმული, ხშირად მრჩობლები, აგრეგატები ფურცლოვან-ფირფიტოვანი, ქერცლისებრი. **ფერი** დია მოყვითალო, მურა ან მოწითალო მურა. **ჰლავარება** მინისებრი, სადაფისებრი. **ტექნიკალბა** სრული. **სიმაგრე 2-3.** **სიმკვრივე** 2,7-2,85. ხშირად გამჭვირვალეა.

**დიაგნოსტიკა.** ტკბევადობით, ყავისფერი ფერით და პარაგენულისით.

**ჭარბოშობა.** კონტაქტურ-მეტასომატური (სკარნული), გვხვდება პეგმატიტურ ძარღვებში.

**საბადოები.** ბაიკალზე; იაკუტიაში; კოლის ნახევარკუნძულზე; კანა-დაში; სამხრეთ აფრიკაში; ინდოეთში.

**გამოყენება.** იგივე რაც მუსკოვიტს.

**+** **ბითტიტი**  $K(Fe, Mg)_3[AlSi_3O_{10}](OH, F)_2$ .

**სინგონია** მონოკლინური. კრისტალებს აქვთ ფირფიტოფანი, ფსევ-დოპექსაგონური, საცმაოდ ხშირად სვეტოფანი, პირამიდული ფორმა. ასხასიათებს მრიცლები. აგრეგატებს აქვთ მთლიან ფირფიტოფანი და ქერცლისებრი, მარცვლოფანი ფორმები.

**ფერი** შავი, მურა, ზოგჯერ ნარინჯისებრი, მოწითალო ან სხვა ელ-ფერით. არაგამჭვირვალე ან ოდნავგამჭვირვალე. **ელემანტება** მინის, სადა-ფისებრი. **ტკბევადობა** სრული  $\{001\}$ -ის სწრივად. **სიმაგრე** 2-3. **სიმკრივე** 3,02-3,12.

**სახესხვაობა.** ლებიდომელანი – არ შეიცავს მაგნიუმს, შავი ფერის, დამახასიათებელი ტურე ქანებისათვის (ურალზე).

**დიაგნოსტიკა.** შავი ფერით და ტკბევადობით.

**ჭარბოშობა.** მაგმური; როგორც ქანმაშენი მინერალი ჩანაწინწკლების სახით ბიოტიტი მრავალ მაგმურ ქანში გვხვდება.


დიდი ზომის კრისტალების სახით ბიოტიტს პეგმატიტურ ძარღვებში გვხვდებით. ჩანაწინწკლების სახით გახვდება კონტაქტურ ზონების შემადგენლობაში. ჰიდროტერმულ მადნეულ ძარღვებში ბიოტიტი მეტად იშვიათად გვხვდება.

ფართოდ გავრცელებულია ზოგიერთ მეტამორფულ ქანში – კრისტალურ ფიქლებსა და გნეზისებში.

ქიმიური გამოფიტების პროცესში – დაშლას განიცდის. გადადის ჯერ ჰიდროტერმულ მადნეულ ძარღვებში და თიხოვანი ნივთიერებებში.


**პრაქტიკული** მნიშვნელობა თითქმის არ აქვს.

**+** **ქლორიტები** საკმაოდ რთული შედგენილობის მინერალებია, ბევრ რამეში ქარსებს გვაგონებენ, კრისტალდებიან მონოკლინურ სინგონიაში (სურ. 98), აქვთ ქარსის მაგვარი ტკბევადობა, დაბალი სიმაგრე, დაბალი სიმკრივე. უმრავლესობისათვის დამახასიათებელია ბოთლისებრ-მწვანე ფერი. ისინი ქიმიურად წარმოადგენენ უმთავრესად  $Mg$ -ის,  $Fe$ -ის და  $Al$ -ის, ნაწილობრივ  $Ni$ -ის,  $Fe$ -ის,  $Cr$ -ის ალუმინილიკატებს. შედგენილობის მიხედვით მათ ყოვენ მაგნიუმით მდიდარ სახესხვაობად ანუ ორთოქლორიტებად და რკინით მდიდარ სახესხვაობად – ლეპტოქლორიტებად. ორთოქლორიტები წარმოადგენენ ანტიგორიტის (Ant)  $Mg_5[Si_4O_{10}](OH)_8$  და ამეზიტის (Am)  $Mg_4Al_2[Al_2Si_2O_{10}](OH)_8$  იზომორფული ნარევს, რომელთა შორისაც გამოყოფენ შემდგე მინერალურ სახეებს:



## პენინ $(\text{Mg, Fe})_5 \text{ Al} [\text{AlSi}_3\text{O}_{10}] (\text{OH})_8$

**სინგონია** მონოკლინური. კრისტალებს ახასიათებთ ფსევდოჰექსაგონურ-ფურცლოვანი, ფირფიტოვანი, ზოგჯერ სქელპრიზმული იერი. მრჩობლები ხშირია. აგრეგატები ქერცლოვანი, ფირფიტოვანი. ახასიათებს ღრუზები.



სურ. 98. ქლორიტების სტრუქტურა

**ფერი** სხვადასხვა ელფერის ბოთლისებრ-მწვანე, მომწვანო შავამდე, ზოგჯერ ისფერი, უფრო ოშვათად ვერცხლისებრ-თეთრი. **ტემპერატურა** სრული  $\{001\}$ -ის სწორივად. **სიმაგრე** 2-2,5, ფურცლები ელასტიურია. **სიმკერვალი** 2,6-2,85.

**დააგნისტიკა** ფერით, სრული ტექტვადობით, დაბალი სიმაგრით.

**ჭრის მიზანის**. უფრო მეტად გავრცელებულია მეტამორფულ ქნიბეში.

**სილიკატები კრისტალურ სტრუქტურებში**  $(\text{Si, Al})\text{O}_4$ -ის ტეტრაედრებისაგან შემდგარი უწყვეტი სამგანზომილებისი კარკასებით

მრავალი სილიკატთაგანი, რომელიც  $(\text{Si, Al})\text{O}_4$ -ის ანიონური ტეტრაედრების სამგანზომილებიანი კომპლექსიანითაა წარმოდგენილი, ეკუთვნის ფართოდ გავრცელებული და მნიშვნელოვანი ქანმაშენი მინერალების რიცხვს.

ამ ქვეპლასის მინერალები თითქმის მხოლოდ ალუმოსილიკატებს წარმოადგენენ. ამავე დროს ჩანაცვლებული  $\text{Al}^{3+}$ -ის იონებით ჩანაცვლებული  $\text{Si}^{4+}$ -ის იონების რიცხვი ნახევარს არ აღემატება. როგორც წესი, დადგენილია სტექიომეტრული თანაცარდობა  $\text{Si} : \text{Al}$ , რომელიც ან 3:1 ან 1:1 ტოლია, ე.ი. კომპლექსური ანიონები უფრო ხშირად შემდგა გამოსახულებებს

შექსაბამებიან:  $\text{Si}_3\text{AlO}_8$  ან  $\text{SiAlO}_4$ ; ( $\text{Si}_2\text{Al}_2\text{O}_8$ ).

ანიონურ რადიკალუბში შეფარდება  $(\text{Si} + \text{Al}): \text{O}$  მუდამ 1:2 შეადგენს. მაშასადამე, მოცემული ქვეკლასის მინერალებით უფრო ახლოს დგანან  $\text{SiO}_2$ -ის ჯგუფის მინერალებთან (კვარცთან, ტრიდიმიტთან, ქრისტობალიტთან) ვიდრე სხვა სილიკატები.  $\text{SiO}_4$ -ის და  $\text{AlO}_4$ -ის ტეტრაედრები, ისევე როგორც  $\text{SiO}_4$ -ის ტეტრაედრები კვარცის ჯგუფის მინერალებში, ერთმანეთთან სამგანზომილებიანი კარკასებად („ჩონჩხებად“ „ხევულებად“) არიან შექავშირებული, ე.ი. თითოეული ტეტრაედრის ყველა წვერო საერთოს წარმოადგენს მეორე, მეზობელ ტეტრაედრისთვის, მაგრამ ამ პირობის დაცვის მიუხედავად სხვადასხვა ნაერთების სივრცობრივი კარკასების ფორმა და აღნაგობა სხვადასხვანაირია.

ფრიად დამახასიათებელია, რომ კათონების რიცხვში მონაწილეობას დებულობენ მხოლოდ დიდი რადიუსების და შესაბამისად დიდი კორდინაციული რიცხვის მქონე იონები:  $\text{Na}^{1+}$ ,  $\text{Ca}^{2+}$ ,  $\text{K}^{1+}$ ,  $\text{Ba}^{2+}$ , იშვიათად  $\text{Cs}^{1+}$  და  $\text{Rb}^{1+}$ . პატარა ზომის კათონები მათვის დამახასიათებელი ექვსმაგი კორდინაციით:  $\text{Mg}^{2+}$ ,  $\text{Fe}^{2+}$ ,  $\text{Mn}^{2+}$ ,  $\text{Al}^{3+}$ ,  $\text{Fe}^{3+}$  და სხვ., რომლებიც დამახასიათებელი იყვნენ ზემოხსენებული ქვეკლასებისთვის, განსახილევლი ქვეკლასის ნაერთებში სრულებით არ მონაწილეობენ.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს მინერალები მარტენი წოდებული შექრის სტრუქტურებით, რომლებშიაც კარკასული აღნაგობის სამგანზომილებიანი ანიონების გარდა მონაწილეობენ ისეთი ანიონები, როგორც  $\text{F}^{-}$ ,  $\text{Cl}^{-}$ ,  $[\text{OH}]^{-}$ ,  $[\text{SO}_4]^{2-}$ ,  $[\text{CO}_3]^{2-}$  და სხვ. უკანასკნელებს ტეტრაედრებში შემავალ  $\text{Si}^{4+}$ -თან ან  $\text{Al}^{3+}$ -თან უშუალო კავშირი არ აქვთ. ისინი დამოუკიდებლად არიან დაკაგშირებული ტუტები ან ტუტების კათონებთან:  $\text{Na}^{1+}$ ,  $\text{Ca}^{2+}$ ,  $\text{Ba}^{2+}$  და სხვ.

კრისტალურ სტრუქტურებში სამგანზომილებიანი ანიონური რადიკალების მქონე მინერალების ფიზიკური თვისებები ზოგიერთი თავისებურებით ხასიათდებიან. უპირველესად ყოვლისა შესამჩნევია მათი დია შეფერილობა.

მოცემული ქვეკლასის მინერალების სიმაგრე ძირითადად 5 და 6-ს შორის მერყეობს. ე.ი. ნაკლებია მხოლოდ  $\text{SiO}_4$ -ის იზოლირებული ტეტრაედრების მქონე სილიკატების სიმაგრეზე, რაც შექხება ტკეჩვადობას; აქ არაიშვიათად რამდენიმე მიმართულებით შესამჩნევ და სრულ ტკეჩვადობასაც აქვს ადგილი.

განვიხილავთ კარკასული ანუ სამგანზომილებიანი სტრუქტურის ალუმინილიკატებს შორის ოთხ ჯგუფს: ა) მინდვრის შპატები; ბ) ფელდშპატოდები (შეიცავენ მინდვრის შპატებთან შედარებით ნაკლებ  $\text{SiO}_2$  და მეტ ტუტებ); გ) სკაპოლითები; დ) ცეოლითები.


## მინდვრის შპატების ჯგუფი

მინდვრის შპატები სილიკატებს შორის მიწის ქერქში ყველაზე უფრო ჟეტად გავრცელებული მინერალებია.

ამ ჯგუფის მინერალებისთვის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს იზომორფული, უმთავრესად ბინარული რიგების წარმოქმნა. მაგ:



$\text{K} [\text{AlSi}_3\text{O}_8] - \text{Ba} [\text{Al}_2\text{Si}_2\text{O}_8]$  იზომორფული რიგები. ეს მინერალები, მონოკლინურ და ტრიკლინურ სინგონიებში კრისტალდებიან. ყველა ისინი დიდი სიმაგრით (6-6,5) ხასიათდებიან. აქვთ ორი მიმართულებით ტექნიკობა თითქმის  $90^{\circ}$ -იანი კუთხით. სიმკვრივე შედარებით დაბალი აქვთ. დამახასიათებელია მრჩობლები (სურ.99).



სურ. 99. მინდვრის შპატების კრისტალის ფორმები

ა) აღულარი; ბ) ორთოკლაზი; გ) სანიდანი; დ) ანორთოტი; ე) კარსბადის მრჩობლები; ვ) მანებასის მრჩობლები; ზ) ბაკენის მრჩობლი; თ) პერიკლაზის მრჩობლი; ი) ალბიტის მრჩობლი; კ) პოლისინოზეტური მრჩობლი.

მინდვრის შპატები ქიმიური შედგენილობის მიხედვით იყოფიან ნატრიუმიან-კალიუმიან (პლაგიოკლაზები) და კალიუმიან (ორთოკლაზი და მიკროლინი), იშვიათად  $\text{Ba}$ -იანი (პიალფანები) ჯგუფებად.

პლაგიოკლაზები წარმოადგენენ ალბიტისა  $\text{Na} [\text{AlSi}_3\text{O}_8]$  და ანორთოტის  $\text{Ca} [\text{Al}_2\text{Si}_2\text{O}_8]$  იზომორფულ რიგს.  $\text{Na}^+$  და  $\text{Si}^{4+}$  ჩაინაცვლება  $\text{Ca}^{2+}$ -ით და  $\text{Al}^{3+}$ -ით. პლაგიოკლაზები კრისტალდებიან ტრიკლინურ სინგონიაში

პლაგიოკლაზებს დიდი მნიშვნელობა აქვთ პეტროგრაფიაში მაგმური ქანების კლასიფიკაციისათვის, რის გამოც ისინი კარგადაა შესწავლილი. ამ იზომორფული რიგის მინერალურ სახეობათა კლასიფიკაცია პირობითად მოცემულია შემდეგი სახით:

ალბიტი (Ab) $\text{Na}[\text{AlSi}_3\text{O}_8]$	ანორთიტის მოლეკულის შემცველობა %.	სიმკვრივე
ოლიგოკლაზი		0-10 2.62
ანდეზინი	ალბიტი და	10-30
ლაპრადორი	(Ab + An)	30-50
ბიტოვნიტი	ანორთიტის	50
ანორთიტი	იზომორფული	70
(Ab) $\text{Ca}[\text{Al}_2\text{Si}_2\text{O}_8]$	ნაერთები	90-100 2.76

+ ჰალაგიოკლაზები  $(100-n) \text{Na}[\text{AlSi}_3\text{O}_8] + n\text{Ca}[\text{Al}_2\text{Si}_2\text{O}_8]$ , სადაც  $n$  O-დან 100-მდე იცვლება. „ჰალაგიოკლაზი“ - ბერძნულად ნიშნავს - ირიბადპობადს. სხვა მინდვრის შპატებითან შედარებით, რომლებსაც (001) და (010) ტკებადობის სიბრტყეებს შორის კუთხე  $90^\circ$  უდრის, ან ძალიან ახლოა ამ რიცხვთან, ჰალაგიოკლაზებში იგი ნაკლებია –  $86^\circ 24'$  –  $86^\circ 50'$ . „ალბიტი“ წარმოდგება ლათინური სიტყვიდან „ალბუს“, რაც ნიშნავს „თეთრს“. „ანორთოსი“ ბერძნულად – ირიბი (შპედველობაში მიღებულია კრისტალიზაცია ტრიკლინურ სინგონიაში).

ზოგჯერ მაგმური ქანების სისტემატიკის დროს ზოგადი მოსაზრებისთვის მოსახერხებელია ჰალაგიოკლაზების უხეში დაყოფა მათი შედგენილობის მიხედვით, სახელდობრ:

მქავე ჰალაგიოკლაზები	Nº 0-30
საშუალო „	Nº 30-60
ფუძე „	Nº 60-100

აქ სახელწოდებები „მქავე“, „საშუალო“, „ფუძე“ გამოყენებულია არა ჩვეულებრივი გაგებით: მათ ის აპირობებს, რომ  $\text{SiO}_2$ -ის („სილიციუმის მქავეს“) შემცველობა ალბიტიდან ანორთიტისაკენ თანდათან კლებულობს, ეს ნათლად ჩანს მოცემული იზომორფული რიგის განაპირა წევრთა ქიმიური ფორმულების შედარებიდან.

ჰალაგიოკლაზები ხასიათდებინ არასწორი მარცვლებით, ჩანაწინწკლები ქმნის მარცვლოვან აგრეგატებს, ხანდახან დრუზებს (ალბიტი). კარგად ჩამოყალიბებული კრისტალები იშვიათია, ხშირია ზონალური აგებულების (სურ.100). ახასიათებს რთული პოლისინთფ-ტური მრჩობლები. შემრჩობლების სიბრტყე {010}, ჯვარედინ ნიკოლებში კარგად გამოიცნობა. ერთ ინდივიდებს აქვთ მუქი ხაზების ფორმა, მეორეს – ღია.



სურ. 100. ზონალური პლაგიოკლაზი.

**ფერი** თეთრი, ნაცრისფერი. **ელემატები** მინისებრი. **ტკენვადობა** სრული {001} და {010} მიმართულებით. **სიმაგრე** 6-6,5. **სიმკვრივე** ალბიტიდან (2,61) ანორთიტამდე (2,76) უწყვეტლივ მატულობს.

**სახესხვაობები.** რომელებმაც ზოგიერთ ოპტიკურ ეფექტებთან დაგავშირებით განსაკუთრებული სახელწოდება მიიღეს: 1) **მთვარის ქვა** – მჟავე პლაგიოკლაზი (უფრო ხშირად კალიუმ-ნატრიუმის მინდვრის შპატი), რომელსაც თავისებური ნაზი მოლურჯო ფერის ციმ-ციმი ახასიათებს და მთვარის შექს გვაგონებს; 2) **ლაბრადორი** ეგრეთ წოდებული ლაბრადორის ქვის მთვარი მინერალი, რომელიც ფუძე ან საშუალო პლაგიოკლაზს წარმოადგენს, ხშირად ლამაზი ლურჯი და მწვანე ფერი აქვს.

**დიაგნოსტიკა.** პლაგიოკლაზები საკმაოდ დიდი კრისტალების და მარცვლების შემთხვევაში მის მსგავს კალიუმ-ნატრიუმის მინდვრის შპატებისაგან შეგვიძლია განვასხვავოთ მათი ტკენვადობით ირიბი კუთხით, მაგრამ პლაგიოკლაზების რიგის შეგნით სხვადასხვა მინერალური სახეების ერთმანეთისაგან განსხვავება ვიზუალურად შეუძლებელია.

**წარმოშობა.** პლაგიოკლაზები წარმოადგენენ რა მინდვრის შპატების ჯგუფში კველაზე უფრო გაერცელებულ მინერალებს, შედიან უმრავლესი მაგმური ქნების შეღებილობაში.

პლაგიოკლაზებიც გენეტიკურად გრანიტებთან და საერთოდ ტუბები ინტრუზიულ ქანებთან არიან დაკავშირებული, პლაგიოკლაზებიდან უმთავრესად ალბიტი გვხვდება.

ფუძე პლაგიოკლაზები ცნობილია მხოლოდ ფუძე ინტრუზიული ქანების (გაბრო) იშვიათ პეგმატიტებში.

რეგიონულ მეტამორფიზმის პროცესში კრისტალური ფიქლების და ეგრეთ წოდებული ალაზური ტიპის ძარღვების წარმოშობის დროს უმთავრესად ვითარდება ალბიტი.

**ალბიტი** გამოიცნობა თეთრი ფერით და გამოყოფის ფორმით. იშვიათმეტალთა პეგმატიტებში ხშირია შაქრისებრი მარცვლოვანი ალბიტი და ფირფიტოვანი ალბიტი. მაგმურ ქანებში ალბიტს მიკროსკოპის გარეშე ვერ გავარჩევთ.

## ორთოკლაზის (კალიუმ-ნატრიუმის მინდვრის შპატების) ქაუჯგუფი

ამ ჯგუფში შემავალი კალიუმ-ნატრიუმის მინდვრის შპატები ტემპერატურასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოდიფიკაციებში ქრისტალდებიან (მონოკლინურში და ტრიკლინურში).

ბუქებრივია, რომ ყოველივე ეს აპირობებს ამ ჯგუფის მინერალური სახეების შედგენილობის და სტრუქტურის გართულებას. მათი საერთო სისტემატიკა, არსებული მონაცემების შესაბამისად შეგვიძლია შემდეგი სახით წარმოვიდგინოთ.

მონოკლინური მაღალტემპერატურული რიგი

 სანიდინი  $K[AlSi_3O_8]$  ..... მონოკლინური სინგონია;

 ნატრონსანიდინი  $(K, Na)[AlSi_3O_8]$  ..... „ „

მონოკლინური დაბალი ტემპერატურული რიგი

 ორთოკლაზი  $K[AlSi_3O_8]$  ..... მონოკლინური სინგონია;

ნატრონორთოკლაზი  $(Na, K)[AlSi_3O_8]$  ..... „ „

ტრიკლინური რიგი

 მიკროკლინი  $K[AlSi_3O_8]$  ტრიკლინური სინგონია;

 ანორთოკლაზი  $(Na, K)[AlSi_3O_8]$  „ „

ამრიგად  $K[AlSi_3O_8]$  ნაერთისთვის უპირველესად ყოვლისა არსებობს ორი მონოკლინური მოდიფიკაცია (სანიდინი მდგრადი 900°-ზე ზევით და ორთოკლაზი – მდგრადი ამ ტემპერატურის ქვევით) და ერთი ტრიკლინური, მაგრამ მონოკლინურის მსგავსი და მიკროკლინად წოდებული.

 სანიდინი  $K[AlSi_3O_8]$

სინგონია მონოკლინური. უპირატესად ახასიათებს პრიზმული ჰაბიტების კრისტალები. ელვარება ტიპიური მინისებრი. გვხვდება მრნობლების სახით (სურ.10). ფერი უფერო, ზამოჰავების მინას, გამჭვირვალე. საზის ფერი თეთრი. ელვარება ძლიერ მინისებრი. სიმაგრე 6. სიმეტრია 2.56. ტემპერატურა სრული (001)-ის სწერივად. ჭარმოშობა უპირატესად გახვდება ახალგზარდა ეფუზიურ ქანებში.




სურ. 101. სანიდინის მრჩობლი. კარსბადის კანონით

### ორთოკლაზი $K[AlSi_3O_8]$

ბერძნულად ნიშნავს „სწორადპობადი“ - მინიშნებულია სრული ტკება გადობის მიმართულება, რომელიც ხორციელდება სწორი კუთხით.

**სინგონია** მონოკლინური. კრისტალები კარგადაა გამოხატული. გვხვდება მრჩობლებიც (სურ. 102).



სურ. 102. ორთოკლაზის სტრუქტურა

**ფერი** ნაცრისფერი, ღია ვარდისფერი, ხორცისფერ წითლამდევრარება მინისებრი. **სიმაგრე** 6-6,5. **სიმჭვრევა** 2,5-2,6. **ტკებადობა** (001)-ის და (010)-ის სწორიგად სრული.

ორთოკლაზის გამჭვირვალე სახესხვაობას აღულარი ეწოდება. გახურების პროცესში, დაახლოებით  $900^{\circ}$  ტემპერატურის დროს გადადის სანიდინში.

**დიაგნოსტიკა.** ფერით, სიმაგრით და ტკებადობით. გრანიტების მთავარი ქანწარმომქნელი მინერალია.

**ჭარბობა.** მაგმური - მევავე და საშუალო მაგმურ ქანებში, პეგ-მატიტებში. თანმდევი მინერალები სხვი მინდვრის შპატები, კვარცი, ქარსები.

### მიკროკლინი $K[AlSi_3O_8]$

ბერძნულად „უმნიშვნელოდ გადახრილი“, რადგან, ტკებადობის სიბრტყეებს შორის კუთხე თრთოკლაზისაგან განსხვავებით სწორიდან გადახრილია  $20^{\circ}$ -ით.

**სინგონია** ტრიკლინური. მიკროსკოპში ჯვარედინ ნიკოლში დამახსიათებელია „პოლისინთეტური და ბატისებრი“ მრჩობლები. კრისტალები

სანდახან აღწევენ გიგანტურ ზომებს. პეგმატიტურ ძარღვებში არც თუ იშვიათია მიკროკლინი ათეული ტონის წონით.

**ფერი** თეთრი, ნაცრისფერი, ვარდისფერი, ყვითელი, წითელი. **ელექტრული** მინისებრი, ტაქტვალიბის სიბრტყეებზე ოდნავ სადაფისებრი. **ტაქტვალიბი** სრული {001} და {010} მიმართულებით. **სიმაგრე** 6-6,5. **სიმკვრივე** 2,54-2,57.

მიკროკლინის მწვანე სახესხვაობას ამაზონიტი, ანუ ამაზონის ქვა ეწოდება.

**დიაგნოსტიკა.** ორთოკლაზისაგან განირჩევა მრჩობლების არსებობით, ანუ პოლისინთეტური მრჩობლით, რომელიც ჩანს მიკროსკოპში. ფერით მწვანე მინდვრის შპატები – მიკროკლინია.

**ჭარმოშობა.** მაგმური. დიდი კრისტალები გვხვდება პეგმატიტურ ძარღვებში.

**საბადოები.** კარელიაში. ამაზონიტი ცნობილია ურალზე იღმენის მთებში; ყაზახეთში და კოლის ნახევარუნქნულზე.

**გამოყენება.** მიკროკლინი ჭარმთადგენს კერამიკულ და მინის ნედლეულს. მთვარის ჭად გამოყენებულია საიუველირო საქმეში, ამაზონიტი – სანახელავო საქმეში.

## ○ ანორთოკლაზი ( $\text{Na}, \text{K}[\text{AlSi}_3\text{O}_8]$ )

**სინაზნია** ტრიკლინური. ბერძნულად „ანორთოკლაზი“ - არა ორთოკლაზი (კ. ი. ანალოგიურია მხოლოდ გარეგნულად) მინარევის სახით სშირად შედის  $\text{CaO}$  (ზოგჯერ რამდენიმე პროცენტამდე). სახელწოდება „ანორთოკლაზი“ მინიჭებულია იმ ტრიკლინურ მინდვრის შპატებისათვის, რომლებშიც  $\text{Na}_2\text{O}$ -ს შემცველობა  $\text{K}_2\text{O}$ -ს შემცველობას ჰარბობს.

ფიზიკური თვისებებით მიკროკლინის მსგავსია. უკანასკნელისაგან განსხვავდება მხოლოდ ოპტიკური კონსტანტებით. **სიმკვრივე** 2,56-2,60. გახურების დროს აღვილად გადადის მონოკლინურ მოდიფიკაციაში, გაციების შემდეგ კვლავ ტრიკლინური ხდება.

გვხვდება ნატრიუმით მდიდარ კულკანურ ქანებში. პირველად დადგენილი იქნა პანტელერიას (იტალია) ანდეზიტურ ლაგებში.

## ფერდშპატოდები

ფერდშპატოდები კათიონების შემცველობით მინდვრის შპატების ანალოგიურები არიან. კათიონები ძირითადად  $\text{Na}, \text{Ca}$  და  $\text{K}$ -ია.

## ○ ნეფლინი $\text{KNa}_3[\text{AlSiO}_4]_4$ კრისტალთა იერი პრიზმული, მოკლეს-ვეტოვანი **სინაზნია** პექსაგონური, მაღალტემპერატურული ნეფლინი კუბური მოდიფიკაციისაა, **ფერი** ნაცრისფერი, მომწვანი, ზოგჯერ ხორცისებრ-წითელი და უფერო. **ელექტრული** კრისტალთა წახნაგებზე მინისებრი მონატექსე ცხიმოვანი, **ტაქტვალიბი** არასრული, მონატექსი არასწორი, სიმაგრე 5-6, სიმკვრივე 2,6.

**ჭარმოშობა:** გავრცელებულია თითქმის მხოლოდ კაქმიწით დარიბ ტუბე მაგმურ ქანებში: ნეფლინიან სიენიტებში და პეგმატიტებში.

## ○ სკაპოლიტის ჯგუფი



ბერძნულად „სკაპოლიტ“ – ლერმი (კრისტალების სვეტისებრი ფორმის გამო). **სინგონია** ტეტრაგონული, დიმირამიდის კლასი. გვხვდება პრიზმული კრისტალების სახით, აგრეთვე მკვრივი აგრეგატების სახით.

**ფერი** თეთრი, ნაცრისფერი, მუქი ლურჯი და წითელი. გამჭვირი. **საზის ფერი** თეთრი. **ელვარება** მინისებრი. **სიმაგრე** 5-6, მყიფე. **სიმკვრივე** 2.5-2.7, **ტკმებადობა** (110)-ის სწროვად სრული, ცოტა ნაკლები (100)-ის სწროვად. **პარაგენეტული მინერალები** გრანატი, ეპიდოტი, აგატი, ვეზუვინი.

**წარმოშობა**. ძირითადად პნევმატოლიტური პროცესის შედეგად. **საბადოები**. იტალიაში, ნორვეგიაში, შვედეთში, რუსეთში.

## ლუიციტის ჯგუფი

### ○ ლუიციტი $\text{K}[\text{AlSi}_2\text{O}_6]$

**სინგონია** კუბური, პექსატეტრაედრის კლასი (გვხვდება დაბალ-ტემპერატურული ტეტრაგონული). დამახასიათებელია მარცვლოვანი-აგრეგატები, გვხვდება აგრეთვე იდეალური კრისტალების იკოსაედრების სახით.

**ფერი** თეთრი, ზოგჯერ ნაცრისფერი, სშირად მღვრიე-გაუმჭვირვალე, იშვიათად გამჭვირვალე. **საზის ფერი** თეთრი. **ელვარება** მქრქალი, **სიმაგრე** 5.5-6, **მონატეხი** ნიჟარისებრი, მყიფე. **სიმკვრივე** 2.46-2.5. **ტკმებადობა** არასრული (110)-ის სწროვი.

**პარაგენეტული მინერალები** ეგირინი, სანიდინი, ლაბრადორი, ნეფელინი, ოლივინი და სხვ. არასდროს არ გვხვდება კვარცთან.

**წარმოშობა**. ტიპიური მაღალტემპერატურული ტუტებით მდიდარი მაგმური მინერალია.

### ○ ანალციმი $\text{Na}[\text{AlSi}_2\text{O}_6] \times \text{H}_2\text{O}$

**სინგონია** კუბური, პექსაოქტაედრის კლასი, **კრისტალის ფორმები** ტეტრაგონ-ტრიოქტაედრი.

**ფერი** უვერი, ზოგჯერ თეთრი-მოწითალო, მომწვანო, მონაცრისფრო ელფერით. **საზის ფერი** თეთრი. **ელვარება** მინისებრი. **სიმაგრე** 5.5, **მონატეხი** ნიჟარისებრი, უსწორმასწორი. **სიმკვრივე** 2.24-2.31, **ტკმებადობა** ძალზე ცუდი.

**წარმოშობა**. მაგმური პროცესის ბოლო სტადიის დაბალტემპერატურული პიდროთერმული პროცესის შედეგი გუკლანურ ტუტებში, ზოგჯერ ეგზოგენური პროცესის დროს.

### ○ ლაზურიტი $\text{Na}_8[\text{AlSiO}_4]_6\text{Ca}_2[\text{SO}_4]\text{S}$

ლაზურიტი ანუ ლაჟვარდი სანახელავო ქვაა, სინონიმებია ლილა ქვა, ულტრამარინი

**სინგონია** კუბური, ძლიერ იშვიათია, პექსაედრების და ოქტაედრების კრისტალები, ჩვეულებრივ გვხვდება ქანებში ჩანართებისა და წვრილმარცვლოვანი, მთლიანი, მკვრივი მასების სახით.

**ფერი** სუფთად ლაქვარდისფერი, იისფერ-ლურჯი, მომწვანო-ცისფერი; **ხაზის ფერი** ბაცი ცისფერი; კიდევებში გამჭვირვალე, **მონატეხი** ნიჟარისებრი; **სიმაგრე** 5.5, მყიფე; **სიმკარივა** 2.4; **ტკაჩვადობა** (110)-ის სწვრივად არასრული; **დიაგნოსტიკა** – უპირველეს ყოვლისა დამახასიათებელი ინტენსიური ფერი კაშკაშა ლურჯი ან ცისფერი.

**თანმდევი მინერალები:** ტუტე რქატყუარა, ფლუორიტი, კალციტი და სხვა.

**წარმოშობა** გვევდება კრისტალურ კირქვებში, როგორც მეტასო-მატიტების პროდუქტი ტუტე მაგმურ ქანებთან, იშვითად ტუტე ლავებში.

**საბადოები.** ავდანეთში (ბადახშანი), რუსეთში, აშშ (კალიფორნია).  
**გამოყენება.** სანახელავო ქვა.

### ცეოლითების ჯგუფი

აქ გაერთიანებულია მინერალთა დიდი ჯგუფი, უმთავრესად Ca-ს, ნატრიუმივ Ba-ის, K-ის, Si-ის წყლიანი ალუმოსილიკატები: ბოჭკოვანი ცეოლითები – **ნატროლითი**  $\text{Na}_2[\text{Al}_2\text{Si}_3\text{O}_{10}] \cdot 2\text{H}_2\text{O}$ , **ომმსონიტი**  $\text{Na}_2[\text{Al}_5\text{Si}_5\text{O}_{22}] \cdot 6\text{H}_2\text{O}$ , **ლიმონიტი**  $\text{Ca}_4[\text{AlSi}_{16}\text{O}_{18}] \cdot 16\text{H}_2\text{O}$ , ფურცლოვანი – **ჰეილანდიტი**  $\text{Ca}[\text{Al}_2\text{Si}_7\text{O}_{18}] \cdot 6\text{H}_2\text{O}$ , იზომეტრული შაბაზიტი  $\text{Ca}_2\text{Na}[\text{AlSi}_2\text{O}_6] \cdot 6\text{H}_2\text{O}$ , **ფილიზიტი**  $\text{K}_2\text{Ca}[\text{Al}_3\text{Si}_5\text{O}_{16}] \cdot 6\text{H}_2\text{O}$ .

ნატროლითი რომბულ სინგონიაში კრისტალდება, გვეძლებს სკეპტოვან ფორმებს, ხშირად რადიალურ-სხივოსნური აგრეგატების ან კრისტალური ქერქების სახით, იშვიათად სფეროლითებისა და ბოჭკოვანი მასების სახით.

**ფერი** უფერო ან თეთრი მოყვითალო, მომწვანო ან მოწითალო ელფერით. **ჭლვარება** მინისებრი, ბოჭკოვან მასებს – აბრეშუმისებრი. **სიმაგრე** 5-5.5. მსხვრევადია, **ტკაჩვადობა** 110-ის მიმართ საშუალო. **სიმკარივა** 2.2-2.5.

**წარმოშობა.** წარმოიქმნება ეფუზიური ქანების ნუშურებში და ჟერდებში, ნეკელინან პერმიტებში.

ომმსონიტი კრისტალდება რომბული, დიპირამიდის კლასში. ახასიათებს რადიალურ-სხივოსნური, განისებური ბოჭკოსებური წარმონაქმნები.

**ფერი** თეთრი, ზოგჯერ მოყვითალო წითელი ელფერით; გამჭვირი გამჭვირვლებრი: **ხაზის ფერი** თეთრი. **კლვარება** მინისებრიდან სადაფისებრამდე. **სიმაგრე** 5.5. მყიფე, **მონატეხი** საფეხურისებრი. **სიმკარივა** 2.3-2.4. **ტკაჩვადობა** (010)-ის სწვრივად სწორი, (100)-ის სწვრივად საშუალო.

**ჰარაგენეტური მინერალები.** კალციტი, ანალკიმი.

**წარმოშობა.** უპირატესად გვევდება ფუძე ეფუზიური ქანების სიცარიელეებში.

**საბადოები.** გერმანიაში (ჰესენი), ჩეხეთში, აშშ-ში, საქართველოში.

**ჰეილანდიტი** მონოკლინური სინგონიის, პრიზმულ კლასში იძლევა იზომეტრიულ ან ფირფიტისებურ კრისტალებს.

**ფერი** უვერო, სხვადასხვა ელფერის თეთრი, **ხაზის ფერი** თეთრი, **კლვარება** სადაფისებრი მინისებრი. **სიმაგრე** 3.5-4, მყიფე. **სიმკარივა** 2.1-2.2.

**ტკეჩვადობა** ფრიად სრული (010)-ის სწვრივად.

**თანმდევი მინერალები.** სხვა ცეოლითები, გრანატი, აქსინიტი.

**წარმოშობა.** ეფუზიური ქანების სიცარიელეებში.

**საბადოები.** გერმანიაში (პარცი), ნორვეგიაში, ინდოეთში, კანადაში, რუსეთში და საქართველოში (ახალციხე).

**- ფილიპსიტი** ტრიკლინური სინგონიის, პინაკოიდის კლასში, გეხვდება ძირითადად მრნობლების სახით.

**ფერი** თეთრი, **ელვარება** მინისებრი, **სიმაგრე** 4.5, მყიფე, **სიმკვევე** 2.2,

**ტკეჩვადობა** კარგი (010)-ის და (100)-ის სწვრივად.

**წარმოქმნება** ჰიდროტერმალური, ზოგჯერ დანალექი გზით.

**საბადოები** გერმანიაში (ფედენი, ჰესენი), ჩეხეთში, იტალიაში, ირლანდიაში, აშშ-ში, რუსეთში (კოლის ნ.კ.).

**- სოდალიტის ჯგუფი**  $\text{Na}_2[\text{AlSiO}_4]_6 \times 6\text{Cl}_2$

სახელი ეწოდა სოდის (Na) შემცველობის გამო

**სინგონია** კუბური, პექსაოქტაედრის კლასი. იშვიათად გეხვდება რომბო დოდეკაედრის იერის კრისტალების ან მჭიდრო მარცვლოვანი აგრეგატების სახით.

**ფერი** ღია ლურჯიდან მოლურჯომდე, მოწითალო-ყავისფერი გამჭვირვალე ან გამჭვირი, **ხაზის ფერი** თეთრი, **ელვარება** (ცხიმოვანი, **სიმაგრე** 5-6. **მონატეხი** ნიჟარისებრი, **სიმკვრივე** 2.27-2.33, **ტკეჩვადობა** მკაფიო (110)-ის სწვრივად.

**წარმოშობა.** უმთავრესად ტუბი ეფუზიურ ქანებში, იშვიათად ინტრუზიულში.

**საბადოები.** გერმანია (ეიფელი), იტალიაში (ვეზუვზე), რუმინეთი (ტრანსილვანია), პორტუგალიაში, აშშ-ში (შემენი), კანადაში (კვებეკი), რუსეთში (ურალზე).